ყოველთვიური ბიულეტენი „ვერსია“ ერთი

ვერსია

ფასი 40 თეთრი

№138 (745) 3 – 4 დეკემბერი, 2012 წელი

ორშაბათი ოთხშაბათი პარასკევი

ივანიშვილის „რუხი კარდინალი“

მე არ ვაპირებ თავის მართლებას — არაფერში ჩავრეულვარ, არც არავინ დამინიშნავს!

გვ. 3–4

გია ხუხაშვილი ყველა უხერხულ კითხვას პასუხობს

პროფესორი ავთანდილ წილოსანი გიული ალასანიასგან ტექნიკური უნივერსიტეტისთვის წართმეული ფართების უკან დაბრუნებას ითხოვს

გვ. 10

აკაკი ბობოხიძე: „მოსახლეობა ბიძინასთან ერთიერთზე დარჩება და ანგარიშს გაუსწორებს!“

გვ. 7

ექსკლუზიური ინტერვიუ ბაჩო ახალაიას მეუღლე ანი ნადარეიშვილთან

გვ. 5

სკოლებში მოსწავლეების სამედიცინო შემოწმების სკანდალური შედეგები!

გვ. 11

ჰიპოტენუზა, ანუ ორი კათეტერის სენსიტიური კოჰაბიტაცია

დიტო გელოვანი

– კალაბრიაში კლდოვანი, ძალიან ძნელად, უუძნელესად დასამუშავებელი მიწაა – შორიდან წამოიწყო ალექსანდრომ – რკინის მძიმე, წვეტიანი ლომი უნდა ურტყა, დამუშავებას თუ მოისურვებ. ყოველი გოჯი – ეს წამებაა, შენ კი, კონჩეტინა, ახლა რომ გიყურებ, აბა, ცოტა შეატრიალე თავი... ჰო, აი ასე – შენს თავს რომ ვაკვირდები, მიუხედავად აფუებული ვარცხნილობისა, მაინც ვხედავ, შიგნით რა ხდება. შენ ნაზი ტვინი გაქვს, კონჩეტინა, აქა-იქ ნაოჭებით მკრთალად გადახაზული, მაგრამ შენი ტვინი გაცილებით უფრო ძნელი დასამუშავებელია, ვიდრე კალაბრიის მიწა! ასეთი გაბრაზებული იქამდე არავის უნახავს.
– ერთი ბეწო რაიმე ადამიანური რომ შეგაგნებინოთ, რკინის ლომიც კი არ მიშველის, აგერ გრძნობაზე ხართ, შენ კი, კონჩეტინა, მართლა სულელივით რომ აპარპალებ თვალებს, რკინა რომ ჩაგცხონ, ღმერთმა დაგიფაროს და, გულწასული მიხვდები რამეს?...
(გურამ დოჩანაშვილი, „სამოსელი პირველი“)

პრინციპში, მიხვედრიდან გაგებამდე ერთი ნაბიჯია, მაგრამ თუ არ დაუფიქრდი და ჩაუფიქრდი, რას მიხვდები? ბევრს ვერაფერს კი არა და სულ ვერაფერს. გეგონება რაღაც და საკუთარი თავი გეგონება ვიღაც, ვიღაც გეგონება რაღაც და ამ გეგონება-გეგონებაში, როგორც ერთი შხივანელი კაცი, მამია სირაძე იტყვის, „პლანეტის მასხარა გახდები“ და ბოლო-ბოლო ყველაფერი იმით დასრულდება, რომ რომელიმე ქვემოღვრისნეხველი მევენახე, ან, სულაც, მავანი მწველავი მიგიჩენს საათანადოდ დამსახურებულ ადგილს. ეს – საუკეთესო შემთხვევაში, რადგან თუ შენი ადგილი არ იცი, რაა ცხოვრება, თუ არა ორად გაყოფილი ერთი ადგილის მუდმივი წვალება?

მათემატიკას მივადექი. ჯერ კიდევ მახსოვს დისკრიმინანტი და ბისექტრისას დანიშნულება. ეგ კი არა, 29-ე არაექსპერიმენტული სკოლიდან კვლავაც მომყვება, რომ „არსებობს ათვლის ისეთი სისტემები, რომელთა მიმართ გადატანით მოძრავი სხეულები ინარჩუნებენ თავიანთ მუდმივ სიჩქარეს, თუ...“

ეს ნიუტონის პირველი კანონია, სიტყვამრავალი და არცთუ იოლად გასაგები, მაგრამ თუ გაგებაა, გაგება იყოს. მოკლედ ნათქვამ მესამე კანონს უფრო იოლად ვიგებთ – „ქმედება უდრის უკუქმედებას“. ეს თუ იცი და ამაზე თუ გიფიქრია, იოლად მიხვდები, სად არის შენი ადგილი, რომელიც, სულაც არ არის აუცილებელი, რომ ზედ მზის გულზე იყოს. ადგილი მზის ქვეშ ბევრია, ოღონდ არა გოჭებისთვის, ჯაგარი რომ გაეზარდათ და, ჯაგრის სიგრძიდან კი არა, ქცევიდან გამომდინარე, ღორებს რომ დაემგვანონ.

რუსთაველი და ნიუტონი რომ ვიყო, მეც ორი სიტყვით ვიტყოდი, ამხელა შესავალი კი იმისთვის დამჭირდა, რომ თუ შენთვის „ჰიპოთენუზას სიგრძის კვადრატი კათეტერების სიგრძეთა კვადრატების ჯამს უდრის“, უნდა მიხვდე, რომ ზუსტი მეცნიერება სულაც არ არის შენი ძლიერი მხარე. ასევე, თუ შენს მიერ დაარსებული ჟურნალი, გაზეთი ან ინტერნეტ-პორტალი დღეში ას მკითხველზე მეტს ვერ აგროვებს, არც ჟურნალისტიკაა შენი საქმე და თუ კუნძზე დაწნეყვებული განავლის კასრის სამასხარაოდ იხდი თავს, იცოდე, რომ ხალხი იქით იყოს, მაგრამ ტელევიზორში გამოსაყოფი თავი ნამდვილად არ გაგაჩნია.

ამან კიდევ – რვა წელია მედია-ბაზარზე ვარ, ძაან მაგარი ვარ, ექსპერტი ვარ და შენს მიერ დაარსებული ტელევიზია ერთ ლარად დამითმეო. ვაჰ, მაშ ქვეყანა გრანტით არის დახურული? კა

გია ხუხაშვილი – ბიძინა ივანიშვილის რუხი კარდინალი!

„თავის მართლებას არ ვაპირებ“!

ნინო კომახიძე
პოლიტიკა

„ოდეერი“ „მეცხრე არხზე“ მართლაც გამოჩნდა, თუმცა ტელევიზია ერთადერთი არ არის, სადაც საკადრო ჩარევაში გია ხუხაშვილია „ეჭვმიტანილი“. „ვერსიასთან“ ინტერვიუში ლაშა ამირეჯიბი ხუხაშვილს პროკურატურის კადრების დანიშვნას მიაწერდა, ცოტა ხანში, ღარიბაშვილმა ხუხაშვილის მეგობარი ლაშა ნაცვლიშვილი მთავარი პროკურორის თანაშემწედ მართლაც გაუშვა. ხუხაშვილამდე მიდის ე.წ. დანიშვნების კვალი რკინიგზაზეც, სადაც სამეთვალყურეო საბჭოს წევრად ისევ ხუხაშვილის ახლობელი, კოკა გუნცაძე მოგვევლინა, ხოლო გუნცაძის მეგობარი ლევან ჩიკვაიძე კი საქართველოს ფოსტას ჩაუდგა სათავეში. მოკლედ, სამეგობროდან ყველა სადღაც „მოჯდა“, გია ხუხაშვილი კი დღემდე უსტატუსოდ რჩება და ისიც გაურკვეველია, სად — „ქართული ოცნების“ გარეთ, თუ — შიგნით. „ვერსიამ“ ინტერვიუ ივანიშვილის მთავრობის „რუხ კარდინალად“ მონათლულ გია ხუხაშვილთან ჩაწერა, რომელმაც ყველა კითხვაზე პასუხის გაცემა გადაწყვიტა:

— ამ ჩანაწერებში რეალურია ის, რომ „მეცხრე არხის“ სიუჟეტების და არა მხოლოდ მათ მიმართ, უარყოფითი დამოკიდებულება მქონდა. მთელი ჩანაწერი რომ გაეშვათ, შემრცხვებოდა, იმდენად მძიმე შეფასებები მქონდა. ეს ჩემი პიროვნული უფლებაა, რაღაც მომეწონოს ან არ მომეწონოს. სხვა საკითხია, ჩარევის მცდელობა მქონოდა თუ არა.

— მაგაშია საქმე: თქვენ ლუბა ელიაშვილის „ოდეერად“ შეგზავნაზე საუბრობთ „მეცხრე არხზე“ და დღეს ელიაშვილი ახალი დირექტორია.

— პირველი: ვადასტურებ ჩემს უარყოფით დამოკიდებულებას არხის მენეჯმენტისა და სარედაქციო პოლიტიკის მიმართ, რაც, რა თქმა უნდა, არ მომეწონებოდა, რადგან იმ პოლიტიკური ძალის საზიანო რეპორტაჟები კეთდებოდა, რომელთანაც ვიყავი. რაც შეეხება ლუბა ელიაშვილს, ეს ის ადგილია, სადაც ჩემი მოსაზრებები დამახინჯდა. ვადასტურებ, რომ ჩემი ხმაა, ვადასტურებ უარყოფით დამოკიდებულებას, მაგრამ რაც შეეხება იმას, რომ რაღაცაში ვერევი და ლუბა ელიაშვილი „ოდეერად“ უნდა შეიგზავნოს, მონტაჟია, კონტექსტებია შეცვლილი და ისეა გაშვებული. ყველაზე ცუდი ის არის, რომ მე და თქვენ ახლა ვარჩევთ უკანონოდ მოპოვებულ ჩანაწერს, ბინძურად დამონტაჟებულ პრივატულ საუბარს ორ ადამიანს შორის და ეს ამ ქვეყნის ტრაგედიაა, რომ ამის კომენტირება მიწევს. ხალხი ცდილობს, თავდაცვის რეჟიმში ჩამაყენოს, მაგრამ პირდაპირ გეტყვით — მე არ ვაპირებ თავის მართლებას — არაფერში ჩავრეულვარ, არც არავინ დამინიშნავს!

— მაშინ ზოგადად, „ოცნების“ საკადრო პოლიტიკაზე გკითხავთ, როგორც არხზე, ისე — მთავრობაში.

— სამწუხაროდ, იდეალური საკადრო პოლიტიკა, ზოგადად, არ არსებობს. ვერ ვიტყვი, რომ ახლანდელი საკადრო პოლიტიკით აღფრთოვანებული ვარ. სახელებსა და გვარებზე არ მინდა საუბარი.

— მაშინ, ეკონომიკურ გუნდზე რას ფიქრობთ?

— ნოდარ ხადურს პროფესიონალიზმს ვერ დავუწუნებთ, კვირიკაშვილიც ძალიან მომწონს და ეკონომიკურ გუნდში, ზუსტადაც რომ, ყველაფერი რიგზეა. მე აქ პრობლემას ვერ ვხედავ.

— სად ხედავთ პრობლემას?

— ჯერჯერობით, სისუსტეს ვხედავ იმაში, რომ ხელისუფლებამ ვერ მოახერხა სისტემის სრულფასოვნად ამუშავება. ეს სისტემური პრობლემაა, რაც იმედი მაქვს, ახლო პერიოდში გადაილახება. ახალ მთავრობას უჭირს თავისი პოლიტიკის ახსნა, მათ შორის, სამართლებრივის, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის გარეთ.

— საკადრო პოლიტიკა ის სფეროა, სადაც ხშირად, სწორედ თქვენი გვარი ფიგურირებს — კადრებს ნიშნავს და „ყრისო“.

— და მეუბნებით, რომ ამაზე კომენტარი უნდა გავაკეთო? იმდენად არასერიოზულია, სიმართლე გითხრათ, თავს ვიკავებ ხოლმე ამისგან. ახლა მიდის საუბარი პროკურატურაზე.

— დავაკონკრეტებ — ლაშა ნაცვლიშვილი თქვენ გადააყვანინეთ არჩილ კბილაშვილის მოადგილედ შს სამინისტროდან, იმ მოტივით, რომ კბილაშვილი სუსტია და გაძლიერება სჭირდება?

— ლაშა ნაცვლიშვილი ჩემი მეგობარია. ჯერ, თურმე, მისგან ფული ამიღია, რათა საპარლამენტო სიაში მოხვედრილიყო. ლამის ნახევარი პროკურატურა მე დამინიშნავს და ვიღაც პოლიციელები მიმყავდა პოლიციაში. სულ ორ კაცს ვიცნობ პროკურატურაში — ეს არის ლაშა ნაცვლიშვილი და არჩილ კბილაშვილი, დანარჩენების სახელები და გვარები არც ვიცი.

დასასრული მე-4 გვერდზე

ბიძინა ივანიშვილის პირადი დაცვის წევრის, ბესო სურმავას მიერ ინტერნეტით გავრცელებული ფარული ვიდეოჩანაწერებიდან ერთ-ერთი სრულად აცხადდა. ცოტა ხნის წინ „მეცხრე არხის“ მენეჯმენტი შეიცვალა, არხი კობა ბექაურმა დატოვა და ახალ დირექტორად ლუბა ელიაშვილი მოგვევლინა. გთავაზობთ ამ ცვლილებებამდე რამდენიმე თვის წინანდელი დიალოგის გაშიფრულ ტექსტს შს მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილსა და „ოცნებაში“ უსტატუსოდ მყოფ გია ხუხაშვილს შორის:

ირაკლი ღარიბაშვილი: — შალვა გააჩერონ, ეგ ნაძირალა.

გია ხუხაშვილი: — გუშინ შალვა, თინა და მანანა იყვნენ. მოკლედ, მანანა ჩამოვიდა და მოიტანა, ეს არის დირექტივაო. რომ დადო, არა, ეგრე არ გამოვა-თქო და წავედი ზემოთ. იმ საინფორმაციოზე ვამბობ, დღეს ბიძინა რომ იყო.

ი.ღ. — თარგამაძე რომ გააშუქეს?

გ.ხ. — მარტო ეგ არ იყო, ახლა უყურე, რა ხდება მთელ სამსაათიან საინფორმაციოში. „კაროჩე“, ბიძინა მოჭრეს და თარგამაძე მთავარი გმირი იყო.

ი.ღ. — „ვაფშე“, ეგ არხი მაგარი დასალაგებელია!

გ.ხ. — ჰო, იმან მითხრა პირდაპირ, ქრონომეტრაჟები შეადარეო და ნახე, „ვაფშე“ დაწყებიდან რას „ჩალიჩობენო“.

ი.ღ. — ეგრე არ შეიძლება მუშაობა, რა!

გ.ხ. — ბიჭო, „ვაფშე“ სხვა რაღაც ხდება „მეცხრე არხზე“. „პროსტა“ ნახე, ამას უყურე, ბიძინა რას გავს? „შე ჩემა“, ოპერატორი რომ ხარ, უთხარი, „საროჩკა“ გაისწოროს ეთერის ბოლომდე. ბიჭო, მაგის ტელევიზიაა, ამის დედა ვატირე, ამას სპეციალურად უკეთებენ?! 4 სიუჟეტი იყო დღეს და სამებაში, ყველაზე კარგი ტიპი თარგამაძე გამოიყვანეს.

ი.ღ. — როგორ შეიძლება, „ვაფშე“ ბიჭო, რა შუაში იყო?

გ.ხ. — მერე ქუთაისიდან, აღლუმიდან გააკეთეს ჩართვა, გამოაცხადეს, ეს რა მაგარი რამე ხდებაო, აჩვენეს ვიღაც ქალი და ბავშვი: აღლუმზე მივდივარ და „პრაზდნიკი“ გვაქვსო. ამის დედა ვატირე, ეს „რუსთავი 2“-ზეც არ გაუკეთებიათ. მერე, საგანელიძე „ქართულ ოცნებაში“ რომ წამოვიდა, ასე გაშუქდა: „მემარჯვენეები“ „მაყუთს“ არ მაძლევდნენ, „ოცნებაში“ მაძლევენ და იმიტომ მივდივარ ბიძინასთანო. უტრირებას ვახდენ, მაგრამ დაახლოებით ასე „შეკერეს“.

ი.ღ. — ეგ ტელევიზია არის კატასტროფა, მისახედია რა, „ვაფშე“!

გ.ხ. — ეკამ თქვა, ხო ჩემია ეგ ტელევიზია და მიმიშვითო. და ის რო წავიდა, ჯერ არ მისულა იქამდე, რა.

ი.ღ. — ვინა, ვინა?

გ.ხ. — ლუბა, ლუბას ვუშვებთ მანდ, ხომ იცი.

ი.ღ. — მიხედავს?

გ.ხ. — ლუბა მიანგრევს! ვერ მიხედავს, მაგრამ „რამსებს აურევს“. ლუბას ეგ შეუძლია, ტანკივით არის, გადაუვლის! ლუბა იქ უნდა იყოს „ოდეერად“ რა, ყელში უნდა წვდეს...

ი.ღ. — მანდ უნდა ჩაერიო პირდაპირ, ქირურგიული ჩარევაა საჭირო, რა!

გ.ხ. — ჩემსა და ბექაურს შორის კონფლიქტი როდის მოხდა, იცი? პირველი ეთერი რომ წავიდა, ყველა ხომ ველოდებით ნიუსს, პირველი ორი სიუჟეტი ვნახე — „ქართული ოცნება“ და „ქრისტიან-დემოკრატები“. პირველივე ორში ეს დავინახე. მოვიყვანე ტრიპოლსკიც და ბექაურიც და ვუთხარი, რაღაცა ხდება, ეს რა არის-მეთქი. ბექაური რატომ „ტექნიკური“, იცი? ყველაფერი უკან დამიტრიალა და ტრიპოლსკი შტერი რომაა, კი იცი, ჰოდა, ბიძინას უთხრა, გიას „ლიჩნი“ აქვს ბექაურთანო.

ი.ღ. — მეც „ლიჩნი“ მაქვს? ყველას ლიჩნი გვაქვს?

გ.ხ — დღეს ბიძინამ მითხრა — მონიტორინგი ჩაატარე სასწრაფოდ, რა არის, ჩემს გარდა არავინ უყურებს ამ ტელევიზიასო? ვუთხარი, პირველივე გადაცემის მერე გითხარით, გადაიყვანეთ, „ლიჩნიში“ და ჩავიქნიე ხელი-მეთქი. ჯანგირაშვილი მეუბნება ხოლმე მაგრად, მაგარი დიაგნოზი დაუსვა — ბექაური რაშია მაგარი, ახსნა იცის მაგრად, 100 მიზეზს მოგიყვანს, რატომ ვერ აკეთებს კარგ ტელევიზიასო.

ი.ღ. — აუ, როგორ ამოვისუნთქე, რომ ყველა ერთად ვართ, რა. გაგიჟებული ვარ!

გ.ხ. — ვიღაცა „ოდეერი“ უნდა დაასვა რა!

პატრიარქი ახალგაზრდებს მოუწოდებს, იმეგობრონ არა ტელევიზორთან, რადიოსთან და ინტერნეტთან, არამედ — წიგნებთან

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსი და ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორე ახალგაზრდებს მოუწოდებს, იმეგობრონ არა ტელევიზორთან, რადიოსთან და ინტერნეტთან, არამედ – წიგნებთან.

მისმა უწმინდესობამ სამების საკათედრო ტაძარში საკვირაო ქადაგებისას მეცნიერების მნიშვნელობაზე ისაუბრა და აღნიშნა, რომ ბერძნულისგან განსხვავებით, საქართველოს მონასტრები საზღვარგარეთ და საქართველოში, ეწეოდნენ სამეცნიერო მოღვაწეობას და კანონიზირებული წმინდანების გარდა, ხატმწერები წერდნენ ანტიკური ფილოსოფოსების ხატებს. **„დღეს ჩვენ ვცხოვრობთ ძალიან რთულ პერიოდში. ეს რთული პერიოდია მთელ მსოფლიოში. ადამიანები უფრო გამიწიერდნენ, მატერიალისტები გახდნენ და როცა ვეკითხებით ახალგაზრდებს, სად უნდათ სწავლა, ან სულ არ უნდათ ან მიდიან საფინანსო, ეკონომიკურ და ისეთ სასწავლებლებში, სადაც მატერიალური შემოსავალი ექნებათ. მინდა, მივმართო ახალგაზრდებს და ვუთხრა, რომ თუ მეცნიერება დაეცემა საქართველოში, თვითონ ქართველი ხალხიც დაეცემა“,** — ბრძანა უწმინდესმა.

მან ასევე ისაუბრა, რომ ეკლესიამ გაიარა ძალიან მძიმე გზა, იდევნებოდა და არ ჰქონდა საშუალება, ეწერა და მეცნიერების განვითარებაზე ემუშავა. **„ეკლესიის საქმეს ჩვენი დიდი მეცნიერები აკეთებდნენ. აქ არიან მეცნიერთა აკადემიის პრეზიდენტი, ასევე უნივერსიტეტის ყოფილი რექტორი როინ მეტრეველი და სხვები. მინდა გამოვთქვა ერისა და ეკლესიის აზრი, მადლობა ჩვენ მეცნიერებას, რომ შეგვინარჩუნეს ეს განძი. მინდა მივმართო ახალგაზრდებს, რომ თქვენი მუდმივი მეგობარი — არა ტელევიზია, რადიო და ინტერნეტი, არამედ წიგნები უნდა იყოს. წიგნი უნდა გვედოს საწოლთან. კლიმენტი ალექსანდრიელი წერდა, რომ მორწმუნე ადამიანი არის მონა ღვთისა, ხოლო მორწმუნე და განათლებული ადამიანი – მეგობარი ღვთისა“,** — ბრძანა უწმინდესმა.

„პირველი“

ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ტაძრად მიყვანების დღესასწაულზე პატრიარქი წირვას სიონში შეასრულებს

ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ტაძრად მიყვანების დღესასწაულზე პატრიარქი წირვას სიონის საპატრიარქო ტაძარში შეასრულებს. როგორც უწმინდესმა საკვირაო ქადაგების დასასრულს ბრძანა, ტაძრებში ლოცვა 3 დეკემბერს, 17:00 საათზე დაიწყება, ხოლო წირვა სიონის ტაძარში — 4 დეკემბერს, 09:00 საათზე. **„ვინაიდან ეს არის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის დღესასწაული, წირვას მე თვითონ შევასრულებ“,** — ბრძანა უწმინდესმა.

მართლმადიდებელი ეკლესია ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ტაძრად მიყვანების დღეს, 4 დეკემბერს აღნიშნავს. ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მშობლებს, წმინდა იოაკიმესა და წმინდა ანას, შვილი ორმოცდაათი წლის განმავლობაში არ ჰყავდათ. წმინდა ანამ უფალს აღუთქვა, თუ წყალობას მოიღებდა, შვილს მასვე შესწირავდა. ქალს მთავარანგელოზი გაბრიელი გამოეცხადა და ახარა, რომ ასული — მარიამი ეყოლებოდა, რომლის წიაღიდანაც ქვეყნიერებას მაცხოვარი მოევლინებოდა. სამი წლის განმავლობაში მარიამი სახლში იზრდებოდა. შემდეგ კი მშობლებმა იგი აღსაზრდელად იერუსალიმის ტაძარში მიიყვანეს.

„ჯი-ეიჩ-ენი“

გამოძიება გრძელდება — ვანო მერაბიშვილს განმეორებით დაკითხავენ

რომელიმე „ნაციონალის“, ამ პარტიასთან დაახლოებული პირის, ან „ვარდების ხელისუფლების“ დროინდელი რომელიმე ჩინოვნიკის დაკითხვაზე დაბარება თუ დაპატიმრება, თანამედროვე საქართველოს ყოველდღიურ სიახლედ იქცა. ამ მხრივ არც 1 დეკემბერი იყო განსაკუთრებული. სამაგიეროდ, განსაკუთრებული იმით იყო, რომ ზამთრის პირველ დღეს, „დასაკითხ-დასაჭერთა“ სიის მორიგი პირი, ივანიშვილის „პოლიტიკური წინაპარი“ ვანო მერაბიშვილი გახლდათ.

ყოფილი პრემიერ-მინისტრის, „ნაციონალური მოძრაობის“ გენერალური მდივნის ვანო მერაბიშვილის დაკითხვა, 2 საათს გაგრძელდა. მერაბიშვილი დაკითხვაზე მარტო იმყოფებოდა. მან კატეგორიული უარი განაცხადა იმაზე, რომ მისი დაკითხვა გადაეღოთ. „კამერების გარეშე მზად ვარ ჩვენება მივცე“, — განაცხადა მერაბიშვილმა. ეს ჩანს იმ კადრებშიც, რომლებიც შსს-მ დაკითხვის დაწყებამდე გადაიღო და უკვე გაავრცელა კიდეც.

შსს-ს ინფორმაციით, გამოძიება ყოფილი პრემიერ-მინისტრის მიერ ყალბი დოკუმენტის გამოყენებისა და სახელმწიფო საზღვრის უკანონოდ გადაკვეთის მცდელობის ფაქტზე დაიწყო. საქმე ეხება მერაბიშვილის მიერ ყალბი პასპორტის გამოყენებას: 2012 წლის 30 ნოემბერს, ივანე მერაბიშვილი სახელმწიფო დელეგაციის შემადგენლობაში გამოცხადდა თბილისის საერთაშორისო აეროპორტში, ამავე დელეგაციის შემადგენლობაში ქალაქ ერევანში გამგზავრების მიზნით. საპასპორტო კონტროლის გავლის დროს საქართველოს პრეზიდენტის პროტოკოლის სამსახურის თანამშრომლებმა აეროპორტის მესაზღვრე კონტროლიორს წარუდგინა მერაბიშვილის პასპორტი. მესაზღვრე კონტროლიორმა კანონით დადგენილი პროცედურის გავლის დროს აღმოაჩინა, რომ სინამდვილეში, პასპორტი გაცემული იყო ვინმე ლევან მაისურაძის სახელზე ივანე მერაბიშვილის ფოტოსურათით. აღნიშნულ ფაქტზე თბილისისა და მცხეთა-მთიანეთის საპატრულო პოლიციის მთავარი სამმართველოს საგამოძიებო სამსახურის მიერ დაიწყო გამოძიება ყალბი დოკუმენტის გამოყენებისა და სახელმწიფო საზღვრის უკანონო გადმოკვეთის მცდელობის ფაქტზე. იმის გამო, რომ არ შეფერხებულიყო სახელმწიფო ვიზიტი და დელეგაციას არ შექმნოდა პრობლემა, ივანე მერაბიშვილს მიეცა საშუალება, წარმოედგინა სხვა, ნამდვილი პასპორტი და მის მიმართ სამართლებრივი პროცედურები მყისიერად არ განხორციელდა. იმავე საღამოს, 23:00 საათზე, უკან დაბრუნებულმა მერაბიშვილმა პრეზიდენტის ექსკორტთან ერთად დატოვა თბილისის საერთაშორისო აეროპორტი, რის გამოც მის მიმართ კანონით დადგენილი საგამოძიებო მოქმედებები ვერ ჩატარდა.

შსს-ს ბრალდებას ვანო მერაბიშვილმა ასბურდული უწოდა. მისი თქმით, ხელისუფლების აბსურდებმა სრულიად ახალ სიმაღლეებს მიაღწია. **„ეს ხელისუფლება სერიოზულად ცდილობს დაარწმუნოს საზოგადოება, რომ მე ყალბი პასპორტით ვაპირებდი ერევანში გაფრენას პრეზიდენტის დელეგაციასთან ერთად, ევროპის სახალხო პარტიის სამიტზე. ეს არ მეხება მხოლოდ მე. ეს ეხება მთელ საზოგადოებას, იმიტომ, რომ ეს ხელისუფლება აპირებს თვალში ნაცარი შეაყაროს ჩვენს საზოგადოებას“,** — განაცხადა მერაბიშვილმა.

მერაბიშვილის მხრიდან ყალბი დოკუმენტაციის გამოყენება კატეგორიულად უარყო საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის პროტოკოლისა და საგარეო ურთიერთობების სამსახურის უფროსმა ზურაბ დარჩიაშვილმა. მისი თქმით, ერევანში ევროპის სახალხო პარტიის აღმოსავლეთ პარტნიორობის სახელმწიფო მეთაურთა სამიტზე, მერაბიშვილი როგორც „ნაცმოძრაობის“ გენმდივანი, მიწვეული იყო. **„2003 წლიდან მოყოლებული, ჩვენ ბევრი ოფიციალური ვიზიტი დაგვიგეგმავს, მათ შორის, ვანო მერაბიშვილის მონაწილეობით და მინდა დაბეჯითებით გითხრათ, რომ არასოდეს ყოფილა ყალბი პასპორტით ან ნებისმიერი ყალბი სამგზავრო დოკუმენტით სარგებლობის შემთხვევა. გასაკვირია, რომ მიწევს ამაზე კომენტარის გაკეთება და ის, რომ ასეთი ბრალდებები გავრცელდა ყოფილ პრემიერ-მინისტრთან დაკავშირებით. პროტოკოლის სფეროში ჩვენი მრავალწლიანი გამოცდილების მანძილზე მსგავსი ბრალდება არასოდეს ყოფილა.მინდა გითხრათ, რომ საზღვარზე პასპორტების გაფორმების პროცედურა არის ძალიან მარტივი და გამჭვირვალე, რაც გამორიცხავს გაყალბებული დოკუმენტებით მგზავრობის შესაძლებლობას“.** მოგვიანებით, დაკითხვასთან დაკავშირებით შსს-მ გაავრცელა განცხადება: **„შსს-ში, ყალბი დოკუმენტის გამოყენებისა და სახელმწიფო საზღვრის უკანონოდ გადაკვეთის მცდელობის ფაქტზე გამოძიების ფარგლებში, მოწმის სახით დაიკითხა ყოფილი პრემიერ-მინისტრი ივანე მერაბიშვილი. ის გამოცხადდა დაკითხვაზე, თუმცა პრაქტიკულად, არ ითანამშრომლა გამოძიებასთან. მან თავი აარიდა კონკრეტულ კითხვებს. მისი ჩვენება იყო უკიდურესად ზედაპირული და ურთიერთგამომრიცხავი. მან სცადა უარეყო გამოძიების მიერ უტყუარად დადგენილი ფაქტები, რის გამოც გამოძიება გაგრძელდა და განმეორებით დაიკითხებიან საქმეში მონაწილე უკლებლივ ყველა პირი, მათ შორის, პრეზიდენტის ადმინისტრაციის პროტოკოლის თანამშრომლები და ყოფილი პრემიერი ივანე მერაბიშვილი“.**

შინაგან საქმეთა სამინისტროში მისვლას, სადაც მერაბიშვილს თანამშრომლებმა, „ჩესტი“ აუღეს, „სიმბოლური“ უნოდა თავად მერაბიშვილმა, რომელმაც ასევე განაცხადა, რომ მსგავსი ქმედებები მის გუნდს არ შეაშინებს და „ნაციონალები“ საქართველოსთვის ბრძოლას კვლავ გააგრძელებენ. **ვანო მერაბიშვილი: „მინდა განვუცხადო ბიძინა ივანიშვილის პარტიას და ბიძინა ივანიშვილს. ჩვენ გუნდს, მუქარით, შანტაჟით, დაკითხვებით, დაჭერით, ვერ შეგვაშინებს და ხელს ვერ აგვაღებინებს იმაზე, რომ ჩვენ ვიბრძოლოთ საქართველოსთვის. ჩვენ არ შევდრკებით... ძალიან სიმბოლური იყო ჩემი ყოფნა პოლიციაში. სიამაყით მევსება გული, როცა ვხედავ საქართველოს პატრულს. დასანანია, რომ დღეს შს სამინისტრო ივანიშვილის მიერ გამოიყენება, როგორც რეპრესიული მანქანა ოპოზიციური აზრისა და ოპოზიციის წინააღმდეგ“.**

გამოძიება გრძელდება. ასე რომ, შესაძლებელია, მერაბიშვილს, შინაგან საქმეთა სამინისტროში „სიმბოლურად მისვლა“ კიდევ მოუწიოს.

მომზადებულია სააგენტოების მასალებზე დაყრდნობით

„რაკი სისტემაში ვერ ჩამსვეს, შეიქმნა ლეგენდა, რომ მე რუხი კარდინალი ვარ“

გია ხუხაშვილი — ბიძინა ივანიშვილის რუხი კარდინალი!

მე-3 გვერდიდან

ვადასტურებ, რომ ლაშა ჩემი მეგობარია, მაგრამ მის დანიშვნაში რა როლი უნდა მქონდეს, როცა ხელისუფლებაში ის ჩემზე მნიშვნელოვანი ფიგურაა. პირიქით რომ იყოს, კიდევ მესმის, მაგრამ ვერ გამიგია, ნაცვლიშვილს რაში სჭირდებოდა ჩემი დახმარება? ვინც შიდასამზარეულო იცის, მაშინვე მიხვდება, რომ ეს აბსურდია! ფაქტია, დღეს რამდენიმე ადამიანი ჩემს „დემონიზაციას“ ცდილობს, რაც ღრმად არასერიოზულია. არ ვიცი, რა მოტივები აქვს ამ ხალხს. ყველაფერი უკვე აბსურდამდე მივიდა, ამიტომ მათთვის პასუხების გაცემა ღირსეულ საქმედ არ მიმაჩნია. მოგეხსენებათ, ყველას აწუხებენ და დახმარებისთვის მიმართავენ, მაგრამ ჩემი პრინციპული პოზიცია ამ საკითხებში არჩევაა. როცა ვიღაცას რეკომენდაციას უწევ, შესაბამისად, მასზე ვალდებულებას იღებ. ჩემს მეუღლეს, რომელსაც, ასევე, ძალიან ხშირად მიმართავენ დახმარებისთვის, ჩემგან აკრძალული აქვს და ვერც ბედავს, რომ ვინმეზე რამე მითხრას. ვინც მიცნობს ყველამ იცის, რომ მინდა, დავიტოვო კრიტიკის ფართო დიაპაზონი — ზუსტად ამის გამო მაქვს ფუფუნება, ნებისმიერზე ხმამაღლა და კრიტიკულად ვილაპარაკო, რადგან ვალდებულება არავისთან მაკავშირებს.

— ე.ი. ეკონომიკურ გუნდში თქვენი კანდიდატურები, ჩოგოვაძე და მანაგაძე არ ყოფილან და არც ნოდარ ჯავახიშვილთან გაქვთ დაპირისპირება?

— ჩოგოვაძე და მანაგაძე ვინ არიან? თუ ასეთი მაგარი ბიჭი ვარ, რატომ არ არიან მთავრობაში? ან ვინ არის ჩემი დანიშნული? მოკლედ, რამდენიმე ადამიანი ამაზე წერს და საუბრობს და პირდაპირ ვამბობ, ეს 100%-იანი, სტერილური სიცრუეა. რაც შეეხება ჩემი და ნოდარ ჯავახიშვილის ურთიერთობას — ნოდარი კახელი კაცია, პირდაპირი. მიყვარს ნოდარი, ახლოს ვართ და პატივს ვცემთ ერთმანეთს და შეგიძლიათ, ეს მასთან გადაამოწმოთ.

— კიდევ ერთი თემაა, სადაც ასევე თქვენი გვარი ლოგიკურად ფიგურირებს, რადგან შევარდნაძის დროს შპს „საქართველოს რკინიგზაში“ ერთ-ერთი მაღალი თანამდებობა გეკავათ. ახლა რკინიგზის თანამშრომელთა ნახევარი და კოკა გუნცაძე თქვენ დაგინიშნავთ რკინიგზაზე, ხოლო ლევან ჩიკვაიძე — ფოსტაში. მათ ხომ მაინც კარგად იცნობთ, არა?

— რა ვქნა, რომელ წყალში გადავვარდე, მითხარით და გადავხტები! ლევან ჩიკვაიძე ფოსტაში რომ იყო, ახლა, ამ წუთას თქვენგან გავიგე. რა ვქნა, აბა, მითხარით. დრო არ მაქვს, ყველაფერი წავიკითხო, მაგრამ როგორც მაწვდიან ინფორმაციას, სულ 3-4 ადამიანია, რომელიც ჩემს ვირტუალურ გავლენებზე გამუდმებით საუბრობს.

— ვინ არის ის 3-4 ადამიანი?

— იცით, რამდენი საქმე მაქვს, რომ ამის ძიებით ვიყო დაკავებული? რა საკადრო პოლიტიკა, რა ლევან ჩიკვაიძე, კაცი სულ ორჯერ მყავს ნანახი. კოკა გუნცაძე ჩემი ახლობელია, მაგრამ რკინიგზაზე მე არ დამინიშნავს, თან სამეთვალყურეო საბჭოშია, რომელიც 10-კაციანია და იქ დანიშვნა არავის სჭირდება, რად უნდოდა კოკა გუნცაძეს ჩემი რეკომენდაცია, რომ ამხელა საბჭოში შესულიყო?

— დანიშვნებზე ამ ხმებს თქვენი განცხადებაც იწვევს, როცა თქვით, რომ ქვეყანაში კარგი კადრების მოძიება შეუძლებელია.

— შესაძლოა, მაგრამ ამას ახლაც გავიმეორებ — სამწუხაროდ, წინა ხელისუფლებამ ქვეყანაში შექმნა ცუდი მდგომარეობა და პროფესიონალი, წესიერი ხალხი ხორცის მანქანაში გაატარა — ზოგს ღირსება აყარა, ზოგი დანაშაულში ჩააბა, მაგალითად, ის პატარა ბიჭი კუდში, რასაც პოლიტიკურ პედოფილიას ვეძახი, რადგან იგი პოლიტიკურად გააუპატიურეს, ზოგი გააგდო ასე შეიქმნა საკადრო შიმშილი ქვეყანაში!

— მაშინ, როცა ვერ გხედავთ ხელისუფლებაში, როცა წამოხვედით „ოცნებიდან“, რატომ რჩება ინტერესი, ყველგან თქვენი გვარი ფიგურირებდეს?

— მაგაზე მეც ვფიქრობდი. ყველამ იცის, რომ პოლიტიკურ პროცესში ვიყავი, თან არცთუ უკანა პლანზე. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფიგურა ვიყავი ამ პოლიტიკურ ციკლში და მისი დასრულებისთანავე, გავაკეთე განცხადება, რომ პროცესიდან გავდივარ. თუმცა პირადი ურთიერთობა მაკავშირებს, ჩემდა საბედნიეროდ, ბიძინა ივანიშვილთან, მაგრამ იმას არასოდეს ვიკადრებ, ეს ურთიერთობები გამოვიყენო. როცა ვხვდებით, სულ სხვა თემებზე ვსაუბრობთ, ხოლო ეს ბოლო ერთი თვეა, სულ რაღაც ერთხელ ვნახე. შესაბამისად, როცა სისტემაში ვერ მსვამენ, ამ დროს იქმნება ლეგენდები — დავუშვათ ის, რომ მე ვარ რუხი კარდინალი. რაღაცის მინისტრი რომ გავმხდარიყავი, დამიჯერეთ, მსგავსს არაფერს იტყოდნენ. ჰოდა, რაკი არსად დავინიშნე, ვიღაც ფიქრობს, რომ ე.ი. უფრო მეტი მინდოდა და რა შეიძლება იყოს უფრო მეტი — რუხი კარდინალობა! ბანალური ლოგიკით, ეს ხალხი ამ დასკვნამდე მივიდა. ზოგი ყავაზე მკითხაობს და ესაა, რა. ახლა იმასაც ამბობენ, რომ ლამის კეზერაშვილის ბიზნესიც მე გადმომიფორმებია და რა უბედურებები აღარ დამიტრიალებია.

— „უფრო მეტი“ თუ არ გინდოდათ, მაშინ რა გინდოდათ?

— ვერავის წარმოუდგენია, რომ გია ხუხაშვილისთვის თავისუფლება უფრო მეტია, ვიდრე რომელიმე კაბინეტში ჯდომა.

— იმ ყველაფრიდან გამომდინარე, რაც თქვენს ირგვლივ ხდება, მიგაჩნიათ, რომ ახლა თავისუფალი ხართ?

— მე როგორ დავდივარ და რა მაცვია, გინახავთ? ჩემი კედები ხომ შეგინიშნავთ? ჰალსტუხი თითქმის არ მკეთებია, პიჯაკი არ მცმია.

— ეგ თავისუფლების ხარისხს განსაზღვრავს?

— არა, ეს არის ვიზუალური გამოვლინება იმისა, რა ცხოვრებით ვცხოვრობ. არ მიყვარს კაბინეტში ჯდომა, საქაღალდით სიარული, თათბირებზე ყოფნა. არ ვარ პატარა ბიჭი, რომ საკუთარი მნიშვნელობის ხაზგასასმელად კაბინეტში ჯდომისა და მუშტის ბრახუნის ამბიცია მქონდეს. როცა მინდა, გავიღვიძებ და დავიძინებ, მივალ ოფისში და წამოვალ — ანუ თავისუფალი ცხოვრება მინდა, ესაა ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანი. წინ აქტიური ათი წელი მაქვს, ვიდრე კიდევ შემიძლია აგური დავდო ქვეყნის ინსტიტუციური მოწყობის საქმეში, პათეტიკაში თუ არ ჩამომართმევთ. დღეს, ამ ასაკში კაბინეტებზე ფიქრი რომ დავიწყო, ძალიან სასაცილო იქნება. საერთოდ არ მესმის ბრძოლა იმისთვის, რომ სისტემის ჭანჭიკი გახდე. ამით ვინმეს კი არ ვაკნინებ, უბრალოდ, მე ვარ სხვანაირი, თორემ ყველას არჩევანს პატივს ვცემ. სისტემის თამაშით ვერ ვთამაშობ, ვიხუთები შიგნით, ამიტომ რატომ ავიტკიო აუტკივარი თავი?

— მეტი არც არაფერია რუხი კარდინალობა — თქვენ ამის ძალიან ბევრი მახასიათებელი გაქვთ.

— ეს არაფერში მაწყობს, ამაზე უბრალოდ მეცინება. როცა ადამიანს აქვს პირადი ურთიერთობები, შენობით ელაპარაკება ყველა ხელისუფალს, მაგრამ რატომღაც არ აქვს სტატუსი, ლოგიკურად, მიდიან იმ აზრამდე, რომ ეს ადამიანი ფარულ გავლენებს ფლობს. ყველას აქვს უფლება, ასეთი ლეგენდები შექმნას, მაგრამ საზოგადოება აქაც არ უნდა გადავიდეს ზედმეტებში. თუმცა, როცა ამაზე საუბარს ის ადამიანები იწყებენ საჯაროდ, ვისაც თავისი თავი რაღაცად მიაჩნია, ესაა გულდასაწყვეტი.

— გესმით, რომ ამ ინტერვიუს მერეც გაუგებარი დარჩება თქვენი როლი, თუ ზუსტად არ განსაზღვრავთ, რა იყო თქვენი სტატუსი „ოცნებაში“ და რა არის დღეს — სტატუსის განსაზღვრა კი ყოველთვის შესაძლებელია!

— ვცადოთ — მაშინ პროცესში ძალიან აქტიურად ვიყავი ჩართული, არ ვყოფილვარ პარტიის წევრი და შეიძლება ითქვას, ბიძინა ივანიშვილის მრჩეველი ვიყავი, რომელიც გადაწყვეტილებების მიღების ერთ-ერთი და არა ერთადერთი მონაწილე იყო. დღეს ჩემი სტატუსი „ქართულ ოცნებასთან“ მიმართებაში არის ნული!

— ბიძინა ივანიშვილთან მიმართებაში?

— მასთან მიმართებაში არის მეგობრობა და მეტი არაფერი.

— და არა პირადი მრჩეველი, რომელიც მეგობრობას ზეწოლისთვის იყენებს?

— ბიძინა ივანიშვილს რომ იცნობდეთ, ამ კითხვას არ დასვამდით. ასეთი რამ არ არსებობს ბუნებაში, შეუძლებელია, ვინმემ ივანიშვილს გადაწყვეტილება მიაღებინოს. ქრონოლოგიას გაგახსენებთ — როცა შარშან ივანიშვილთან მივედი, მაშინვე ვთქვი, რომ შევდივარ პოლიტიკურ პროცესში, მაგრამ როგორც კი პოლიტიკური ციკლი დამთავრდება, ჩემს საქმიანობას ვუბრუნდები-მეთქი.

— თუმცა, იმასაც ამბობდით, შეიძლება, ჩემი პარტია გავაკეთოო.

— ეს მაშინ, როცა შევდიოდი. ხან ერთი პარტია დავიძახე, ხან — მეორე. ამის მერე შევედი ბიძინა ივანიშვილთან. მერე შევასრულე ჩემი სიტყვა და წამოვედი „ოცნებიდან“ — არ მითამაშია, ეს ჩემი შინაგანი მრწამსი იყო. პოლიტიკურ პარტიებთან, ჩემი თავისუფალი სტატუსიდან გამომდინარე, მწვავე შიდადისკუსია მქონია, რაც ბევრს არ მოსწონდა. მე რომ „ოცნებიდან“ წამოვედი, იქვე ყველას ბოდიში მოვუხადე, ვისაც ვაწყენინე.

— აი, ეგ იყო პათეტიკა, თუ იყო.

— შეიძლება, თქვენთვის პათეტიკა იყო, მაგრამ ეს იყო ჩემი ცხოვრება. ძალიან დიდი იმედი მაქვს, რომ შურისძიების სურვილი არ დარჩენიათ, იმის მიუხედავად, რომ პოლიტიკოსები, საერთოდ, უცნაური ხალხია, გრძელვადიანი წყენა იციან ხოლმე.

— მთელი ეს მითები, როგორც უწოდებთ, მოგწონთ, გაბრაზებთ თუ სულ ერთია?

— გული მწყდება, მაგრამ მეორე მხრივ, მესმის ამ ყველაფრის ანატომია. ძალიან დიდი ხნის გამოცდილება მაქვს ამ სივრცეში ყოფნისა, მაგრამ მეც ადამიანი ვარ და გული მტკივა.

— მერე, ამდენ ხანს იმუნიტეტი ვერ გამოიმუშავეთ?

— ამაზე არ ვნერვიულობ და თითებს არ ვიკვნეტ, უბრალოდ, ადამიანურად ვწუხვარ, მაგრამ ესაა რეალური სამყარო და ამ ყველაფრის ახსნა მიწევს, რადგან საჯარო ფიგურა ვარ და თმენის ვალდებულება გამაჩნია.

ეკა სეხნიაშვილი

„ბრძოლა წესების გარეშე“ — ასე აფასებს ოპოზიცია ივანიშვილის მთავრობის ფართომასშტაბიან დაჭერებსა და დევნას ყოფილი ხელისუფლების მაღალჩინოსნებისადმი. ტელე-დაპატიმრებები და კამერების წინ ბორკილებდადებული ყოფილი ჩინოვნიკების „პოზირება“ არათუ საზოგადოებას, „ქართული ოცნების“ ზოგიერთ წევრსაც კი არ მოსწონს, წულუკიანის წინასწარგაცხადებული „მსჯავრი“ კი უკვე არასამთავრობო სექტორსაც აღიზიანებს. პროკურატურისგან ერთ-ერთი ასეთი მოწმედ დაბარებული და დაკავებული, თავდაცვისა და შსს-ს ყოფილი მინისტრი ბაჩო ახალაიაა, რომელიც სულ ახლახან სწორედ იმავე კანონიერ ქურდებს მიუსვეს გვერდით საკანში, რომელთაც ახალაია ებრძოდა. ახალაიას მისამართით ჯერ კიდევ არჩევნებამდე უამრავი ჭორი და სკანდალური ამბავი ვრცელდებოდა. სასამართლო პროცესი 25 დეკემბერსაა ჩანიშნული, მანამდე კი ბაჩო ახალაიას მეუღლე, ანა ნადარეიშვილი უსამართლობის წინააღმდეგ ბრძოლას არასამთავრობო ორგანიზაციიდან აპირებს და „თავისუფლებისა და მხარდაჭერის ცენტრს“ აფუძნებს. ექსკლუზიურად „ვერსიას“ ის თავის სამომავლო გეგმებზე, არასამთავრობო ორგანიზაციის მიზნებსა და ახალაიების წინააღმდეგ მიმდინარე რეპრესიებზე ესაუბრა:

ექსკლუზიური ინტერვიუ ბაჩო ახალაიას მეუღლესთან

„სამხედრო პოლიციის ამჟამინდელი ხელმძღვანელი, რომელიც ირაკლი ალასანიას დაცვის ყოფილი უფროსია, ჯარისკაცებს საკუთარ კაბინეტში იბარებს და აიძულებს მათ ბაჩოს საწინააღმდეგო ჩვენების მიცემას“

— ანა, თბილისში ძალიან დიდხანს დომინირებდა აზრი, თითქოს არჩევნების შემდგომ საზღვარგარეთ მყოფი ბაჩო ახალაია თითქოს იმიტომ ჩამოვიდა, რომ ჩეჩნები ემუქრებოდნენ და ციხის საკანი მისთვის ყველაზე უსაფრთხო ადგილი იქნებოდა. ალბათ, თქვენ უფრო დაზუსტებით შეგიძლიათ გვითხრათ, რას გაექცა ან არ გაექცა ბაჩო ახალაია?

— ბაჩო არჩევნების პერიოდში წავიდა საქართველოდან, რადგან მასზე ათასი ლეგენდა და ცილისმწამებლური ჭორი ვრცელდებოდა, რომ რაღაც შეიარაღებულ ბანდფორმირებებს ხელმძღვანელობდა, რომ თითქოსდა არეულობების ინსპირატორი უნდა ყოფილიყო არჩევნების დროს, ამიტომ ის შეგნებულად გაერიდა ამ სიტუაციას. როდესაც ახალმა მთავრობამ დაიწყო ფუნქციონირება, ბაჩო სწორედ იმიტომ დაბრუნდა საქართველოში, რომ ბოლოს და ბოლოს გაეცა პასუხი იმ ცილისმწამებლური კამპანიისთვის, რაც მის წინააღმდეგ შეგნებულად ააგორეს. ჟურნალისტები უკავშირდებოდნენ მას, მაგრამ არ დასცალდა. ჩამოსვლისთანავე დაურეკეს და დაიბარეს პროკურატურაში როგორც მოწმე, მაგრამ დააკავეს სრულიად უსაფუძვლოდ. თავად იურისტი ვარ პროფესიით და ძალიან ბევრი პროცესუალური დარღვევაა მის საქმეში. ფაქტი სახეზეა, ჯერ ადამიანი დააკავეს და მტკიცებულებების შეკერვა შემდგომ დაიწყეს.

— როცა თქვენი მეუღლე პროკურატურაში მიდიოდა, ჰქონდა თუ არა იმის განცდა, რომ დააკავებდნენ?

— როდესაც ბაჩო დაბრუნდა საქართველოში, ბუნებრივია, ამის განცდა ჰქონდა, მაგრამ მას არ ეგონა, რომ დაკავებას მოახდენდნენ ასე უცებ, ყოველგვარი მტკიცებულებების გარეშე. არანაირი საჩივარი, არანაირი მტკიცებულება მის წინააღმდეგ იმ მომენტისთვის, როდესაც პროკურატურაში დაიბარეს, ამ უწყებას არ ჰქონდა. მხოლოდ მას შემდეგ, რაც ბატონმა კბილაშვილმა ტელეეთერით ახალაიას დაკავება გამოაცხადა, საგანგებოდ შეატანინეს განცხადებები.

— ანუ, პროკურატურამ ახალაიას დაკავების შემდგომ დაიწყო მისი საწინააღმდეგო მტკიცებულებების მოპოვება?

— შეიძლება ითქვას, რომ ჯერ დააკავეს და მერე დაიწყეს ბაჩო ახალაიას წინააღმდეგ საქმის შეკერვა თეთრი ძაფით. იმდენად აბსურდული ბრალდება წაუყენეს ზვიად აბესაძის განცხადების საფუძველზე, რამენაირად „გაეპრავებინათ“ ბაჩოს დაკავება, რომ თავადაც მიხვდნენ, აბსურდის სპექტაკლი იყო. მერე დაიწყეს ზრუნვა რაიმე ტიპის მტკიცებულებებზე, რომელთა მოპოვებაც ჯარისკაცების კაბინეტებში დაბარებით და იძულების წესით ხდება. ძალიან არასერიოზულია, როცა იუსტიციის მინისტრი აცხადებს, რომ „ბაჩო ახალაია მესიჯობდა“ და სასწრაფო წესით ამიტომაც დააკავეს, თურმე.

— ორი დღის წინ თქვენი ოჯახის მეორე წევრზე, დათა ახალაიაზეც დაიწყო პროკურატურამ გამოძიება. როგორც მთავარმა პროკურორმა განაცხადა, მას ბრალს დაუსწრებლად წარუდგენენ. სად იმყოფება დათა ახალაია ამ მომენტისთვის და თუ აპირებს ის პროკურატურაში მისვლას?

— ჩემი ინფორმაციით, დათა ამ მომენტისთვის საქართველოში არ იმყოფება. პატარა ბავშვსაც რომ ჰკითხოთ ქუჩაში, ყველა ხვდება, რომ ეს ჩვენი ოჯახის წინააღმდეგ მიზანმიმართული პოლიტიკური დევნაა. ჯერ კიდევ არჩევნებამდე „ქართული ოცნების“ რამდენიმე ლიდერს განსაკუთრებით ჰქონდა მიზანში ამოღებული ახალაიების გვარი. ჩემ მეუღლეს ეგონა, რომ პროკურატურას რეალურად ექნებოდა სიმართლის დადგენის სურვილი, ამიტომაც მივიდა უწყებაში, მაგრამ პროკურატურის ყველა ქმედებიდან ჩანს, რომ ეს წმინდა წყლის პოლიტიკური დევნაა. ამიტომაც

ვფიქრობ, დათა არ უნდა მივიდეს პროკურატურაში, რადგან ეს პოლიტიკური შურისძიებაა. პროკურატურა წინასწარ განწყობილია ჩვენი ოჯახის წევრებზე ანგარიშსწორებით და არა ობიექტური გამოძიებით.

— თქვენ ამბობთ, რომ „ქართული ოცნების“ ზოგიერთი ლიდერი კონკრეტულადაა დაინტერესებული თქვენი ოჯახის წინააღმდეგ ანგარიშსწორებით... დასახელდა ირაკლი ალასანიას სახელიც.

— პირადი ანგარიშსწორების მცდელობა ჯერ კიდევ არჩევნებამდელი მუქარებიდან მოდის. ჩემ მამამთილს ირაკლი ალასანიამ, არჩევნების პერიოდში, ყოფილი „მხედრიონელი“ გამოუგზავნა და შემოუთვალა, დაგიჭერთ, თუ არჩევნებში დამარცხებას არ აღიარებო. სამეგრელოში ყველამ იცის, რომ მაჟორიტარულ არჩევნებში როლანდ ახალაიას ზუგდიდმა რეალურად გამოუცხადა დიდი ნდობა. ხალხის ნდობაზე უარის თქმა არის ღალატის ტოლფასი. ალასანიას მიერ ზეწოლის დამადასტურებელი მტკიცებულებები და ჩანაწერები პროკურატურას გადასცა ჩვენმა ოჯახმა, მაგრამ პროკურატურა რატომღაც არ დაინტერესებულა ამ საქმის გამოძიებით.

— ხომ არ ფიქრობთ, რომ ყველა სრულწლოვან მამაკაცს ახალაიების ოჯახიდან დაიბარებენ პროკურატურაში? იგივე თქვენ მამამთილს, როლანდ ახალაიას...

— ჩემი მამამთილი პარლამენტის წევრია და მას იმუნიტეტი იცავს. ეს რომ არა, დარწმუნებული ვარ, აუცილებლად ჩაუდებდნენ მას ან ნარკოტიკს ან ჟანგიან იარაღს.

— ანა, თქვენ აცხადებთ, რომ ქვეყანაში კრიმინალმა საგრძნობლად იმატა და ასევე, კორუფცია უკვე ნელ-ნელა ბრუნდება სახელმწიფო უწყებებში. კონკრეტული ფაქტები თუ გაქვთ?

— ჩვენი არასამთავრობო ორგანიზაციის შექმნის ერთ-ერთი მოტივი ისიც გახლდათ, რომ უამრავი ადამიანი გვიკავშირდება. ისინი სამსახურებიდან დათხოვნის სუბიექტურ მიდგომებზე, კორუფციის გაჩენის ფაქტებზე გვიყვებიან. ამ ადამიანების კონკრეტულ გვარ-სახელებს, მათივე უსაფრთხოებიდან გამომდინარე, არ დავასახელებ. სამინისტროში ჯერ კიდევ მუშაობს ზოგიერთი ისეთი ადამიანი, რომელსაც სახელმწიფოებრივი აზროვნება შერჩენია. ისინი გვიყვებიან, რომ კრიმინალმა გეომეტრიული პროგრესიით იმატა და ამ სტატისტიკას შსს მალავს. დაწყებული მკვლელობებიდან, ხულიგნობისა და ძარცვის ათეული ფაქტებით დამთავრებული. ასევე კორუფციის კონკრეტულ შემთხვევებზე ჩვენ გვიკავშირდებიან თურქი მძღოლები, რომლებსაც უკვე საპატრულო პოლიციის თანამშრომლებმა მოსთხოვეს ფულის გადახდა. ეს უკვე ნიშნავს ქვეყნის მიღწეულ წარმატებებზე უარის თქმას, ეს ნიშნავს უკან სვლას. ცალკე თემაა, პირადი ანგარიშსწორების საფუძველზე ხალხის მასობრივად დათხოვნა საჯარო სამსახურებიდან. ჩვენამდე მოდის ინფორმაციები, რომ საპატრულო დეპარტამენტის ზუგდიდის სამმართველოდან თითქმის მთელი პირადი შემადგენლობა დაითხოვეს გაურკვეველი მოტივაციით, მოსთხოვეს, დაეწერათ განცხადებები, რადგან ზუგდიდელები არიან. იგივე ჩემი ბავშვის ნათლია, ნინო დუნდუა, მხოლოდ იმიტომ დაითხოვეს სამსახურიდან, რომ თენგიზ გუნავასთან ერთად, ბაჩო ახალაიას შვილის ნათლიაა. არადა, ნინო თავისი საქმის პროფესიონალია. ის ჯერ კიდევ იმ წლებში მუშაობდა შსს-ში, ვიდრე ჩემი მეუღლე მინისტრად დაინიშნებოდა. ასეთი ათეულობით ფაქტია, როდესაც უარგუმენტოდ ტოვებენ უსამსახუროდ, ვინმეს ჩემთან შემთხვევით წვეულებაზე გადაღებული ფოტო რომ უნახონ „ფეისბუქზე“, ამის გამო უშვებენ სამსახურებიდან. ეს ტერორია.

— მახსოვს, როცა ბაჩო დააკავეს, თქვენ განაცხადეთ ასეთი ფრაზა: თქვენ რომ მშვიდად გძინავთ, ეს ბაჩო ახალაიას დამსახურებაა, თუმცა თქვენი ოჯახის წევრების მხრიდან ეს მიღწევა საზოგადოებაში არაერთგვაროვნადაა აღქმული. თქვენი ოჯახის მისამართით ასეთი განცხადებებიც ისმის, ახლა მათ იწვნიონ უმუშევრად დატოვება, დაჭერები და ა.შ. ბაჩო ახალაიასგან „ჯალათის“, თუ რაღაც ამდაგვარი ფიგურა შექმნეს...

— რეალურად, ეს შავი პიარის დამსახურება იყო. ბაჩო სულ სხვა ადამიანია. ის ღამეებს ათენებდა მუშაობაში, ახალ წელსაც კი ყაზარმაში ხვდებოდა ჯარისკაცებთან. რამდენიმე თვე, გულწრფელად ვამბობ, ის ცხოვრობდა ბრიგადებში. ჯარისკაცებთან ძალიან კარგი ურთიერთობა ჰქონდა. ახლა რომ ცდილობენ, სხვანაირად წარმოუდგინონ საზოგადოებას. ახლაც კი მიკავშირდებიან ჯარისკაცები და მათი მეუღლეები, რომლებიც ჩუმად გვიყვებიან, რომ წნეხის ქვეშ არიან და მათზე ზემოქმედება ხდება. ჯარისკაცებზე დიდი ზეწოლა ხორციელდება, რომ ბაჩოს საწინააღმდეგო ჩვენებები მისცენ. ბაჩოს წინააღმდეგ ჩვენება ვინც მისცეს, ეს ჯარისკაცები არიან დეზერტირები, რომელთა განცხადების საფუძველზეც დააკავეს ჩემი მეუღლე. ბუნებრივია, გამოძიებამ იცის, რომ დეზერტირების ჩვენება სუბიექტურია, ეს ადამიანები უკმაყოფილონი არიან ბაჩოთი, ამიტომაც პროკურატურაში ყველანაირად ცდილობენ, რომ არა დეზერტირებს, არამედ ჯარისკაცებს მიაცემინონ ბაჩოს საწინააღმდეგო ჩვენება. თავდაცვის სამინისტროს კვალიფიციური კადრები, რომელიც არცთუ ბევრი ჰყავს საქართველოს, დაითხოვეს სამსახურიდან, მხოლოდ იმის გამო, რომ ბაჩოს საწინააღმდეგო ჩვენება არ მისცეს, ან მის დროს მუშაობდნენ სამინისტროში მაღალ პოზიციებზე. ეს პროცესი ახლაც მიმდინარეობს, ბატალიონების უფროსებს იბარებდნენ და ზეწოლა ხდება რიგით ჯარისკაცებზეც. ჩვენ გვაქვს ინფორმაცია, რომ ჯარისკაცებს საკუთარ კაბინეტში იბარებს სამხედრო პოლიციის ამჟამინდელი უფროსი, გვარად ჩიხრაძე, რომელიც ირაკლი ალასანიას დაცვის ყოფილი უფროსია და აიძულებს მათ ბაჩოს საწინააღმდეგო ჩვენების მიცემას. ახლა ბევრი ჯარისკაცი ინკოგნიტოდ მიკავშირდება და მადლობას მიხდის მისი გაწეული სიკეთეებისთვის. ბაჩო ოჯახში სამსახურებრივ საკითხებზე არასოდეს საუბრობდა. ახლა მირეკავენ და ვიგებ, რომ ზოგს ფინანსურად დახმარება, ავადმყოფისთვის დახმარების ხელი გაუწვდია, ზოგიერთი სამსახურში დამსახურებულად დაუჯილდოებია. პროკურატურასთან რომ ვიყავით, რიგითი მოქალაქე მოვიდა და მადლობა მითხრა, თქვენი მეუღლე იმ კანონიერ ქურდებს ებრძოდა, მე რომ შვილი მომიკლესო.

— თქვენ აპროტესტებთ, რომ გლდანის მეშვიდე საპყრობილეში ბაჩო ახალაია ე.წ. კანონიერი ქურდების გვერდით საკანში ზის. როგორ ფიქრობთ, ეს ხელისუფლებამ შეგნებულად გააკეთა?

— ეს ცინიზმია მათი მხრიდან. როდესაც დღევანდელი მთავრობის წევრები საუბრობენ, რომ სხვა თანამდებობის პირები, თავის დროზე, ისხდნენ ამავე საპყრობილეში. ის პირები არ ებრძოდნენ კრიმინალსა და კანონიერ ქურდებს იმ მასშტაბით და უშუალო შემხებლობით, როგორც ამას ბაჩო ახორციელებდა.

იქ, საკანში, ბაჩოს ესმის მისი გვერდითა საკნებიდან ამ ე.წ. ქურდების ხმამაღალი ყვირილი და გადაძახილები. მართალია, მის სახელს არ ასახელებენ კონკრეტულად, მაგრამ მისი მისამართით აკეთებენ მინიშნებებს. ეს ხელისუფლების მხრიდან ფსიქოლოგიური და მორალური ზეწოლისთვის სპეციალურად კეთდება.

თუმცა, ისინი არ იცნობენ ბაჩოს, ის არ გატყდება. ბაჩო ძლიერი ადამიანია, ახალგაზრდა ადამიანი მუდმივად ბრძოლის რეჟიმში იყო და ახლაც არის.

დასასრული მე-8 გვერდზე

„ნუთუ აუცილებელი იყო, უფრო მეტად დავტანჯულიყავი, რომ სადაზღვევოს ოპერაციის თანხა აენაზღაურებინა?!“

მარი შათირიშვილი

ისტორია, რომელსაც მოგითხრობთ, ჩვენი საზოგადოებისთვის და განსაკუთრებით მათთვის, ვისაც დაზღვევის გამოყენება და სადაზღვევო კომპანიებთან ურთიერთობა მოუწია, ძალიან ნაცნობია. სამწუხაროდ, ევროპული სტანდარტების ჯანდაცვის შემადგენელი ნაწილი – სადაზღვევო მომსახურება, ქართულ სინამდვილეში ცალმხრივი მოძრაობის ქუჩასავითაა – ფინანსები სადაზღვევო კომპანიისკენ და შემდგომ – უარი მომსახურების ანაზღაურებაზე ათასგვარი გამოგონილი, ხშირად კურიოზული მოტივით. შესაბამისად, ამას მოსდევს მუდმივი კონფლიქტი კლინიკებში, კომპანიებში, არბიტრაჟებში და ისედაც ავადმყოფი კლიენტებისა და მათი ოჯახების ძლიერი ნერვული სტრესი. კაცმა არ იცის, ამ პრობლემის მოგვარებაზე ახალი ხელისუფლება იზრუნებს თუ არა. სავარაუდოდ, სამთავრობო პროგრამის მიხედვით, უნდა იზრუნოს, მაგრამ ვიდრე უბრალო მოქალაქემ იცის, რომ სადაზღვევო კომპანიები „შინაურობაში“ ძვირადღირებულ პლასტიკურ ოპერაციებსაც კი აზღვევენ და გადაუდებელი ოპერაციის დაფინანსებაზე გასაოცარი მიზეზების მოშველიებით უარს ამბობენ, ძნელია, რაიმე პროგრესზე და ხალხის კეთილდღეობაზე ვილაპარაკოთ.

სწორედ ასეთი შემთხვევაა ერთი ჩვეულებრივი ახალგაზრდა ქალის – ხათუნა თავართქილაძის ამბავი, რომელიც 2012 წლის 6 ოქტომბერს სასწრაფო დახმარების მანქანამ ძლიერი სისხლდენით საავადმყოფოში გადაიყვანა.

ხათუნა თავართქილაძე: „ვინაიდან 6 ოქტომბერი შაბათი დღე იყო, აუცილებელი მანიპულაციები ჩამიტარეს და ორშაბათს ოპერაცია დანიშნეს. ორშაბათამდე გამოკვლევები დავიწყე, რომელიც ვერ დავამთავრე, რადგან ისევ ძლიერი სისხლდენა დამეწყო. ქირურგმა საოპერაციოდ მომამზადა და მითხრა, რომ სასურველი იყო, ოპერაცია ლაპარასკოპიით გაკეთებულიყო, რადგანაც მიმდინარეობაც და შედეგებიც გაცილებით უკეთესი იქნებოდა. ცხადია, დავთანხმდი. დღეს ყველამ იცის, რომ მსგავსი ტიპის ოპერაციები უკვე თითქმის ყველგან ლაპარასკოპიით კეთდება. ეს თანამედროვე პრაქტიკაა, ამიტომ აზრადაც არ მომსვლია, რომ სწორედ ოპერაციის ეს ფორმა შემიქმნიდა პრობლემას“.

ხათუნა თავართქილაძე სადაზღვევო კომპანია „ჯი პი აი“-შია დაზღვეული და მისი წლიური სადაზღვევო პრემია 300 ლარს შეადგენს. იგი სადაზღვევო პაკეტში თვეში 25 ლარს იხდის. სადაზღვევო ბარათის მიხედვით, გადაუდებელი ამბულატორია 100%-ით უფინანსდება, თუმცა ის ლაბორატორიული კვლევები, რომელიც დაახლოებით 300 ლარამდე დაჯდა, კომპანიას, ჯერ-ჯერობით, არ აუნაზღაურებია. ბარათის მიხედვით – გადაუდებელი ჰოსპიტალიზაცია 3 000 ლარის ფარგლებში 100%-ით უნდა ანაზღაურებულიყო, ხოლო ანგარიშ-ფაქტურით, რომელიც კლინიკამ გასცა, **„პაციენტ ხათუნა თავართქილაძის ოპერაციის ღირებულება შეადგენს 2 350 (ორი ათას სამასორმოცდაათი) ლარს“,** რაც სრულად თავსდებოდა ოპერაციის 100%-იან ლიმიტში, მაგრამ როდესაც შესაბამისი დოკუმენტაცია კლინიკიდან სადაზღვევო კომპანიაში გადაიგზავნა, კომპანიის შესაბამისმა მესვეურებმა დაასკვნეს, რომ თურმე ლაპარასკოპია – პლასტიკური ოპერაცია ყოფილა (!) და დაზღვევა ოპერაციის ხარჯებს არ აანაზღაურებდა!!!

ხათუნა თავართქილაძე: „სადაზღვევო კომპანიას ქირურგიიდანვე დავუკავშირდი – საქმის კურსში ჩავაყენე და მათაც დამიდასტურეს, რომ მათ პროვაიდერ კლინიკაში ვიწექი. მიუხედავად იმისა, რომ ოპერაცია გადაუდებელი იყო – სისხლისგან ვიცლებოდი, საავადმყოფოშიც არ წერდნენ გადაუდებელს. არ ვიცი, რატომ. ალბათ, იმდენად აქვთ სადაზღვევოებისაგან თავი მობეზრებული, რომ მათთან ურთიერთობა აღარ უნდათ... სამედიცინო ცნობა, ფორმა 100-ში, რომელიც სადაზღვევოში წარსადგენად მომზადდა, პირდაპირაა აღნიშნული – „ესაჭ�oება ოპერაციალაპარასკოპია – საშვილოსნოს ექსტირპაცია და წინა საოპერაციო გამოკვლევები“. ამ ოპერაციის მერე 3 დღეში ავდექი. ჩვეულებრივი ქირურგიით რომ გაეკეთებინათ, გაცილებით დიდხანს მომიწევდა საავადმყოფოში წოლა. ნუთუ აუცილებელი იყო, უფრო მეტად დავტანჯულიყავი, რომ სადაზღვევოს ოპერაციის თანხა აენაზღაურებინა?!“

„ვერსიამ“ გაიარა კონსულტაციები შესაბამისი პროფილის სამედიცინო მუშაკებთან, რათა მხარეების პოზიციები გადაემოწმებინა და როდესაც დარწმუნდა, რომ ლაპარასკოპია არავითარ შემთხვევაში არ არის პლასტიკური ოპერაცია, ჯი პი აი“-საც დაუკავშირდა. გთავაზობთ სატელეფონო დიალოგის შინაარსს:

— გამარჯობა, გაწუხებთ გაზეთიდან „ვერსია“. ჩვენ მოგვმართა თქვენთან დაზღვეულმა მოქალაქემ, ქალბატონმა ხათუნა თავართქილაძემ, რომელსაც კომპანია „ჯი პი აი“ უარს ეუბნება გადაუდებელი ოპერაციის დაფინანსებაზე. რამდენად შეესაბამება ეს სიმართლეს და მოტივი მართლაც არის თუ არა ის, რომ ლაპარასკოპია პლასტიკური ოპერაციაა, რომელსაც თქვენ არ აფინანსებთ?

— ქალბატონი ხათუნა თავართქილაძის სამედიცინო დოკუმენტაცია ნამდვილად არის შემოსული გადაუდებელი ოპერაციის დაფიქსირებით და განხილვის შემდეგ უარია მის დაფინანსებაზე ერთი მიზეზის გამო — არსებობს ჯანდაცვის სამინისტროს №33 დადგენილება, რომლითაც გაწერილია გადაუდებელი ოპერაციების სახეობების ე.წ. პოზიტიური სია. სწორედ ამ დადგენილებით იხელმძღვანელა ჯგუფმა გადაწყვეტილების მიღებისას.

— ანუ, ამ სიის მიხედვით, აღნიშნული ოპერაცია პლასტიკურ ოპერაციათა რიცხვში გადის?

— არ ვიცი მას ვინ უთხრა ასეთი რამ, შემოიტანოს საჩივარი და შესაბამისი ჯგუფი მას განიხილავს“.

„ვერსია“ შეეცადა, მოეძია ჯანდაცვის სამინისტროს შესაბამისი დადგენილება, მაგრამ ამ ეტაპზე, ეს ვერ შევძელით. მკითხველს ვპირდებით, რომ აუცილებლად მოვიძიებ ბრძანებას შესაბამისი დარგის ექსპერტების კომენტარებითურთ, რის მიხედვით მიიჩნევს ჯანდაცის სამინისტრო გადაუდებელ ოპერაციებს დაფინანსების ღირსად და პირიქით!

იატომ არ დააფინანსეს სასწრაფო გადაუდებელი ოპერაცია და რას პასუხობენ მოტყუებულ კლიენტს „ჯი პი აი“ ჰოლდინგში

რამაზ ნიკოლაიშვილის უწყებამ სახელმწიფო 10 მილიონი ლარით აზარალა

დადგება თუ არა რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის ექსმინისტრის პასუხისმგებლობის საკითხი

მაია მიშელაძე
ეკონომიკა

რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ტენდერებსა და შესყიდვებში არსებული დარღვევების გამო, სახელმწიფომ დაახლოებით, 10 000 000 ლარზე მეტი იზარალა. საუბარია, საერთაშორისო მნიშვნელობის თბილისი-სენაკი-ლესელიძის საავტომობილო გზასა და კახეთის რეგიონული განვითარების პროგრამის ფარგლებში, თელავის ქუჩების გარე განათებების დასამონტაჟებლად ჩატარებული ტენდერების დროს დაშვებულ დარღვევებზე.

რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროში ჩატარებული შემოწმებით დადგინდა, რომ თბილისი-სენაკი-ლესელიძის საავტომობილო გზის გარე განათებების ტენდერზე, სატენდერო კომისიამ მხოლოდ შპს „ენერჯი ინვესტ გრუპი“ დაუშვა, ხოლო დანარჩენი 5 ორგანიზაციის წინადადება მისაღებად არ ჩათვალა. ამასთან, ხელშეკრულება გაფორმდა ისეთ ორგანიზაციასთან — „ენერჯი ინვესტ გრუპი“, რომელსაც ტენდერში მონაწილე ყველა სხვა ორგანიზაციასთან შედარებით, გაცილებით მაღალი ფასი ჰქონდა წარმოდგენილი.

„ვერსია“ საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილეს, **შოთა მურღულიას** დაუკავშირდა:

— ეს დარღვევები, სამინისტროს საქვეუწყებო ორგანიზაციებსა და საკოორდინაციო სფეროში შემავალ მუნიციპალური განვითარების ფონდისა და საგზაო დეპარტამენტის მიერ განხორციელებულ შესყიდვებში გამოვლინდა. საუბარია, სახელმწიფო სამშენებლო კომპანია „ენერჯი ინვესტ გრუპზე“, რომელიც ჩვენ უწყებაში შემოდის. მაგალითად, ავტობანის მშენებლობა იქნებოდა, თუ ქობულეთის შემოვლითი გზის, მნიშვნელობა არ აქვს, სახელმწიფომ მიწები გამარტივებული შესყიდვებით, ანუ 7 თეთრად გაყიდა და იმავე სახელმწიფომ ეს მიწები 12 ლარად, დაახლოებით 17 000%-იანი ნამატით შეიძინა. არარეალურ ფასებთან დაკავშირებით, დაახლოებით 13 საქმე გადავეცით ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურს. თავიდანვე, დაპროექტების დროს იყო გათვალისწინებული არარეალური ფასები, რის გამოც სახელმწიფომ დაახლოებით, 10 000 000 ლარით იზარალა.

— ბატონო შოთა, დააკონკრეტეთ, რომელმა კომპანიებმა დაარღვია სატენდერო ხელშეკრულება, ან რა შეიძინეს არარეალურ ფასად?

— მაგალითად, თელავის ქუჩების გარე განათებების ბოძების მონტაჟის დროს, ბაზარზე არსებული ფასების მიხედვით, ერთსანათიანი ბოძი — 2 800 ლარი, ხოლო ორსანათიანი ბოძი — 3 200 ლარი ღირს. ტენდერის მიხედვით კი თითოეულ ბოძში — 6 515 ლარია გადახდილი, ანუ ბაზარზე არსებულ ფასთან შედარებით, ორჯერ მეტი. მეტიც, მიუხედავად იმისა, რომ სატენდერო დოკუმენტაცია ექვს ორგანიზაციაზე — შპს „არტესი“, შპს „სანი“, სს „საქენერგორემონტი“, შპს „ენერჯი ინვესტ გრუპი“, შპს „ინ-სი“ და სს „ერისიმედი“ გაიცა, სატენდერო წინადადება მხოლოდ ერთმა კომპანიამ — ერთობლივმა საწარმო სს „ერისიმედმა“ და შპს „ჯავამ“ შემოიტანა. შესაბამისად, გამარჯვებაც მას მიეკუთვნა. აღმოჩენილი დარღვევების შესახებ მასალებს კი გენერალურ პროკურატურას გადავუგზავნით.

— სატენდერო დოკუმენტების მიხედვით, როგორ დგინდება ამა თუ იმ პირის ბრალეულობა?

— ამის დადგენა ჩვენ უწყებას არ შეუძლია, მაგრამ სატენდერო ხელშეკრულებების მიხედვით შეგვიძლია დავადგინოთ, რომ ტენდერებსა და შესყიდვებში არარეალური ფასები იყო გათვალისწინებული. გარდა ამისა, ტენდერში მონაწილე ორგანიზაციების წარმომადგენლები წერილობით მოგვმართავენ, გვიკავშირდებიან და ამ დარღვევებზე ამახვილებენ ყურადღებას. რაც მთავარია, სამინისტროში შიდა აუდიტის დეპარტამენტი გავაძლიერეთ, რომელიც ამ ტიპის ინფორმაციას იღებს, აანალიზებს და თუ დადგინდება დარღვევა, მასალებს შესაბამის სტრუქტურებს ვუგზავნით. როდესაც 2 000 000-ლარიან ხელშეკრულებაში, ფასთა სხვაობა 800 000 ლარს აღწევს, ან ტენდერში მხოლოდ ერთი კომპანია მონაწილეობს, როდესაც ამა თუ იმ მშენებლობაზე ერთი და იგივე საპროექტო ორგანიზაცია მუშაობს, ვვარაუდობთ, რომ აქ აშკარად დარღვევაა. თუმცა საბოლოო დასკვნას ჩვენ არ ვდებთ, ამ დეტალების დადგება უკვე გამოძიების და პროკურატურის პრეროგატივაა.

— ამ ყველაფრის გათვალისწინებით, დადგება თუ არა რამაზ ნიკოლაიშვილის პასუხისმგებლობის საკითხი?

— ამ კითხვაზე პასუხის გაცემა ჩემგან არასერიოზული იქნება, რადგან ეს ყველაფერი გამოძიებამ უნდა დაადგინოს. წინა ხელისუფლების მსგავსად, ჩვენ ვერ დავიწყებთ, რომ ჯერ კონკრეტულ პიროვნებას ხელი დავადოთ და ამის შემდეგ მოვძებნოთ მტკიცებულებები. რამაზ ნიკოლაიშვილი ამ სამინისტროს ხელმძღვანელობდა, მაგრამ იკვეთება თუ არა მისი ბრალეულობა ტენდერებსა და შესყიდვებში გამოვლენილ დარღვევებში, ეს გამოძიებამ უნდა დაადგინოს. გიმეორებთ, წინა ხელისუფლების მსგავსად, ჩვენ არ ვმუშაობთ რომელიმე ადამიანის წინააღმდეგ, რათა მისი სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი დადგეს, ეს ჩვენი მიზანი არ არის.

ბოლო დროს, „ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლები ამბობენ, რომ მათ დროს ყველაფერი სუფთად კეთდებოდა, მაგრამ ჩვენ კონკრეტულ ფაქტებს ვდებთ — სუფთად კი არა, ყველაფერი სერიოზული დარღვევების ხარჯზე კეთდებოდა, რის გამოც სახელმწიფომ იზარალა. ვინ დგას ამის უკან, დიდი მნიშვნელობა არ აქვს, ეს უკვე გამოძიების საქმეა.

P.S. იმ ექვს კომპანიას შორის, რომელზეც რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სატენდერო დოკუმენტები გასცა, დასახელებულია შპს „სანი“. შეგახსენებთ, რომ 2010 წელს, შპს „სანი“-მ ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ გამოცხადებულ აუქციონზე, იოსებ ჟორდანიას სახელობის ადამიანის რეპროდუქციის ინსტიტუტი შეიძინა. ცხადია, „ვერსია“ მყიდველი კომპანიით დაინტერესდა და შპს „სანის“ შესახებ საკმაოდ სკანდალურ ინფორმაციას გადააწყდა. „გუგლის“ საძიებო სისტემაში შპს „სანი“-ს სახელით რეგისტრირებული რამდენიმე კომპანია აღმოვაჩინეთ, მეტიც, „ყვითელი ფურცლების“ ვებგვერდზე, 15-მდე, სრულიად განსხვავებული პროფილისა და სულ სხვადასხვა იურიდიულ მისამართზე მდებარე შპს „სანი“ აღმოვაჩინეთ.

ნინო კომახიძე
პოლიტიკა

„მოსახლეობა ბიძინასთან ერთი ერთზე დარჩება და ანგარიშს გაუსწორებს!“

ერთ-ერთი პირველი „ნაციონალი“, ვინც ბადრი ბასიშვილთან, დავით კირკიტაძესთან და სხვებთან ერთად, წლების წინ, საკუთარი პარტიის სიძლიერის გარანტი იყო, გასულ კვირას ერთ-ერთი ბოლო დაიჭირეს. მიმდინარე პროცესებისა და დაჭერების შესაფასებლად ხონის მაჟორიტარ დეპუტატს, ფრაქცია „ნაციონალური მოძრაობა – მაჟორიტარების“ ლიდერს, აკაკი ბობოხიძეს მივმართეთ, რომელიც შეფასებებში კიდევ უფრო შორს წავიდა, „ნაციონალების“ დანაშაულებრივ ქმედებებზე ისაუბრა, „ოცნებისა“ და „ნაციონალების“ უკანონობები ერთმანეთს შეადარა და ბიძინა ივანიშვილს „ცუდად დამთავრება“ უწინასწარმეტყველა:

— „ოცნების“ ანგარიშზე კიდევ ერთი დაჭერილი „ნაციონალია“ — კახა გეწაძე, რომელიც რიგითი ლიდერი არ არის. როგორ აფასებთ მის დაპატიმრებას?

— კახა გეწაძე რიგითი ლიდერი ნამდვილად არ არის, თან ზესტაფონის გამგებელობაც არ არის უმნიშვნელო პოსტი.

— მით უმეტეს, როცა ვრცელდება ინფორმაცია, „ფეროდან“ ფულსაც „ტეხავდაო“.

— როგორ გეკადრებათ?! კახა ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტია და მიუხედავად იმისა, რა განცხადებებიც უნდა კეთდებოდეს დღევანდელი რეჟიმის მინისტრებისგან, სპორტის დეპოლიტიზაცია ხდებაო, ფიცი მწამს, ბოლო მაკვირვებს — ფაქტობრივად, ამ სფეროს პოლიტიზაცია მიდის სრული მასშტაბით! იმის ფონზე, რომ ამ ქვეყანაში ლევან გაჩეჩილაძის შვილი გირაოთი თავისუფლდება მაშინ, როცა ადამიანის დაჭრაში მთავარი ეჭვმიტანილია, ეკა ბერიძის შვილიც გირაოთი თავისუფლება, თანაც მიმალვაში მყოფი, კახა გეწაძის დაკავება სწორედაც პოლიტიკური დევნის ელფერს იძენს! იგივე შეიძლება ითქვას თენგიზ გუნავაზეც — მართლა რომ იყოს ეს კაცი დასაჭერი, მეორედ დაკავება უკვე დევნა გამოდის. აბა, როცა ფაქტი ხელში არ გეკავა და მაშინაც იჭერდი, ე.ი. ძალიან გინდოდა მისი დაჭერა. ალბათ, სჯობდა, ეს სურვილი არ გაემჟღავნებინათ და როცა სერიოზულ ბრალს უნახავდნენ, მერე დაეწყოთ მოქმედება. სხვათა შორის, იმ ბრალდებით, რაც მას მეორედ წაუყენეს, ნახევარი საქართველოს დაჭერა შეიძლება, მათ შორის, ყველა პარლამენტარის, რადგან ჩვენც გვაძლევდნენ ბენზინის ტალონებს და ვინ სად და როგორ მოძრაობდა, ამის შესახებ ანგარიშს არავის ვაბარებდით!

— ახლა, ფაქტობრივად, თემას აძლევთ პროკურატურას.

— მათი საქმეა, აიტაცებენ თუ არა ამ თემას. „ნაციონალური მოძრაობა“ არ გაქრება პირისაგან მიწისა, რადგან ამ რეჟიმის პირობებში, ყოველდღიურად მტკიცდება, რომ მათთვის დემოკრატიაზე ლაპარაკი საბაბი იყო. როგორც 1992 წელს, დემოკრატიის ლოზუნგით დაამხეს გამსახურდია და მოვიდა სრულიად ანტიდემოკრატიული ძალა, ახლაც იგივე სიტუაციას, სახეებსა და მეთოდებს ვხედავთ! ჩემდა სამწუხაროდ, მეგონა, 92-იანი წლების სენზე უკვე აცრილი იყო ქართველი ხალხი, მაგრამ 92-იანი წლების მსგავსად, 1-ელ ოქტომბერსაც გადატრიალება მოხდა.

— უფრო სწორად, დემოკრატიული გადატრიალება არჩევნების გზით.

— იმის მიუხედავად, რომ ცვლილება არჩევნებით მოხდა, ეს გადატრიალება ერთი მარტივი მიზეზის გამო გამოდის — „დემოკრატიულ გადატრიალებას“, რომელიც ხალხმა მოახდინა, მმართველობის დემოკრატიული გაგრძელებაც სჭირდება. თუმცა, როცა ხალხის არჩევანი რჩება ცალკე, ხელისუფლება კი თავისივე ლოზუნგების საწინააღმდეგო ნაბიჯებს დგამს, საქმე სწორედ გადატრიალებასთან გვაქვს. სამწუხაროდ, როგორც ჩანს, ქართველი ხალხი შეცდომაში ისევ იმ ძალებმა შეიყვანეს, ვინც 92 წელს ეს უკვე გააკეთა.

— ის, რაც ხდება, ხალხის უმრავლესობის დაკვეთაა, ამიტომ ხალხი და ხელისუფლება ცალ-ცალკე არ არიან, ამ ეტაპზე, ამას ვერ გრძნობთ?

— ეს ხალხის დაკვეთა არ არის — ხალხმა ხმა უკეთეს ცხოვრებას მისცა და დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, დაპირებების შეუსრულებლობას მომავალ არჩევნებზე გააპროტესტებს! ოღონდ, არ ვამბობ, რომ ნაციონალური მოძრაობის მხარდამჭერი პროტესტი იქნება. დღევანდელი რეჟიმის პირველი პირი პოლიტიკური დაკავებების გამო ბოდიშის მოხდას არ აპირებს. უკან იმიტომ კი არ იხევს, რომ ეს ხალხის დაკვეთაა, არამედ იმიტომ, რომ დაჭერების სურვილი პიროვნულად აქვს. ის ჩვეულებრივი რუსი ოლიგარქია და სხვა ტიპის მართვა, უბრალოდ, არ იცის. ქვეყანა შპს ჰგონია, რომელსაც, როგორც თავად ამბობს, დაალაგებს და წავა. ხელისუფლება ივანიშვილისთვის ახალი ექსპერიმენტია, იგი ახალ საწარმოს აწყობს, როცა ააწყობს, დანიშნავს დირექტორს, რომელსაც ჰქვია

რატომ უწინასწარმეტყველებს „ცუდად დამთავრებას“ ივანიშვილს და რატომ ხდება ციხე საინტერესო აკაკი ბობოხიძესთვის

პრემიერ-მინისტრი და თვითონ, როგორც შპს-ს დამფუძნებელი, ისევ რომელიღაც სოფელში დასახლდება, საიდანაც ქვეყნის მართვას გააგრძელებს. ეს სქემა და ბიძინა ივანიშვილის ფრაზები ერთმანეთს 90%-ით ემთხვევა! თუმცა, ამ ქვეყანაში, ნებისმიერ შემთხვევაში, ციხის შიგნით თუ მის გარეთ, ჩვენი ადგილი ნამდვილად გვექნება! არც ციხეა პრობლემა. 1983 წელს, 19-20 წლის ბიჭი, პირველად დავდექი არჩევანის წინაშე და მას მერე, სულ იყო რისკი, ერთ დღეს ციხეში აღმოვჩენილიყავი. მას მერე ამ გადაწყვეტილებით ვცხოვრობ, მით უმეტეს, დღეს ციხეში ისეთ პირებს ვხედავ, შეიძლება, ხვალ და ზეგ იქ ყოფნა საინტერესოც აღმოჩნდეს.

— ვისთან გირჩევნიათ — გეწაძესთან, ახალაიასთან თუ ოქრუაშვილთან?

— თუნდაც კახა გეწაძესთან. ოქრუაშვილი, ალბათ, დიდხანს მაინც არ გაჩერდება ციხეში. ვფიქრობ, მისი ჩამოსვლა გარიგებაა, თუნდაც იმიტომ, რომ პოლიტიკური დევნილის სტატუსი ეძლევა. ქართველი ხალხი იმ უსამართლობებს აღარ შეეგუება, რასაც „ნაციონალური მოძრაობის“ დროს ეგუებოდა, რადგან მთელ რიგ უსამართლობებს ჩვენ დროს ნამდვილად ჰქონდა ადგილი! რაც ყველაზე მთავარია, მოსახლეობამ ძალიან კარგად ისწავლა თავისი გადაწყვეტილებების შეფუთვა — არჩევნების წინა დღემდე გვქონდა განცდა, რომ არჩევნებს ვიგებდით, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ხალხმა კარგად მოახერხა თავისი რეალური განწყობილების არგამხელა.

— ან დაშინების თქვენეული მეთოდები მოძველდა.

— მინდა გითხრათ, ეს ქართველი ხალხის მიერ წინგადადგმული ნაბიჯია და ამ იარაღს მომავალშიც გამოიყენებს, როგორც „ნაციონალების“ მიმართ გამოიყენა.

— „ნაციონალების“ რიგებს ლამის ყოველდღე ტოვებს ახალი დეპუტატი. ეგეც რეჟიმის ბრალი ხომ არ არის, თქვენსავე წევრებს რომ ვერ აკონტროლებთ?

— ეს დღევანდელი ხელისუფლების ბრალი არ არის, მათი ბრალი მხოლოდ ის მეთოდებია, რომლითაც ამ ადამიანების გადაბირებას ცდილობენ. ხოლო იმაზე, რომ ასეთი ხალხი საერთოდ იყო ჩვენს რიგებში, პასუხს მხოლოდ „ნაციონალები“ აგებენ. აქამდე ჩანს, რომ წმინდა პოლიტიკური მოსაზრებების მქონე დეპუტატები არ გადაუბირებიათ. რეალურად, მათკენ ისინი გადავიდნენ, ვისაც რაღაც ბიზნესი აქვს. ალბათ, თავის დროზეც, მერკანტილური მოსაზრებების გამო იყვნენ „ნაციონალური მოძრაობის“ წევრები და ასეთივე მერკანტილური მოტივით გახდნენ დღევანდელ რეჟიმთან მოთანამშრომლე ტიპები. ეს ტიპები აქამდე ჩვენთან რომ იყვნენ, ნამდვილად ჩვენი პრობლემაა და არა ივანიშვილის. გადაბირების მეთოდებზე კი პასუხს ეს რეჟიმი დღეს, ხვალ და ბარემ, ორი თვეც არ აგებს, მაგრამ საკუთარ მოქმედებებზე პასუხისგება 2 თვის მერე მაინც მოუწევს.

— ორი თვის მერე რა ხდება, ემზადებით რამისთვის?

— ჩვენ არა, ამისთვის ხალხი მოემზადება. სხვა ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, 2-3, ან თუნდაც 4-5 თვე, ეიფორიის ის ვადაა, რის შემდეგაც ხალხის რეაქცია მძიმე იქნება. „ნაცმოძრაობის“ ფაქტორი, ბიძინას მომხრეებისთვის მის მიმართ მობილიზების ფაქტორი უფროა, რადგან მოსახლეობას, რომელიც შეცდება არჩევანში, მერე ამის აღიარება ძალიან არ სიამოვნებს ხოლმე. თან მათ ხმა არა „ოცნების“ სასარგებლოდ, არამედ ნაციონალური მოძრაობის წინააღმდეგ, იმ მინუსების გამო მისცეს, რაც ჩვენ ნამდვილად გვქონდა!

— ამას გრძნობთ და აღიარებთ?

— რა თქმა უნდა, ვაღიარებთ, ეს კარგად ვიცით! ხალხი ძალიან მალე დაინახავს, რომ რაც ნაციონალურ მოძრაობაში არ მოსწონდა, იგივე, უფრო აღმატებულ ხარისხში, დღეს მეორდება!

— იმასაც აღიარებთ, რომ იგივეს აკეთებდით, რასაც ახალი ხელისუფლება აკეთებს?

— დიახ! ბუნებრივია, ხალხი აუცილებლად მოითხოვს პასუხს, იმედია, არჩევნების გზით. ამომრჩეველს რა მოლოდინებიც ჰქონდა უკეთესი ცხოვრებისკენ, დღევანდელი რეჟიმისგან ამას რომ ვერ მიიღებს, მერე მოსახლეობა ბიძინასთან ერთიერთზე დარჩება და ანგარიშს გაუსწორებს! ყველა მალე გამოვა ეიფორიიდან, აღარ დაკმაყოფილდება მხოლოდ „ნაციონალების“ „მონსტრებისა“ და იმ ლიდერების დაპატიმრებით, ვინც წარსულში შეცდომებს უშვებდა და აწმყოში წინგადადგმულ რეალურ ნაბიჯებს მოითხოვს. მე კი წინსვლას ვერ ვხედავ, ეს მხოლოდ სტაგნაციისკენ გადადგმული ნაბიჯებია. ერთ დღესაც სახელმწიფო უბრალოდ ვეღარ შეძლებს თავისი სოციალური ვალდებულებების შესრულებას! საერთოდ, ვფიქრობ, ივანიშვილი საკუთარი დაპირებების ტყვეობაშია. ის ხალხს დაპირდა დასაქმებას, ხოლო დასაქმებულებს სამსახურებიდან არ გამოგყრითო, მაგრამ ნახეთ, რა ხდება — პირობას რომ ვერ ასრულებს, ადგილობრივ თვითმმართველობებზე მიუშვა, ძველი თანამშრომლები გამოყარეთ იქიდან და თქვენ დასაქმდითო. ეს ბიძინას მხრიდან მისი აქტიური მომხრეების დაკმაყოფილების ერთადერთი გზაა!

— მერე ფრაქცია „მაჟორიტარების“ თავმჯდომარე და როგორც თავად გგონიათ, ძლიერი ოპოზიცია რატომ ხართ, ეს პრობლემა თუ ვერ მოგიგვარებიათ — რატომ არ აკეთებინებთ „ოცნების“ დეპუტატებს შესაბამის მოწოდებებს?

— პროტესტი და პოლიტიკური ზეწოლა ჩვეულებრივი პროცესია, მაგრამ ეს უკვე გავიდა კანონიერი ფორმებიდან. „ქართული ოცნების“ ხელმძღვანელობა სახიფათო თამაშს იწყებს, როცა ბრბოსა და მასას ასე ცუდად იყენებს.

— ასე ხალხს უწოდებთ?

— როგორც კი ხალხი შერბის შენობებში, ამტვრევს, ლეწავს, სკამებს ყრის ფანჯრებიდან, უკვე ხდება ბრბო! თავისი პასიურობით ხელისუფლება ამ ადამიანებს დანაშაულისკენ აქეზებს და ბოლოს ისე გამოვა, რომ მის მიერვე წახალისებული ხალხის დაჭერა მოუწევს ამ კანონდარღვევებისთვის. ივანიშვილი იმასაც კი ამბობს, რომ ვერ გაანახევრებს გადასახადის ფასს, მაგრამ მოწადინებულია, იქნებ, 10% დავაკლოთო. ახალ მთავრობას ვატყობ, ამაზე „ჩაციკლულები“ არიან, დილიდან საღამომდე სხედან და იმაზე მუშაობენ, რამენაირად, ფასების დაწევა მოახერხონ.

— ეს ცუდია, ამაში რაღა არ მოგწონთ?

— კარგიც არ არის. ნაცვლად პატიოსანი აღიარებისა, ნებისმიერი რამის ხარჯზე, ტარიფების სიმბოლურად დაწევას რომ ცდილობენ, ეს კარგია? მათ ფრაზებს შორის იკითხება, ძალიან გვინდა ფასების კლება, მაგრამ ჯერ არ ვიცით, როგორო. შე მამაცხონებულო, თუ შესწავლილიც არ გაქვს, რა იცი, რომ ამის რესურსი არსებობს? ტარიფების თუნდაც 10%-იანი კლება, ალბათ, ხალხს ტვირთს ვერც შეუმსუბუქებს, სამაგიეროდ, საინვესტიციო გარემოს მნიშვნელოვნად გააუარესებს! ამ ყველაფერს რომ ვუყურებ, ერთ დასკვნას ვაკეთებ — შევარდნაძის მიმართ ეიფორიის გასვლას 12 წელი დასჭირდა, „ნაციონალების“ მიმართ — 8 წელი და, დარწმუნებული ვარ, ივანიშვილის რეჟიმის პირობებში გაცილებით ნაკლები დრო იქნება საჭირო, რადგან შევარდნაძის მერე ახალ ხელისუფლებას აშკარა წინსვლა ჰქონდა!

— მაინც რაში? ოღონდ ახლა საგარეო ურთიერთობები არ ახსენოთ, რადგან ბევრი თანხმდება იმაზე, რომ შევარდნაძე გაცილებით უკეთესი დიპლომატი იყო, ვიდრე თქვენი რეჟიმის ნებისმიერი ლიდერი.

— დღევანდელი რეჟიმი მთლიანად „ჩაციკლულია“ სოციალურ დაპირებებსა და დაჭერებზე — აბა, რაღაცით ხომ უნდა გაამართლონ თავიანთი არსებობა?! რას ვიზამთ, ყველა არჩევანს თავისი ფასი აქვს და ქართველ ხალხსაც მოუწევს თავისი ფასის გადახდა 1-ელ ოქტომბერს გაკეთებული არჩევანის გამო. ეს კი საკმაოდ ძვირი ფასია. დაკარგული ტერიტორიების დაბრუნებაზე ლაპარაკიც ზედმეტია — უბრალოდ, ჩვენ ვკარგავთ სახეს და დასავლეთის აქტიურ მხარდაჭერას. თუ ეს რეჟიმი გონს მალე არ მოვა, ეს პროცესი ხვალ და ზეგ შეუქცევად სახეს მიიღებს და საქართველოს ძვირად დაუჯდება. ეს ნიშნავს ქვეყნის იზოლირებას, ჩვენი ხალხი კი მხოლოდ ერთი პარტნიორის, რუსეთისამარა დარჩება.

— თქვენი სკანდალური განცხადება გახსოვთ, ვინ არის ბასიო? პოზიციები შეგიცვლიათ, როგორც ჩანს.

— დიახ, მახსოვს, მაგრამ ერთია კაკო ბობოხიძის განცხადება, მეორე კი — პრემიერ-მინისტრის. ბოდიშს ვიხდი, რომ თავი ასეთ მაღალ რანგზე გამყავს, მაგრამ ასეთი განცხადება სულ ორი მახსოვს საქართველოში —

ზვიად გამსახურდიამ თქვა, ბუში დინების საწინააღმდეგოდ მიცურავსო და ცუდად დაამთავრდა თავისი საპრეზიდენტო მმართველობა. მერე კაკო ბობოხიძემ თქვა — ვინ არის ჯონ ბასიო და ვერც ჩვენ დავამთავრეთ მთლად კარგად, ასე რომ, ბიძინა ივანიშვილსაც ვურჩევდი, ეს ორი გამოცდილება გაითვალისწინოს, თორემ ცუდად დამთავრების გზაზე გიგანტური ნაბიჯებით მიდის, რადგან ყოველდღე მსგავს განცხადებებს აკეთებს!

ვერსიანიუსი

კახა გეწაძეს აღმკვეთი ღონისძიების სახით 20 000 ლარის ოდენობის გირაო შეეფარდა

ქუთაისის საქალაქო სასამართლომ ზესტაფონის გამგებელს და ჭიდაობის ფედერაციის ყოფილ პრეზიდენტს კახა გეწაძეს აღმკვეთი ღონისძიების სახით 20 000 ლარის ოდენობის გირაო შეუფარდა. მოსამართლე დავით ახალბედაშვილმა ადვოკატების შუამდგომლობა დააკმაყოფილა. გეწაძეს 25 დეპუტატი უდგებოდა თავდებში. კახა გეწაძემ გირაოს თანხა 2 კვირაში უნდა გადაიხადოს, გადახდამდე კი ის ქუთაისის 2 სასჯელაღსრულების დაწესებულებაში იქნება.

შეგახსენებთ, რომ კახა გეწაძეს ბრალი სისხლის სამართლის კოდექსის 239-ე მუხლის III ნაწილით, 118-ე მუხლის III-ე ნაწილითა და 187-ე მუხლის I ნაწილით წარედგინა.

„გამოძიება მას „ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებით ჩადენილი ხულიგნობის“, „ჯანმრთელობის განზრახ ნაკლებად მძიმე დაზიანებისა“ და „სხვისი ნივთის დაზიანების“ გამო ედავება“, — ნათქვამია შსს-ს მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

„პირველი“

„საქართველოსთვის, როგორც აგრარული ქვეყნისთვის, ასეთი სოლიდური ფონდის არსებობას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს“

მაია მიშელაძე
ეკონომიკა

სოფლის მეურნეობის განვითარების 1-მილიარდიანი ფონდი, რომელზეც პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი, ქართულ პოლიტიკაში შემოსვლის დღიდან საუბრობს და რომელმაც საქართველოს სოფლის მეურნეობა უნდა ააღორძინოს, ჯერ არ შექმნილა. მედიის წარმომადგენლებთან შეხვედრის დროს, ბიძინა ივანიშვილმა აღნიშნა, რომ ფონდი აუცილებლად შეიქმნება და 2013 წლის გაზაფხულზე, სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების ჩასატარებლად, ფერმერებს საწვავითა და სოფლის მეურნეობის ტექნიკითაც დაეხმარება. როგორი უნდა იყოს სოფლის მეურნეობის განვითარების ფონდი, კონკრეტულად რა პრიორიტეტები უნდა დაისახოს მიზნად და როგორია ამ მხრივ საერთაშორისო გამოცდილება? ამ თემაზე „ვერსიას“ სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარების პროექტებისა და პროგრამების სპეციალისტი, ნოე ხოზრევანიძე ესაუბრება.

უკვე ცნობილია, რომ სოფლის მეურნეობის განვითარების ფონდის პრიორიტეტი მცირემარჟიანი კრედიტების გაცემა იქნება. პრემიერ-მინისტრმა აღნიშნა, რომ ამ ფონდის საშუალებით, გლეხები და ფერმერები 2-3%-იანი კრედიტების აღებას შეძლებენ. „ვერსიასთან“ საუბრისას ნოე ხოზრევანიძე აცხადებს, რომ მსგავსი მეთოდები ჩვენს მეზობელ თურქეთში, დიდი ხანია, არსებობს:

„სწორედ მცირემარჟიანი კრედიტების გაცემის მეთოდით დააღწია თურქეთის მოსახლეობამ სოფლად სიღარიბეს თავი. შედეგად კი, სოფლის მეურნეობა ისე განვითარდა, რომ თურქეთი შესანიშნავი ექსპორტიორი ქვეყანა გახდა. თუ სოფლის მეურნეობის განვითარების ფონდი იმპორტის შემაჩერებელი, ეროვნული საქმიანობით დაკავდება, ამას მხოლოდ მივესალმები. სხვათა შორის, ბიძინა ივანიშვილმა თავიდანვე თქვა, რომ სოფლის მეურნეობის განვითარების ფონდი 1-მილიარდიანი იქნება, ეს კი ისეთი განაცხადია, რომელიც მთლიანად სოფლის მეურნეობის განვითარებას მოიცავს. მეტიც, სავსებით შესაძლებელია, რომ ამ თვალსაზრისით, ერთ-ერთი სერიოზული დონორი ქვეყანაც კი გავხდეთ, რადგან მართალია, ჩვენი ქვეყნის მასშტაბი მცირეა, მაგრამ სამაგიეროდ, ფონდის მოცულობაა საკმაოდ დიდი. აბსოლუტურად რეალურია, რომ ხვალ და ზეგ, შესაძლოა, საქართველო იმ დონორ ქვეყნებს შეუერთდეს, რომლებითაც დღეს მოქმედი სოფლის მეურნეობის საერთაშორისო ფონდი იკვებება. ეს ფონდი გაერო-ს ეგიდით მუშაობს, მისი წლიური ბრუნვა დაახლოებით, 700 000 000 აშშ დოლარია, ხოლო დონორია ევროპის — 27, ოპეკის (ნავთობის ექსპორტიორ ქვეყანათა ორგანიზაცია — ავტ.) — 17 და აფრიკის — 49 ქვეყანა. საკმაოდ დიდი ფონდია „აღა ხანი“, რომელიც ცენტრალური აზიის ქვეყნებში მოქმედებს, თუმცა მილიარდიანი ბიუჯეტი „აღა ხანის“ ფონდსაც არ აქვს“.

ნოე ხოზრევანიძე ამბობს, რომ თუკი სოფლის მეურნეობის განვითარების ფონდი ამუშავდება, საქართველოში შემცირდება სასურსათო პროდუქტების იმპორტი, გაუმჯობესდება სოფლად მცხოვრები მოსახლეობის საყოფაცხოვრებო პირობები და ქვეყანა გამდიდრების გზას დაადგება. მისი თქმით, სოფლის მეურნეობის განვითარების ფონდების ძირითადი დანიშნულებაა, დაეხმაროს საშუალო, მსხვილ და წვრილ ფერმერულ მეურნეობებს თანამედროვე მეთოდების დანერგვაში:

„ამაში შედის როგორც სასოფლო-სამეურნეო მასალებით მომარაგების გაუმჯობესება, ასევე სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გადამამუშავებელი, თანამედროვე ტექნოლოგიების ათვისება. აუცილებელია, სოფლად საკრედიტო-ფინანსური ინსტიტუტები ჩამოყალიბდეს. თავის დროზე, არსებობდა გლეხთა საკრედიტო კავშირები და ამან საკმაოდ ცუდი მემკვიდრეობა დაგვიტოვა, მაგრამ შეიძლება არსებობდეს ნებისმიერი მცირე საბანკო წარმონაქმნები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, რომლებიც ორიენტირებულნი იქნებიან გლეხებზე. სოფლის მეურნეობა ბანკების პრიორიტეტების ნუსხაში არ შედის, რადგან ეს დარგი ყოველთვის რისკის ზონას განეკუთვნებოდა. აქედან გამომდინარე, კარგ მაგალითად თურქეთი მიგვაჩნია, ჩვენს მეზობელ ქვეყანაში ვერ ნახავთ სოფელს, სადაც არ არსებობს ფინანსური ინსტიტუტი. თუ ტიპიურ თურქულ სოფელში 5 000 კაცი მაინც ცხოვრობს, იქ „ზირაათ ბანკის“, ანუ „სოფლის ბანკის“ ქვეგანყოფილება ყოველთვისაა. ეს არის ერთ-ერთი ბანკი, რომელიც თურქეთის ტერიტორიაზე საკმაოდ დაბალპროცენტიან კრედიტებს გასცემს“.

ნოე ხოზრევანიძის თქმით, პოსტსაბჭოთა სივრცეში მოლდოვა ერთადერთი ქვეყანაა, სადაც ფინანსური ინსტიტუტები საკმაოდ წელგამართულად მუშაობენ. არსებობს მსხვილი ბანკები, რომლებსაც საკმაოდ მიზერული რაოდენობის აგრო-კრედიტები აქვთ გაცემული, რადგან საპროცენტო განაკვეთების მარჯა საკმაოდ მაღალია. არადა, სოფლად მომუშავე მიკროსაფინანსო ინსტიტუტის მარჯა საკმაოდ დაბალი უნდა იყოს. რაც მთავარია, ვერანაირი გაცემული კრედიტი ვერ მოგვცემს შედეგს, თუ არ არსებობს ამ კრედიტის გაცემის დანიშნულება, მიზანი, რეალური შესაძლებლობები. ფერმერმა უნდა შეძლოს მიკროპროექტის მომზადება, რომელსაც ნებისმიერი ფონდი დააფინანსებს. შესაბამისად, აუცილებელია, რომ ჩვენს გლეხებს პროექტის შედგენის უნარ-ჩვევებიც გამოუმუშავდეთ:

„დაკრედიტების გარდა, სერიოზული საკითხია პროდუქციის გადამუშავება და მარკეტინგი. ამ მხრივ, ჩვენ ერთი საუკუნით ჩამოვრჩით, თუნდაც ჩვენს მეზობელ სომხეთსა და აზერბაიჯანს, სადაც სოფლის მეურნეობის პროდუქტების გადამამუშავებელი მცირე საწარმოები საკმაოდ სწრაფი ტემპით ვითარდება. აქედან გამომდინარე, ვფიქრობ, ეს ფონდი სერიოზული ხსნა უნდა იყოს სწორედ ადგილზე წარმოებული პროდუქტების პირველადი, ან სრული გადამუშავების მიმართულებით. ბიძინა ივანიშვილმა სწორედ ამაზე გაამახვილა ყურადღება, როდესაც აღნიშნა, რომ უნდა შეიქმნას 67 მცირე და საშუალო ზომის საწარმო, სადაც ადგილზე წარმოებული ნედლეული გადამუშავდება. სამომავლოდ, პროდუქციის რეალიზაციისთვის, ცხადია, ამას მარკეტინგის გეგმებიც დაემატება და ვფიქრობ, სერიოზული გარღვევა იქნება ამ თვალსაზრისით“.

ფონდის პრიორიტეტები — დაბალპროცენტიანი კრედიტები, გადამამუშავებელი საწარმოები და ეროვნული პროდუქციით გაჯერებული ბაზარი



მცირე და საშუალო გადამამუშავებელი საწარმოები საქართველოს რეგიონების სპეციფიკის მიხედვით შეიქმნება. ნოე ხოზრევანიძის თქმით, მეტ-ნაკლებად, ყველა რეგიონში არსებობს მაპროფილებელი დარგები და შესაბამისად, გადამამუშავებელი საწარმოები სწორედ ამ დარგებს მიებმება. მართალია, კახეთში ტრადიციულ დარგს ღვინის წარმოება მიეკუთვნება, მაგრამ სულაც არ არის აუცილებელი, რომ მთელ რეგიონში მხოლოდ ყურძნის გადამამუშავებელი საწარმოები შეიქმნას. სოფლის მეურნეობის განვითარების ფონდების არსი ისაა, რომ ტრადიციულ კულტურასთან ერთად, ხელს უწყობს არატრადიციული ჯიშების დანერგვასაც:

„მართალია, კახეთში ყურძენი ტრადიციულია, მაგრამ აქ არატრადიციული კულტურის მოყვანაც შეიძლება. კახეთის ზონის მთისწინებში შესანიშნავად ხარობს წიწიბურა, ზემო აჭარისა და გურიისთვის შეიძლება განვიხილოთ ჩხავერი, თხილი და კივი, ანუ ალტერნატიული კულტურები, რაც დამატებით შემოსავალს მოგვიტანს. წიწიბურა საკმაოდ კალორიული მარცვლეული კულტურაა და მისი მოყვანა შიდა ქართლის მთისწინებსა და მესხეთშიც შეიძლება. მთის მდინარეებზე თავისუფლად შეგვიძლია, თევზის წარმოება განვავითაროთ. საკმაოდ სერიოზული თემაა დახურული გრუნტის (ეგრეთ წოდებული სათბურების) მებოსტნეობის განვითარება. საქართველოში ბევრი თერმული წყლები გვაქვს და დახურული გრუნტის მებოსტნეობის განვითარებას მტკვრისა და რიონის ხეობებში, ასევე ასპინძის რაიონში შევძლებთ. იმ შვიდთვიან პერიოდში, ანუ ოქტომბრიდან მაისის ჩათვლით, როდესაც სოფლის მეურნეობის პროდუქცია უკვე მოლეულია, დახურული გრუნტის ბოსტანი საქართველოს სასურსათო ბაზარს სრულად დააკმაყოფილებს. ეს მართლაც, სერიოზული განაცხადი იქნება, რადგან სწორედ ამ პერიოდში, იმპორტირებულ პროდუქციას ჩაანაცვლებს“.

ნოე ხოზრევანიძე აცხადებს, რომ სოფლის მეურნეობის განვითარების ფონდმა განსაკუთრებული მნიშვნელობა ინფრასტრუქტურულ პროექტებს უნდა მიანიჭოს. წინააღმდეგ შემთხვევაში, თუ სოფელში მაცხოვრებელს საირიგაციო, ან სასმელი წყალი არ მიეწოდება, არ ექნება ელექტროენერგია, ვერ მიიღებს ამბულატორიულ და სამედიცინო მომსახურებას ადგილზე, სოფლის მდგრად განვითარებაზე ფიქრი გაჭირდება. მისი თქმით, სოფლის მეურნეობა ეს არის დრო და სივრცე, სეზონურობა, რასაც სტიქიური მოვლენები ემუქრება. ხოზრევანიძე ამბობს, რომ საქართველოსთვის, როგორც აგრარული ქვეყნისთვის, ასეთი სოლიდური ფონდის არსებობას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს.

ექსკლუზიური ინტერვიუ ბაჩო ახალაიას მეუღლესთა

მე-5 გვერდიდან

— სულ ახლახან კიდევ ერთი ახალი საკითხი გაჟღერდა თქვენი მეუღლის მისამართით, იარაღის შესყიდვისას ე.წ. ფულის გათეთრება. არსებობს ინფორმაცია, რომ გამოძიება ამ მიმართულებითაც მუშაობს.

— უკვე იმდენი გაუგონარი ფანტაზიის მქონე ბრალდება დაუკავშირეს ბაჩოს, რომ აღარც ვიცი, რა რეაქცია უნდა მქონდეს, უნდა ვიტირო თუ ვიცინო? აღარაფერი მიკვირს, მალე შეიძლება ყველაფერში დაადანაშაულონ, რა ბრალდებაც კი შეიძლება არსებობდეს იურისპრუდენციაში. კომენტარის გაკეთებაც კი აღარ მსურს.

— ანა, თქვენი მეუღლის ოჯახის მისამართით არაერთი ბრალდება მოვისმინეთ წინასაარჩევნოდაც და პოსტსაარჩევნო პერიოდშიც. დაწყებული წყნეთის სასახლიდან თქვენი დედამთილის ჯანმრთელობის მდგომარეობით დამთავრებული... საქართველოში უკვე შეუძლებელი გახდა, ერთმანეთისგან ჭორი და მართალი გაარჩიო.

— ეს სახლი დათას სიმამრის გახლავთ, რომელიც წყნეთში მას ჯერ კიდევ რამდენიმე წლით ადრე ჰქონდა, ვიდრე დათა ახალაია მისი სიძე გახდებოდა. ჩვენი ოჯახის მისამართით ცილისმწამებლური შავი პიარის კიდევ ერთი დადასტურება იყო ჩემი დედამთილის მისამართით გაკეთებული აბსურდული და ღირსებაშემლახველი განცხადებები. ეს განცხადებები რომ გამოგონილი იყო, იმითაც დასტურდება, რომ ქალი არ მუშაობს, დიასახლისია და ჭორებს უვრცელებდნენ, იმდენად ცუდადაა, რომ პედაგოგია და სკოლაში იძახებენ პირდაპირ სასწრაფოებსო. ასე ხელოვნურად ცდილობენ ჩვენი ოჯახის წევრების დისკრედიტაციას. ძალიან რთულია და არავის ვუსურვებ ამ მდგომარეობაში ყოფნას, რაც ჩვენმა ოჯახმა გადაიტანა.

— როგორ ფიქრობთ, რა იყო ბაჩო ახალაიას მთავარი შეცდომა ხელისუფლებაში მისი ყოფნის პერიოდში?

— სწორედ ის, რომ მხოლოდ 24-საათიან სამუშაო რეჟიმში ყოფნისას, მის წინააღმდეგ ხელოვნურად აგორებულ ამ შავ პიარს იგნორირებას უკეთებდა და მასმედიასთან მყისიერად არ რეაგირებდა, არ აპიარებდა თავის გაკეთებულ საქმეებს. ბაჩო ყოველთვის ამბობდა, რომ ის ქვეყნისთვის აკეთებდა სასიკეთო საქმეებს და ამის გაპიარებას, თავის დადებითად წარმოჩენას არ ცდილობდა.

იგივე ციხეში ე.წ. ცოცხით გაუპატიურების სცენები, რომელიც გაირკვა, რომ არც ყოფილა რეალურად. საერთოდ, ეს საკითხი გამოძიების საგანი უნდა გახდეს. საუბარია, რომ ეს სტუდიური ჩანაწერებია, სპეციალურად გადაღებული. მოვა დრო, რომ ეს კადრები, მათი ჩამწერებიც და გავრცელების დამკვეთებიც დადგენილი და გამოძიებული იქნება. მოვა დრო, ეს ციხის კადრებიც გამოძიებული იქნება და სიმართლე გაირკვევა. ბაჩო შოკირებული იყო ამ კადრებით. ზოგადად, მინდა გითხრათ, რომ ამ მთავრობის პირობებში ჩვენ ობიექტური გამოძიების იმედი არ გვაქვს. როცა იუსტიციის მინისტრი და მთავარი პროკურორი ადამიანს, ჯერ კიდევ გამოძიების დაწყებამდე მოიხსენიებენ ზიზღით, გამოჰყავთ მონსტრად, სასამართლოს განაჩენის გამოტანამდე უკვე თავად გამოაქვთ მსჯავრი, სვამენ იმავე კამერებში, სადაც კანონიერი ქურდებია, ახდენენ ჯარისკაცების კაბინეტებში დაბარებას და აიძულებენ ბაჩოს წინააღმდეგ ჩვენებების მიცემას, როგორ ფიქრობთ, ეს არ არის შერჩევითი სამართალი და მიზანმიმართული პოლიტიკური ანგარიშსწორება?!

თუმცა, მე მაინც ქართული საზოგადოების იმედი მაქვს, ისინი არ მოიწონებენ ამას. ეს არ გახლავთ სამართლიანობა ან სამართლიანობის განცდის შექმნისკენ სწრაფვა. დაჭერებით ვერ გადაიფარება სოციალური ფონის სიდუხჭირე და კრიმინოგენული სიტუაციის გაუარესება, რომელიც კიდევ უფრო ღრმავდება. დრო აუცილებლად იტყვის თავის სათქმელს. ჩვენ არ გვაქვს დღევანდელი ხელისუფლებისა და ტერორის პირობებში სიმართლის დადგენის იმედი, მაგრამ საერთაშორისო სასამართლოებში სამართალს აუცილებლად მივაღწევთ. სტრასბურგში შეტანილი საჩივრიდან ჩვენ არ მოვითხოვთ სახელმწიფოსგან ფულად კომპენსაციას, მაგრამ მოვითხოვთ სიმართლის დადგენას და აღსრულებას.

ანა ნადარეიშვილი: „ბაჩოს წინააღმდეგ ჩვენებების მიცემას ჯარისკაცებს ირაკლი აღასანიას დაცვის ყოფილი უფროსი აიძულებს“

— ციხიდან გამოსვლის შემდგომ, როგორ ფიქრობთ, თქვენი მეუღლე დარჩება პოლიტიკაში?

— არ ვიცი, ამაზე ბაჩომ უნდა გიპასუხოთ. მე ის ვიცი, რომ ახლა სადაც არის, იქაც ქვეყნის სამსახურშია. ციხიდან გამოსვლის შემდგომაც, სადაც უნდა იყოს, ბაჩო ახალაია იყო და იქნება ქვეყნის სამსახურში.

მეუფე იობის თანადგომით, პატიმარი ბერი კონსტანტინე, უნიკალური, არქეოლოგიური ექსპონატების მუზეუმს შექმნის

„მამა დავითთან ურთიერთობით მე ბიბლიური ჭეშმარიტებანი შევიგრძენი!“

მარი შათირიშვილი

სასჯელაღსრულების დეპარტამენტის №18 დაწესებულებაში, ანუ ციხის რესპუბლიკურ საავადმყოფოში მყოფი პატიმარი, ბერი კონსტანტინე (ერისკაცობაში – ერმილე თორთლაძე) „ვერსიას“ ექსკლუზიურად უმხელს გეგმას, რომელიც თავის მოძღვართან, აწგარდაცვლილ მამა დავითთან (კოღუაშვილი) ერთად შეადგინეს და რომელიც ახლა რუის-ურბნისის მიტროპოლიტ, მეუფე იობის თანადგომით უნდა განხორციელდეს. საუბარია უნიკალურ, შესაძლოა, რამდენიმე მილიონ დოლარად ღირებული არქეოლოგიური ექსპონატების მუზეუმის შექმნაზე, რომელსაც მამა კონსტანტინე მემკვიდრეობით ფლობს და მან საქართველოს საპატრიარქოს აჩუქა. ჩვენთან საუბარში მამა კონსტანტინე გვთხოვს, დრო დავუთმოთ მისი მოძღვრის – მამა დავითის პორტრეტს, რადგან სწორედ მან შეასრულა უდიდესი როლი მის ბერად აღკვეცასა და მუზეუმის შექმნის იდეაში. „მასთან ურთიერთობით მე ბიბლიური ჭეშმარიტებანი შევიგრძენი!“, – ამბობს მამა კონსტანტინე.

„მე ვიპოვე ის მოძღვარი, რომელსაც მთელი ცხოვრება ველოდი!“

— მათეს სახარების მე-18 თავი ბრძანებს — **„რა გგონიათ თქვენ, კაცს რომ 100 ცხვარი ჰყავდეს და ერთ მათგანს გზა აებნას, განა მთებში არ მიატოვებს 99-ს და არ წავა დაკარგულის მოსაძებნად? თუ მოხდება და იპოვის მას, ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ, რომ უფრო მეტად გაიხარებს მასზე, ვიდრე 99-ზე, რომელთაც გზა არ აბნევიათ“,** – მღვედელ-მონაზონი მამა დავითი (კოღუაშვილი) სწორედ ის პიროვნება იყო, რომელიც ასე ეძებდა თითოეულ ადამიანს, რათა გადაერჩინა და დედაეკლესიაში მოეზიდა მათი სულები. იგი ამას ჭეშმარიტად, გულით აკეთებდა, თითოეული მათგანი მისთვის სათნო და საყვარელი იყო. ჩვენი სულიერი ძმობა კარდიოლოგიურ კლინიკაში გაცნობის შემდეგ დაიწყო. მათე მახარებელი გვეუბნება – **„იესო ბრძანებს – „ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ: თუ ისე არ ჰპოვებთ სულის სიმშვიდეს, ვინაიდან ჩემი უღელი საამურია და ჩემი ტვირთი – მსუბუქი... შედით ვიწრო კარიბჭით, ვინაიდან ფართოა კარიბჭე და განიერია გზა, რომელსაც დაღუპვისაკენ მიჰყავს და მრავალნი დადიან მასზე; ვინაიდან ვიწროა კარიბჭე და ვიწროა გზა, რომელსაც სიცოცხლისაკენ მიჰყავს და მცირედნი ჰპოვებენ მას“.** – ამის განხილვამ, ამაზე საუბრებმა დამანახა ის გზა, რასაც ყოველთვის ვეძებდი და ზუსტად უფლის შემწეობა იყო, რომ ვიპოვე ის მოძღვარი, რომელსაც მთელი ცხოვრება ველოდი. ასევე მათეს სახარებაშია თავი, რომელიც ზუსტად მიესადაგება მამა დავითს – **„არის კი თქვენს შორის ისეთი კაცი, საკუთარი შვილი პურს სთხოვდეს და ის კი ქვას აძლევდეს? ანდა თევზი რომ სთხოვოს, გველი მიაწოდოს?“** – მამა დავითი მე მაძლევდა პურს, სიყვარულსა და ცხონებას, ვცდილობ, მთელი გულით წარმოგიდგინოთ ჩემი გრძნობა მოძღვრის მიმართ, დადასტურებული წმინდა წერილით – **„ნეტარ არიან სულით ღარიბნი, ვინაიდან მათია ცათა სასუფეველი,“** – მამა დავითი უბრალო ხის ჯვრით დადიოდა, ეს იყო ყველაზე დიდი წყალობა, რაც კი მას უფალმა მიჰმადლა, ხოლო მათეს სახარების მე-9 თავი — დავრდომილის განკურნება თითქოს მთლიანად ჩემზე დაწერილა! პირველი ჭეშმარიტი აღსარება მას ჩავაბარე და ზიარებაც მისგან მივიღე. მე მას „მამაოს“ კი არა, „მამას“ ვეძახდი, არამხოლოდ მამაშვილური, მეგობრული დამოკიდებულებაც გვქონდა, მაგრამ ის ყოველთვის ჩემს მოძღვრად რჩებოდა. მართლა ძალიან ვუყვარდი, მპატრონობდა, მოჰქონდა ხატები და წიგნები... ამას ყველა მოძღვარი აკეთებს, მაგრამ მის ქმედებებში იყო საოცარი თანმიმდევრულობა – ნელ-ნელა მოჰქონდა რწმენა, რომ ერთბაშად დაბრკოლების წინაშე არ დავმდგარიყავი. ამას ახლა მივხვდი, როცა ჩემს გვერდით აღარ არის, თუმცა მისი სული ყოველთვის ჩემთანაა — როგორ ნელ-ნელა მოვყავდი გოლგოთის მთისკენ, რათა ჩემი პირველი დაცემა მწარე არ ყოფილიყო და ადგომა შემძლებოდა. ყოველ დაცემაზე ხელს მიწვდიდა და ყოველთვის ვდგებოდი...

„ძმაო კონსტანტინე, კეთილი იყოს შენი მოსვლა საძმოში!“

— ერთი ეპიზოდი უნდა გავიხსენო ჩვენი ურთიერთობიდან – ჩემს ქალიშვილთან ტელეფონით უსიამოვნო საუბარი მომიხდა, აღშფოთებულს წყევლა წამომცდა... ისეთ დღეში ჩავვარდი, კინაღამ გავგიჟდი. ყველა მამაოსთან დავრეკე, ვისთანაც შევძელი, მათ შორის, ცხადია, მამა დავითთან. მოვიდა და რომ გაიგო, რა შემემთხვა, 50 მეტანიის გაკეთება დამადო სასჯელად... მიუხედავად იმისა, რომ კარგად იცოდა, ჩემი ჯანმრთელობის პატრონს, ამ დატვირთვაზე სულ თავისუფლად შეიძლებოდა, გული გამჩერებოდა! იდგა და ჩემთან ერთად ყოველ მეტანიაზე ვხედავდი, როგორ იტანჯებოდა, მაგრამ მე გავაკეთე 50 მეტანია და გადავრჩი! მის დაბადების დღეს — 11 ნოემბერს, 2009 წელს ნუსხა-ხუცურით დავუწერე მისალოცი წერილი, რომელიც შვილის ნახატების გვერდით ეკიდა კედელზე. მამა დავითის ბოლო სიტყვები იყო: „ძმაო კონსტანტინე, კეთილი იყოს შენი მოსვლა საძმოში!“ არ ვიცი, რა იგულისხმა, ახლა მგონია, გრძნობდა უფალთან წარდგომის ჟამის მოახლოებას და ამით მორჩილება მომიხსნა. ვიდრე მამა დავითად იწოდებოდა და მამა კონსტანტინე იყო, სეხნიას მეძახდა – შენ არ იცი, რამხელა ძალა აქვს შენს ლოცვას, ვინაიდან დახსნილებასა და საკრეველში მყოფი ადამიანის ლოცვას ვერანაირი კედელი და გისოსი ვერ შეაჩერებს და როცა ეს ბერის ლოცვაა, ნიშნავს, რომ დიდ სქიმაში ხარ შესულიო. ამის რეალური ძალა ჩემს თავზე განვიცადე. მოხდა ისე, რომ სწორედ მისი გარდაცვალების დღეს დავრეკე, მიპასუხა მისმა ქალიშვილმა ნინომ – ახლა კარგადაა, ახლა უკვე აღარაფერი სტკივაო! მეორე დღეს გავიგე, რომ აღესრულა. მჯერა, რომ მისი სული მხოლოდ ჩემთან კი არა, ყოველ ქართველთანაა. მამა დავითის კურთხევით შეიქმნა ჩემი ტიპიკონი და უფლის ნებით, როცა მონასტერზე გავხდი რიცხული, ღირსმა ზენონმა ეს ტიპიკონი დამიტოვა. ახლაც იმით ვცხოვრობ და ერთი ოცნება მაქვს, თუ გარდაცვალების შემდეგ, უფალი ინებებს ჩემს ცხონებას, ერთხელ მაინც, ჩემი მამა დავითი ვიხილო!

> **„ერთი ოცნება მაქვს, თუ გარდაცვალების შემდეგ უფალი ინებებს ჩემს ცხონებას, ერთხელ მაინც, ჩემი მამა დავითი ვიხილო!**

„გეგმები, რაც მამა დავითთან ერთად დავაწყვე, უფლის ნებით და მეუფე იობის წყალობით, მალე განხორციელდება“

— **ძალიან მალე – 2013 წლის 2 იანვარს, მამა დავითის გარდაცვალებიდან 1 წელი სრულდება. მუზეუმის შექმნის იდეის განხორციელება ხომ არ შეაფერხა მისმა გარდაცვალებამ?**

— სხვათა შორის, მამა დავითი იყო ბოლო, ვინც ილორის წმინდა ტაძარი მოილოცა 2010 წელს, მას რამდენიმე ეკლესია ჰქონდა აღდგენილი, ეკლესიაში აჭმევდა უპოვართ, მოხუცებს... გარდა მუზეუმისა, მამა დავითმა დამავალა, როგორც მის მორჩილებაში მყოფ ბერ-მონაზონ კონსტანტინეს, ერთად გვეფიქრა, როგორ დაგვეყენებინა ფეხზე ვაკის მე-9 საავადმყოფოსთან არსებული წმინდა ანდრია პირველწოდებულის ეკლესია-მონასტერი, სადაც რამოდენიმე ამოცანა ჰქონდა დასახული: 1. უპოვრების უფასო დაპურება, 2. რამოდენიმე ოთახის შენარჩუნება საავადმყოფოში, სადაც უფასოდ უმკურნალებდნენ გაჭირვებულებს, 3. მაწანწალა ბავშვების მოზიდვა ეკლესიის წიაღში და მათი ფსიქოლოგიური რეაბილიტაცია. 4. ძმური ურთიერთობის დამყარება მსოფლიოში არსებულ ანალოგიური წოდების მართლმადიდებლურ მონასტრებთან, რისთვისაც სტუმრებისთვის კელიაც კი გავაკეთეთ. კიდევ ვგეგმავდით კელიების გაკეთებას, რომ ბერები მოგვეზიდა, გვინდოდა გაცვლითი პროგრამა 40 სებასტიანელ მოწამეთა მონასტერთან. 5. ხატწერის სკოლის შექმნა, სადაც მინანქარსაც შეისწავლიდნენ, წარჩინებული სტუდენტების მოზიდვა, რათა მღვდელმსახურება ესწავლათ; 6. მეცნიერების ცენტრის შექმნა, სადაც ბერების სულიერ მეცნიერულ შრომას ავაღორძინებდით – ლექციების წაკითხვა, სასულიერო ლიტერატურის განხილვა... ჩვენთან ახლა ხდება დაკარგული ბერული ცხოვრების აღორძინება, ბევრი ღირსი მამა აკეთებს ამას, ჩვენ ჩვენი გვინდოდა, გაგვეკეთებინა. 7. ყველაზე მთავარი – გვინდოდა, შეგვექმნა მუზეუმი, რომელიც წარმოაჩენდა ჩვენი ქვეყნის უდიდეს კულტურას, გამოგვეფინა როგორც არქეოლოგიური, ასევე საეკლესიო ხელოვნების ნიმუშები, რასაც მოვიპოვებდით. მე მაქვს უნიკალური, თითქმის შეუფასებელი ექსპონატები. ამ მუზეუმის ბაზაზე ექსპონატების მულიაჟები ბერებს დაემზადებინათ, რომელიც გაიყიდებოდა და თანხა ეკლესიას მოხმარდებოდა. ასლები მთელ მსოფლიოში გავიდოდა და ამ კუთხითაც გაიცნობდნენ საქართველოს. მამა დავითი რომ აღესრულა, 2012 წლის 2 იანვარს და ჩემი ღრმა რწმენით, უფლის წინაშე წარსდგა ნათელში, ეულად დავრჩი და უფლის ნებით, იმერხევის ღვთისმშობლის მიძინების მამათა მონასტერზე რიცხული ძმა გავხდი. წინამძღვარი იღუმენი მამა ზენონის და რუის-ურბნისის ეპარქიის მიტროპოლიტ, ყოვლადუსამღვდელოეს იობის კურთხევით მოხდა, რაც ყველაზე სასიხარულოა ჩემთვის, რომ ის გეგმები, რაც მამა დავითთან ერთად დავაწყვე, უფლის ნებით და მეუფე იობის წყალობით, მალე განხორციელდება.

— **საიდან გაქვთ ეს უნიკალური ნივთები?**

— ჩემი ბაბუა – ერმილე თორთლაძე იყო ნიკოლოზ იმპერატორის სამხედრო ატაშე ირანში. იგი შეყვარებული იყო საქართველოს ისტორიასა და მის კულტურულ მემკვიდრეობაზე და ჰქონდა დაცული ისტორიული მნიშვნელობის ნივთები, რასაც მთელი ცხოვრება აგროვებდა. ის დარჩა ჩემს ოჯახს და მე ეს კოლექცია მუზეუმს ვაჩუქე.

„ვიდრე პოლიტიკოსები მსჯელობენ და რაღაცას განიხილავენ, შეიძლება, რომელიმე ავადმყოფი პატიმარი ამ ქვეყნიდან წავიდეს!“

— **მამა კონსტანტინე, აუცილებლად უნდა გკითხოთ, რა მდგომარეობაში არიან დღეს აქ ავადმყოფი პატიმრები?**

— ძალიან მინდა, ყველა პატიმარს, ვინც ავადმყოფია და ციხეში იტანჯება, დროულად მიაქციონ ყურადღება, რადგან ცხოვრება ძალიან ხანმოკლეა და ვიდრე ესენი მსჯელობენ და რაღაცას განიხილავენ, შეიძლება, ვიღაც ამ სოფლიდან წავიდეს!

> **მოვუწოდებ სამღვდელოებას, ჩემ ძმებს, ჩემ მამებს – როგორც ყოველთვის, თქვენ მუდამ მრევლთან იყავით, მათთვის ლოცულობდით, გლახაკი და ცოდვილი ბერ-მონაზონი კონსტანტინე გთხოვთ, გააქტიურეთ თქვენი წმინდა ლოცვა ავადმყოფი პატიმრებისთვის და მჯერა, რომ ამ ლოცვის ძალით, უფრო დაჩქარდება ავადმყოფების დედაეკლესიის წიაღში დაბრუნება. კიდევ ერთი, უდიდესი თხოვნა – ჩემო ღირსო მამებო, ჩემო მოძღვრებო, ჩემო სულიერო ძმებო, ცოდვილი ბერ-მონაზონი კონსტანტინე გთხოვთ, მოიხსენიოთ მღვდელ-მონაზონი მამა დავითი (კოღუაშვილი) თქვენს წმინდა ლოცვებში და მე მჯერა, რომ ასმაგად დაგვიბრუნდება ლოცვის ძალა და მადლი ჩვენ და სრულიად საქართველოს!**

სამწუხაროდ, შეხვედრის ფორმატმა არ მოგვცა საუბრის გაგრძელების საშუალება, ამიტომ დეტალურ ინფორმაციას საპატრიარქოსთვის გადაცემულ უნიკალურ ექსპონატებზე „ვერსია“ ახლო მომავალში შემოგთავაზებთ.

„როცა ეროვნული გმირების მემორიალისთვის განკუთვნილ ფართებს იტაცებენ, გაჩუმება დანაშაულის ტოლფასია!“

ნელი თორდია

როგორ ხდებოდა ტექნიკური უნივერსიტეტისთვის ფართების ჩამორთმევა, ვინ და რატომ მიითვისა ეროვნული გმირების მემორიალური მუზეუმისთვის განკუთვნილი ფართი და რატომ ითხოვს სასწავლებელში მაკონტროლებელთა შესვლას? „ვერსიის“ ამ და სხვა საინტერესო კითხვებს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ფერადი ლითონების კათედრის ყოფილი გამგე ავთანდილ წილოსანი პასუხობს:

სტუ პროფესორი გიული ალასანიასგან ტექნიკური უნივერსიტეტისთვის წართმეული ფართების უკან დაბრუნებას ითხოვს

— ბოლო წლების განმავლობაში ტექნიკურ უნივერსიტეტში ფართების მიტაცებამ იმდენად კომიკური სახე მიიღო, რომ უკვე აღარავის უკვირს სასწავლო კორპუსებთან რესტორნების, სახაჭაპურეებისა და ყველის ქარხნების დანახვა. მესამე კორპუსთან, რექტორატის წინ რომ „ტეხასურ ქათმებს“ დაგიდგამენ და აუდიტორიაში შესვლამდე სტუდენტს ნერწყვი დაახრჩობს, რომელ სასწავლო გარემოზეა საუბარი? ყველაფერს აიტანდა და გადაიტანდა კაცი, მაგრამ, როცა ეროვნული გმირების მემორიალისთვის განკუთვნილ ფართებს იტაცებენ, იქ უკვე გაჩუმება დანაშაულის ტოლფასია. მახსოვს, ერთხელ მიხეილ სააკაშვილმა აღნიშნა, ვლადიმერ ვეკუა ჩვენი ეროვნული გმირიაო და ალბათ უნდა იცოდეს, რომ ამ ეროვნულ გმირს მემორიალური მუზეუმი დედამისმა წაართვა. მოვლენებს თანმიმდევრულად მივყვები და გეტყვით, რომ თავისი რექტორობის პერიოდში რამაზ ხუროძემ გამოსცა ბრძანება ფერადი ლითონების კათედრაზე ეროვნული გმირების — ჟიული შარტავას, ზაზა ბენდელიანისა და ვლადიმერ ვეკუას მემორიალური მუზეუმის შექმნის შესახებ. მშენებლობა დაევალა ზაზა ბენდელიანის მამას ჯუმბერ ბენდელიანს, რომელმაც ფინანსური დახმარება თავის თავზე აიღო, ხოლო მშენებლობის ზედამხედველობა თქვენს მონა-მორჩილს დაევალა. ჟიული შარტავა ჩემი უახლოესი მეგობარი იყო და მემორიალის აშენებას ჩემთვის და თითოეული ჩვენგანისთვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა. მეათე კორპუსის ფერადი ლითონების კათედრაზე, 280 კვადრატული მეტრის ფართობი შავი კარკასიდან აღვადგინეთ, რაც დაახლოებით 47 000 ლარი დაჯდა. ძირითადი სამუშაოები დამთავრებული გვქონდა, როცა გიული ალასანიამ გვთხოვა აღნიშნული ფართის ტექნიკური უნივერსიტეტის პოლიკლინიკისთვის გადაცემა. ეს პოლიკლინიკა განთავსებული იყო უნივერსიტეტის მეხუთე კორპუსში. თავისი „საქართველოს უნივერსიტეტისთვის“ ადგილის გათავისუფლების მიზნით, გიული ალასანიამ პოლიკლინიკის გამოყვანა გადაწყვიტა და ამ მიზნისთვის მაინცდამაინც ეროვნული გმირების მემორიალური მუზეუმისთვის გამოყოფილი ფართის გამოყენება გადაწყვიტა.

— ხომ შეგეძლოთ, უარი გეთქვათ?

— წინააღმდეგობის გაწევა არც ისე ადვილი იყო, თუმცა ამის გაკეთება საკუთარ თავზე ვერ ავიღე და 300 კვადრატული მეტრი რომ გადავეცით, საბუთებზე ხელი დეკანმა ნუგზარ წერეთელმა მოაწერა. წერეთელი გიული ალასანიას ახლობელია და სხვანაირად არც მოიქცეოდა, მაგრამ განსაკუთრებით საინტერესოა იმ ბრძანების საფუძველი, რომელსაც ხელი რექტორმა არჩილ მოწონელიძემ მოაწერა. ბრძანებას საფუძვლად დაედო პოლიკლინიკის მთავარი ექიმის მოხსენებითი ბარათი, სადაც ითხოვდა, პოლიკლინიკა მეხუთე კორპუსიდან მეათეში გადმოსულიყო, ჩვენს კათედრაზე. ვინ კითხავდა იმ ქალბატონს, პოლიკლინიკა რომელი კორპუსიდან რომელში გადავიდოდა? თანაც მემორიალური მუზეუმის ფართი ჩვენი სახსრებით გავარემონტეთ, ამ ხალხმა სრულიად უფასოდ წაიღო და დღესაც იქ არიან. ის ადამიანები ფულის უკან დაბრუნებას მთხოვენ, რაც სრულიად გასაგებია. აღარც მემორიალი არსებობს და აღარც მისი აშენებისთვის დახარჯული ფული დაუბრუნებიათ უკან. გასაგებია, რომ არჩილ მოწონელიძე პრეზიდენტის დედას წინააღმდეგობას ვერ გაუწევდა, თუმცა ასეთი უკანონობით მაინც გაოცებული ვარ. ტექნიკურ უნივერსიტეტს თბილისში უნიკალური პოლიკლინიკა ჰქონდა და ამ გადასვლა-გადმოსვლაში ყველაფერი განადგურდა. პოლიკლინიკის უნიკალური ხელსაწყო-დანადგარები ჩვენი კათედრის პირველ სართულზე ყრია და კაცი არა ჰყავს მომკითხავი. აუცილებლად უნდა ჩატარდეს აუდიტი, რომ გაირკვეს, სად წავიდა ეს ძვირადღირებული ტექნიკა და საერთოდ, რა მოხდა ტექნიკურ უნივერსიტეტში.

> **სხვათა შორის, თავისი „საქართველოს უნივერსიტეტისთვის“ ფართების მოძიების პროცესში, ქალბატონი გიული მარტო გმირების მემორიალზე არ შეჩერებულა. თავის დროზე, პროფესორმა რაფიელ ჩიქოვანმა თავისი სამეცნიერო კვლევითი მუშაობისთვის პოლიკლინიკას საკუთარი სახსრებით მიაშენა სამსართულიანი შენობა. პოლიკლინიკა რომ მოიშორა, გიული ალასანიამ რაფიელ ჩიქოვანის მოცილებაც მოინდომა და მე მთხოვა, იქნებ როგორმე სხვაგან გადავიყვანოთ ეს კაციო. გადაირია ჩიქოვანი, ამ შენობას არავის დავუთმობო, მაგრამ დაათმობინეს და აიძულეს, წასულიყო. ალბათ ხვდებით, რომ წინააღმდეგობის გაწევას აზრი არ ჰქონდა.**

— ტექნიკური უნივერსიტეტის მიტაცებულ ფართებსა და სტადიონზე ბევრს საუბრობდა აწგარდაცვლილი პროფესორი და უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს წევრი მერაბ თევზაძე, თუმცა უშედეგოდ..

— დიახ, მერაბ თევზაძემ ბევრი იბრძოლა, მაგრამ იმ დროს წართმეულის უკან დაბრუნებაზე ოცნებაც კი არ შეიძლებოდა. მერაბ თევზაძის საცხოვრებელი სახლი ტექნიკური უნივერსიტეტის გვერდით მდებარეობდა და სტუ სტადიონი მერაბ თევზაძის მამის, ცნობილი მეცნიერის ნიკოლოზ თევზაძის გაკეთებული იყო. ადრე ტექნიკური უნივერსიტეტის ფეხბურთელთა გუნდი საქართველოს პირველობის მეორე ლიგაში თამაშობდა და ამ სტადიონზე ვარჯიშობდა. რაგბმაც ტექნიკურ უნივერსიტეტში აიდგა ფეხი. ქალბატონმა გიულიმ კი ასეთი ისტორიის მქონე სტადიონი მიითვისა და მაღალი ღობეც შემოავლო. ალასანიას „საქართველოს უნივერსიტეტის“ სტუდენტის გარდა, ფეხს ვერავინ შეადგამს, ისე საგულდაგულოდ აქვთ ჩაკეტილ-ჩარაზული. ვფიქრობ, ახალი ხელისუფლების პირობებში, განათლების სამინისტროში უნდა შეიქმნას სპეციალური კომისია, რომელიც შეისწავლის ტექნიკური უნივერსიტეტის მიტაცებული ფართებისა და აგვისტოს ომის დროს გაყიდული კორპუსის საქმეებს, დაადგენს, როგორ მოხდა 2007 წელს ტექნიკური უნივერსიტეტისთვის აკრედიტაციის შეჩერება, რადგან სრულიად ნათელია, რომ აკრედიტაციის ამბები შემთხვევით არ მომხდარა.

— ვის და რატომ უნდა სდომებოდა ტექნიკური უნივერსიტეტისთვის აკრედიტაციის შეჩერება?

— რადგან საგამოძიებო კომისიის შექმნას ვითხოვ, კონკრეტიზაციისგან თავს შევიკავებ და სპეციალისტების დასკვნას დაველოდები, თუმცა გეტყვით, რომ ის ადამიანი, ვინც აკრედიტაციას ამოწმებდა, ერთ-ერთი ფაკულტეტის დეკანი გახდა, ანუ გაწეული შრომა დაუფასდა. სტუ-სთვის აკრედიტაციის შეჩერების შემდეგ, სრული კატასტროფა იყო, რომ მოიხსნა ყველა კათედრის გამგე და დეკანი, მაგრამ შემდეგ ყველა უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოში ვიხილეთ. ანუ ის ადამიანები, ვინც ტექნიკური უნივერსიტეტი „შეჭამა“, დღესაც მის ბედს წყვეტენ.

> **„მახსოვს, ერთხელ მიხეილ სააკაშვილმა აღნიშნა, ვლადიმერ ვეკუა ჩვენი ეროვნული გმირიაო და უნდა იცოდეს, რომ ამ ეროვნულ გმირს მემორიალური მუზეუმი დედამისმა წაართვა“**

> **სააკაშვილს რომ ჰკითხო, მისი განათლების სისტემა კორუფციისგან თავისუფალი იყო და ტექნიკურ უნივერსიტეტში მისაღებ გამოცდებს დღესაც იგივე თამაზ კუპატაძე ხელმძღვანელობს, რომელიც 1970 წელს ხელმძღვანელობდა. თუ ის სისტემა კორუფციული იყო, მისი ხელმძღვანელი სუფთა როგორ იქნება? „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ ტექნიკური უნივერსიტეტი მთლიანად გიული ალასანიას გემოვნებით იმართებოდა და მისი ნებართვის გარეშე, სასწავლებელში შესვლას ვერც ერთი მაკონტროლებელი ვერ გაბედავდა.**

თქვენც იცით, რომ სააკაშვილის „ზეობის“ პერიოდში არ ვწყვეტდი მამხილებელი ინტერვიუების მიცემას და ისიც იცით, რომ ჩემი ფაქტორის გამო, დეკანმა ნუგზარ წერეთელმა ჩემი შვილი, რომელიც მასთან მუშაობდა, სამსახურიდან გაათავისუფლა. ხელისუფლების ცვლილებისა და შექმნილი სიტუაციის გამო, ორი კვირის წინ, ჩემი შვილი აღადგინეს მთლიან შტატში და ახლა, მით უმეტეს არ ვაპირებ, ამ საქმეს თავი დავანებო.

— გიული ალასანიას ფართების უკან დაბრუნებას მოსთხოვთ?

— დიახ, მეათე კორპუსიდან უნდა გავიდეს უნივერსიტეტის პოლიკლინიკა და აღდგეს ეროვნული გმირების მემორიალური მუზეუმი. უდიდესი ტრადიციების მქონე უნივერსიტეტი უნდა აღდგეს თავის ფუნქციებში. უნივერსიტეტის მიმდებარე ტერიტორია სახინკლეებისა და სახაშეების ადგილი არაა. რაც შეეხება დღევანდელ პოლიტიკურ სიტუაციას, მიხეილ სააკაშვილს ძალიან კარგად ვიცნობ და ვფიქრობ, ის ასე ადვილად არ წავა. ჩვენ რომ გვგონია, ყველაფერი დამთავრდა, ასე არაა. მისი ხასიათი ვიცი, ადვილად ღებულობს გადაწყვეტილებას, ადვილად არაფერს დათმობს. რა თქმა უნდა, დათმობას არც ივანიშვილი აპირებს. მას ძლიერი მუხტი აქვს და ძალიან ტექნიკურად მოქმედებს. მოკლედ, წინ ძალიან საინტერესო პროცესები გველის.

ჩვენთვის ჯერჯერობით უცნობია, დაინტერესდებიან თუ არა შესაბამისი უწყებები ტექნიკურ უნივერსიტეტში ბოლო წლებში განვითარებული პროცესებით და შევა თუ არა სასწავლებელში აუდიტის სამსახური, თუმცა ცნობილია, რომ პროფესორი ავთანდილ წილოსანი მაკონტროლებლებს შესაბამისი განცხადებებით უახლოეს დღეებში მიმართავს.

ᲕᲔᲠᲡᲘᲐᲜᲘᲣᲡᲘ

სიღნაღის მუნიციპალიტეტის გამგებელი თანამდებობიდან გადადგა

სიღნაღის მუნიციპალიტეტის გამგებელი ვაჟა ჯანყარაშვილი თანამდებობიდან გადადგა. როგორც მან კახეთის საინფორმაციო ცენტრს განუცხადა, თანამდებობა პირადი განცხადების საფუძველზე დატოვა.

კახეთის საინფორმაციო ცენტრის ინფორმაციით, გამგებელს თანამდებობიდან გადადგომა „ქართული ოცნების“ წარმომადგენლებმა მოსთხოვეს. „ამ საკითხზე კომენტარს არ გავაკეთებ“, – განაცხადა ვაჟა ჯანყარაშვილმა. სიღნაღის მუნიციპალიტეტის გამგებლად ვაჟა ჯანყარაშვილი 2012 წლის 31 ოქტომბერს დაინიშნა. იგი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრია და მანამდე, საზოგადოებრივი ჯანდაცვის რაიონულ ცენტრს ხელმძღვანელობდა. 26 ნოემბერს თანამდებობიდან გადადგა სიღნაღის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ზაზა ზედელაშვილიც, რომელიც არჩილ მჭედლიშვილმა ჩაანაცვლა.

შეგახსენებთ, არჩევნების შემდეგ თანამდებობებიდან გადადგნენ თელავის, ახმეტის, გურჯაანის, დედოფლისწყაროს, ლაგოდეხის გამგებლებიც.

„ჯი-ეიჩ-ენი“

„მცოდნე და აღუზრდელი თაობა საშიშია!“

მერაბ ბერიძე

თბილისში, მოწყალების მთხოვნელი ბავშვი დიდი ხანია, აღარავის აკვირვებს. თუ გინდათ, არსებული რეალობა მთელი სიმწვავით შეიგრძნოთ, დედაქალაქის მეტროში უნდა ჩახვიდეთ. ლამის ყველა ვაგონში, ერთი და იმავე სურათს წააწყდებით. ზოგი უკრავს, ზოგი მღერის, დიდ ნაწილს კი ხელის გაშვერის მეტი არაფერი შეუძლია. სხვადასხვა სახელმწიფო პროგრამის დაფინანსების მიუხედავად, ამ სფეროში არსებული ვითარება კრიტიკას ვერ უძლებს. მთელი საზოგადოება თუ არ დაირაზმა, ერთსა უწყება პრობლემას ვერ მოაგვარებს. მტკივნეულ თემაზე „მომავლის სახლის“ ყოფილ დირექტორს, ციცა ლანჩავას ვესაუბრებით:

— ბავშვების მიმართ დამოკიდებულებაში, ჯანსაღი სიტუაცია ნამდვილად არ გვაქვს. მზრუნველობა ნაკლებია და ამას დიდი დაკვირვება არ სჭირდება. სამწუხაროდ, მომავალ თაობაზე ზრუნვამ მეორე რიგში გადაინაცვლა.

— რა არის ამგვარი დამოკიდებულების მიზეზი?

— აღზრდის თვალსაზრისით, სკოლებში ბევრი არაფერი კეთდება. მხოლოდ გაკვეთილის ჩატარებით და მშრალი გადაცემით შემოვიფარგლებით. ცხადია, პროფესიონალიზმი და საგნის ცოდნა პრიორიტეტია, მაგრამ მცოდნე და აღუზრდელი თაობა უფრო საშიშია, ვიდრე უცოდინრად გაზრდილი ადამიანი. როდესაც აღზრდა სწავლებას შორდება, იქ უკვე ადამიანური ფასეულობები იკარგება. შეგახსენებთ, ვაჟა-ფშაველას წინასწარმეტყველებას, ღმერთმა არ ქნას, საზოგადოებაში ეკონომიკა აბსოლუტურ პრიორიტეტად იქცესო. ამ შემთხვევაში, შინაგანი მორალიც სადღაც გვერდზე რჩება და ადამიანში პირველყოფილი ინსტინქტები მძლავრობს. მივდივართ იქამდე — ვინ ვის დაჩაგრავს, მოერევა, შეჭამს... ეს იმან მოიტანა, რომ სკოლაში არანაირი აღმზრდელობითი მუშაობა არ მიმდინარეობს. არავის აინტერესებს, როგორ ზის მერხთან ბავშვი, როგორია მისი ქცევის, მოსმენის, ჩაცმის კულტურა. ეს თუ პედაგოგმა არ მოაწესრიგა, არაფერი გამოვა. მარტო საგნის გადაცემით, არც უნდა დაიწყო და არც დაამთავრო. საერთოდ აღარ ტარდება მშობელთა კრება, კვირის ბოლოს მოვლენების შეჯამება არ ხდება...

რა როლი უნდა შეასრულოს ოჯახმა, სკოლამ და სახელმწიფომ მომავალი თაობის აღზრდაში

— გაქვთ მზა რეცეპტები, როგორ უნდა გამოსწორდეს ვითარება?

— სკოლაში გარკვეული რგოლი უნდა შეიქმნას აღმზრდელობითი მიმართულებით. თუ ეს არ მოხდა, მძიმე მდგომარეობის გამოსწორებაზე საუბრები საუბრებად დაგვრჩება. შემოქმედებითი მუშაობა, ხელოვნება, სულიერება თუ არ განვითარდა, არაფერი გვეშველება. ყველას არ აქვს საშუალება, ბავშვი ცეკვის წრეზე მიიყვანოს და ამაში ფული გადაიხადოს ან ცალკე რეპეტიტორები დაიქირაოს სიმღერაში, სხვადასხვა საგნებში. ბავშვმა სკოლაში განათლების მინიმალური ოდენობა მაინც უნდა მიიღოს. ამ დროს, საგანმანათლებლო დაწესებულებებში დასმენის ინსტიტუტის, არამეგობრული დამოკიდებულების კულტივირება ხდება და თანადგომა უცხო სიტყვად იქცა. ამ თვალსაზრისით, სკოლამ ბავშვს რაც უნდა მისცეს, შეუფასებელია. ოჯახი შვილს ყველაფერს მისცემს, მაგრამ ის ისეთი გაშლილი და ლაღი ვერ იქნება. ამას ადამიანს მხოლოდ სკოლა აძლევს.

— თქვენი დაკვირვებით, რა ხდება ამ თვალსაზრისით, დღევანდელ ოჯახში?

— ნორმალური სწავლება არასოდეს ყოფილა ოჯახის, სკოლისა და საზოგადოების გარეშე. ეს სამი რგოლი ისეთი უნდა იყოს, რომ შესაბამის დადებით ზემოქმედებას ახდენდეს ბავშვზე. რაც შეეხება ოჯახს. ამ მხრივ, რთული ვითარებაა. ქართველი დედების უმრავლესობა ქვეყნიდან წასულია. ხშირ შემთხვევაში, შვილები მამებს ჰყავთ ჩაბარებული. ისინი ხშირად არ მუშაობენ და ამ მდგომარეობას სმაში და სხვა მანკიერებებში ახშობენ. ბავშვი ელოდება, რომ დედა ფულს გამოუგზავნის. სასმელ-საჭმელი, ჩასაცმელი არა, მაგრამ ყველაზე მთავარი — დედის სითბო აკლია. სრულყოფილი ოჯახი არ აქვს. საქართველოში ჰარმონიული ოჯახები ძალიან შემცირდა. ამას ხმამაღლა ვამბობ და არც მომერიდება. ბავშვები ან ბებია-ბაბუასთან იზრდებიან, ან მამასთან, რომელიც ხშირად კონტროლს ვერ უწევს თავის ვალდებულებას. მამაკაცში არც დევს ეს ინსტინქტი და დედის გასაკეთებელს ვერ გააკეთებს, როგორი ძლიერი და მოსიყვარულეც უნდა იყოს ის. უყიდის, სადმე წაიყვანს, ფულს მისცემს, მოთხოვნებს დაუკმაყოფილებს, მაგრამ შინაგან სითბოს და ძალას ვერ მისცემს იმას, რაც მხოლოდ დედაშვილობაში დევს. ქართულმა სკოლამ, დღეს, გარკვეულწილად, ამ სითბოს გაცემის ფუნქციაც უნდა ითავოს. ბევრ ბავშვს განსაკუთრებული სითბო და ყურადღება სჭირდება. დედობრივი ზრუნვა მას დამრიგებელმა, მასწავლებელმა უნდა მისცეს. ეს ყველა მასწავლებელს ეხება. მასწავლებელი რომ შეუყვარდება, მის საგანსაც აუცილებლად ისწავლის. სამწუხაროდ, დღევანდელ თაობას სიყვარული აკლია. ვერ იქნები კარგი პედაგოგი, თუ ბავშვი არ გიყვარს. როგორი მეცნიერი, ძლიერი პროფესიონალიც უნდა იყო, ამის გარეშე, ბავშვთან კონტაქტს ვერ დაამყარებ და უხილავ ძაფს ვერ გააბამ. შიშითა და მოვალეობის შესრულებით კი, ბევრს ვერაფერს მიაღწევ.

— გადავიდეთ ქუჩაში არსებულ რეალობაზე. რაში ხედავთ გამოსავალს?

— არსებული მდგომარეობა ნამდვილად სამარცხვინოა. როდესაც ქუჩაში პირველი მოწყალების მთხოვნელი გამოჩნდა, დიდი განგაში ატყდა. ვისაც გული შეგვტკიოდა, პატარები პირდაპირ ქუჩებიდან ავიყვანეთ. თვითონ მრავალშვილიან ოჯახში ვარ აღზრდილი. სამი ძმის ოჯახი ერთად ვცხოვრობდით. სხვადასხვა აზროვნების 25 ადამიანი ერთად ვჭამდით და ვიძინებდით. ეს ბავშვები რომ შევკრიბე, ჩემ ოჯახს მივუსადაგე. მომავლის სახლში თითქმის ყველა ეროვნების ბავშვი გვყავდა. მომავლის სახლი გაიყიდა, რამდენადაც ვიცი. ამჟამად შენობაში დევნილები არიან. ორმა ბავშვმა ამ დღეებში „მომავლის სახლის“ ყოფილ აღმზრდელს დაურეკა და უთხრა, ვერ გავძლებთ ოჯახებში და იქნებ თქვენთან, სახლში, ორი დღით გაგვათევინოთო. ის ჩვენი ბავშვები, ისევ ქუჩაში აღმოჩნდნენ. მათ აღზრდასა და სწავლებაში კი, ქველმოქმედ პაატა ბურჭულაძეს და საერთაშორისო ორგანიზაციებს ლომის წილი აქვთ. სახელმწიფომ უნდა იზრუნოს, რომ ქუჩაში დარჩენილი ბავშვები აიყვანოს და ოჯახურ გარემოში გაზარდოს. დღევანდელ სახელმწიფოს ამის საშუალება ნამდვილად აქვს. ნუ გავაუბედურებთ ჩვენი საზოგადოების ყველაზე უმწეო ნაწილს, თორემ, როცა მომრავლდებიან, როგორები იქნებიან და ვის დაუპირისპირდებიან, ძნელად მისახვედრი არ უნდა იყოს. ისინი ყველა ჩვენგანის წინააღმდეგ იქნებიან განწყობილნი. ახალი, ჯანმრთელი თაობის ნაცვლად, მივიღებთ დაბოღმილ, მტრულად განწყობილ ადამიანებს.

„ნუ გავაუბედურებთ ჩვენი საზოგადოების ყველაზე უმწეო ნაწილს, თორემ როცა მომრავლდებიან, როგორები იქნებიან და ვის დაუპირისპირდებიან, ძნელად მისახვედრი არ უნდა იყოს. ისინი ყველა ჩვენგანის წინააღმდეგ იქნებიან განწყობილნი“.

მოზარდების უმრავლესობას ხერხემლის, პირის ღრუს, მხედველობისა და ენდოკრინული პრობლემები აქვთ!

სკოლებში მოსწავლეების სამედიცინო შემოწმების სკანდალური შედეგები!

ნინო ხარშილაძე
საზოგადოება

სამედიცინო ჰოლდინგმა „მედისონმა“ ვარკეთილის, მუხიანისა და საბურთალოს სკოლებში ბავშვების ჯანმრთელობის მდგომარეობის შემოწმება დაიწყო. „ვერსია“ დაინტერესდა, ამ მხრივ რა პრობლემები აღმოაჩნდათ მოზარდებს. ინფორმაციის მისაღებად „მედისონის“ სამედიცინო ცენტრის დირექტორს, დიმა ტოტლიკაშვილს ვესაუბრეთ:

— პრაქტიკულად, სკოლები ექიმის, ბავშვები კი, სამედიცინო მეთვალყურეობის გარეშე დარჩნენ. იმ პროცესების ჩატარება, რასაც ახლა ჩვენ ვაკეთებთ, სკოლის ექიმის მოვალეობაში შედიოდა. კერძოდ, ამა თუ იმ დაავადების გამოვლენა, დაავადებების პრევენცია, რისკების განსაზღვრა, მათი თავიდან აცილება... მხოლოდ რამდენიმე სკოლამ შეინარჩუნა ექიმი, მაგრამ ისინიც ვერ ასრულებენ თავის მოვალეობას, რადგან ბაზებია შემცირებული. ჩვენ მიერ ჩატარებული გამოკვლევების შედეგად აღმოვაჩინეთ, რომ ყველაზე მეტად, ბავშვებს სხეულის აგებულებასთან დაკავშირებული პრობლემები აქვთ: სქოლიოზი, არასწორი ტანადობა, მხედველობისა და პირის ღრუს პრობლემები. დაწყებითი კლასის მოსწავლეები პრაქტიკულად ვერც ხვდებიან, რომ მხედველობის პრობლემა აქვთ, ვერ ახდენენ დიფერენცირებას. მაგალითად, აღმოვაჩინეთ ბავშვი, რომელსაც ერთ თვალზე 100%-იანი, მეორეზე კი, მკვეთრად დაქვეითებული მხედველობა აქვს და ჯანმრთელი თვალი ახდენს კომპენსაციას. შესაბამისად, ბავშვს არც დაუწუწუნია მშობელთან. გასინჯვისა და დიაგნოზის დასმის შემდეგ, რეკომენდაციას ვაძლევთ. მერე მშობელი თავად გადაწყვეტს, სად წაიყვანს შვილს და ვისთან უმკურნალებს.

— ბავშვებში ხერხემლის პრობლემები ძირითადად, რა ასაკიდან ვლინდება?

— ბაღის ასაკიდან. თუ ამას ყურადღება არ მიექცა, უფრო მყარად ყალიბდება. უფროს ასაკში კი, ამ პრობლემის მოგვარება ძალიან რთულია. ხერხემლის არასწორი დგომა, პრაქტიკულად, მთელ სხეულზე ახდენს გავლენას. არადა, ხერხემალსა და ტანადობასთან დაკავშირებული პრობლემები სკოლის მოსწავლეთა 90%-ს აღმოაჩნდა.

— ამ პრობლემის წინაშე მოსწავლეები მძიმე ჩანთების ტარების გამო დგებიან?

— არამარტო. ათიდან შვიდი დედა არ სთხოვს შვილს, რომ სწორად დაჯდეს. ეს უნარ-ჩვევაა. თუმცა არის სამედიცინო პრობლემაც, რომელიც ორსულობასა და მშობიარობას უკავშირდება.

— ტანადობასთან დაკავშირებულ პრობლემას თუ არ მივხედეთ, რა შედეგი შეიძლება მივიღოთ?

— ჯერ ერთი, გარეგნული დეფექტი შეიძლება განვითარდეს. ჩონჩხის არასწორი აგებულების გამო, ორგანიზმი იღლება, არასწორად ნაწილდება სიმძიმე, თავს იჩენს ქუსლისა და ფეხის ტკივილი და უამრავი პრობლემა, რომელსაც კონკრეტული სახელი შეიძლება ვერ დაარქვას ექიმმაც კი. შეიძლება ადამიანს ფეხი, წელი, მენჯი, თავი... სტკიოდეს და ეს ტკივილი ხერხემალთან იყოს დაკავშირებული. ეს არასწორი მდებარეობის, სიმძიმის არასწორად გადანაწილების გამო ხდება. ეს პრობლემები კი, ასაკის მატებასთან ერთად, უფრო აშკარავდება.

— ენდოკრინული პრობლემებიც გამოვლინდა?

— რასაკვირველია, ენდოკრინული დარღვევებიც არის. ეს კვლევები სკრინინგულ დონეზე ტარდება. თუ ღრმა კვლევას დავიწყებთ, შესაძლოა, მეტ პრობლემასაც წავაწყდეთ. ბავშვების 80%-ს აქვს სტომატოლოგიური პრობლემები. ეს არასწორი კვების, მოვლისა და ჰიგიენური წესების დარღვევის შედეგია. ცოტა ბავშვს თუ ნახავთ, კარიესი და პირის ღრუს პრობლემა რომ არ ჰქონდეს. ვაპირებთ, კვლევებში უფროსკლასელ გოგონებთან გინეკოლოგებიც ჩავრთოთ. მაღალი კლასის მოსწავლე გოგონები, წელში მოხრილები დადიან და თმიანობა ჭარბად აქვთ გამოხატული. ამ ასაკის გოგონებში წელში მოხრილობა ჰორმონალური პრობლემების შედეგია, რომლებიც სქესობრივი მომწიფების პერიოდში იჩენს თავს. უამრავ გოგონას პარაზიტული დაავადებები და ვირუსები აქვს, რომელიც ოჯახშია გავრცელებული. ზოგადად, ოჯახში ჰიგიენური ნორმების დარღვევის გამო, მსგავსი პრობლემები ბავშვებს ხშირად ექმნებათ. დროთა განმავლობაში პროცესი მწვავდება და იწყება ანთებითი პროცესები საკვერცხეებზე, საშვილოსნოს ლორწოვანზე, საშვილოსნოზე. ეს ყველაფერი ერთ სისტემაშია, რაც სერიოზულ ზეგავლენას ახდენს ბავშვზე. თავს იჩენს კუჭ-ნაწლავის ტრაქტის პრობლემებიც. სამწუხაროდ, ბევრ დედას საჭირო ინფორმაცია არ აქვს, ამიტომ გადავწყვიტეთ, ბავშვებს ამ თემებზე ვესაუბროთ.

— ჰიგიენის დარღვევა უკვე რამდენჯერმე ახსენეთ. ჩანს, ამ მხრივ საზოგადოებასა და ოჯახებში, საკმაოდ დიდი პრობლემაა?

— დიახ, ჰიგიენის პრობლემები უმეტესობას აღმოაჩნდა. ჰიგიენას ბავშვი ოჯახიდან სწავლობს. მოწესრიგებულიც არაა გარემო, სადაც მოსწავლემ ხელი უნდა დაიბანოს, არ არის თხევადი საპონი, ერთჯერადი პირსახოცი. ეს სისტემური პრობლემაა. ეს მხოლოდ მშობლების ბრალი კი არა, განათლებისა და ცხოვრების დაბალი დონის შედეგია. ჩვენ მიერ აღმოჩენილმა ამ უამრავმა სერიოზულმა პრობლემამ, კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ აუცილებელია, სკოლებში სკოლის ექიმის ინსტიტუტი აღდგეს, ან გამოიძებნოს სხვა გამოსავალი. მაგალითად, სკოლებს მიამაგრონ შესაბამისი პოლიკლინიკების ექიმები, რომლებიც პერიოდულად გააკონტროლებენ ბავშვების ჯანმრთელობას.

ნათია ვასაძე

„რა შუაშია უგულავა, მას არც კი ვიცნობ... ამ ადამიანებს სახელმწიფოც უნდოდათ „მოეწვედათ“ და ივანიშვილიც“

მოზარდმაყურებელთა თეატრის ხელმძღვანელი ბრალდებებს პასუხობს!

რა კავშირი აქვს პრეზიდენტის ოჯახთან და რატომ მიმართა კულტურის სამინისტროს თეატრის საქმიანობის შესწავლის თხოვნით მიხეილ ანთაძე

ნოდარ დუმბაძის სახელობის მოზარდმაყურებელთა თეატრიდან თანამშრომლების დათხოვნასთან დაკავშირებული სკანდალი ისევ გრძელდება. დასსა და თეატრის მმართველს შორის უთანხმოება 2012 წლის თებერვალში დაიწყო, როცა მსახიობებს ანგარიშზე ახალი ხელშეკრულებით განსაზღვრული ხელფასის ნახევარი დაერიცხათ. სახელფასო დავალიანება დღემდე დასაფარია. მსახიობები თეატრიდან გათავისუფლების მიზეზად საერთაშორისო ფონდ „ქართუსთან“ თანამშრომლობასაც ასახელებენ და ამბობენ, რომ თეატრის მმართველმა, მიხეილ ანთაძემ ისინი არჩევანის წინაშე დააყენა: ან უარი უნდა ეთქვათ „ქართუსგან“ მიღებულ დახმარებაზე, ან ხელფასი გაუნახევრდებოდათ. მსახიობების ნაწილი წამოყენებულ პირობას არ დათანხმდა და თეატრში არსებული დარღვევების შესახებ კულტურის მაშინდელ მინისტრს წერილობით აცნობა, თუმცა წერილი რაღაც გზებით (!) ანთაძის ხელში მოხვდა და რეაქციამაც არ დააყოვნა — თეატრი სწორედ განცხადების ხელმომწერმა პირებმა დატოვეს. სხვათა შორის, 2007 წელს, თეატრის მმართველად ანთაძის დანიშვნას დიდი აჟიოტაჟი მოჰყვა. მაშინ მსახიობების ნაწილმა თეატრი პროტესტის ნიშნად დატოვა. მოგვიანებით, მათ თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი გიგა ლორთქიფანიძეც შეუერთდა. მიხეილ ანთაძემ, მმართველობის სხვადასხვა პერიოდში, ათობით თანამშრომელი გაუშვა თეატრიდან. ყოველი ასეთი შემთხვევის მიზეზად იგი რეორგანიზაციას ასახელებდა. მოზარდმაყურებელთა თეატრში არსებული ვითარების შესწავლისა და სამართლიანობის აღდგენის მოთხოვნით, თეატრიდან გაშვებულმა თანამშრომლებმა სასამართლოს მიმართეს. ამ ადამიანებს მიხეილ ანთაძის მიმართ უამრავი პრეტენზია აქვთ — დაუფასებელი მსახიობები, შეჭმული ბიუჯეტი, თეატრში ოჯახის წევრების დასაქმება და ა.შ. თეატრში ამჟამად მაკონტროლებელი ორგანოს წარმომადგენლები იმყოფებიან, რომლებიც არსებულ ფინანსურ მდგომარეობას შეისწავლიან და მხოლოდ ამის შემდეგ გახდება ცნობილი, რამდენად რეალურია ის ბრალდებები, რომლებიც უკვე არაერთი წელია, მოზარდმაყურებელთა თეატრის მმართველის მისამართით ისმის. თეატრში შექმნილ პრობლემებსა და ყოფილ თანამშრომელთა ბრალდებებზე „ვერსიას“ **მიხეილ ანთაძე** ესაუბრება:

— ამ თეატრს წილად მძიმე მემკვიდრეობა ერგო — ჯერ იყო რუსული და ქართული დასების გაერთიანება, შემდეგ გაუთავებელი რემონტი, დაშლილი დასი. მმართველად რომ დავინიშნე, ჯერ კიდევ რემონტი მიმდინარეობდა. ყველაფერი თავიდან იყო გასაკეთებელი. თეატრის გამართვას და ამუშავებას ბევრი ძიება დასჭირდა და მათ შორის კადრების დინამიკაც. თეატრის ჩამოყალიბების პროცესში ეს ბუნებრივია, მაგრამ ამ დინამიკაში აღმოჩნდა 50-მდე უკმაყოფილო ადამიანი. მათგან რამდენიმე 2007 წელს წავიდა, ნაწილი 2009-2010 წლებში გავუშვი, ბოლო რეორგანიზაციის შედეგად კი, 2012 წლის მარტში, თეატრის დატოვება მოუხდა 30 თანამშრომელს.

— თქვენ მიმართ არსებობს პრეტენზია გაუცემელ და დაგვიანებულ ხელფასებთან დაკავშირებით.

— ხელფასების გაცემა სულ რამდენჯერმე და ისიც მხოლოდ რამდენიმე დღით დავაგვიანეთ. თეატრმა წლების განმავლობაში 3 სერიოზული საბიუჯეტო რყევა განიცადა. 1. 2008 წელს, როცა პირველად მოხდა ჩვენი პროექტის გაზრდა. სამინისტრო ბიუჯეტის გაზრდას შეგვპირდა და ხელშეკრულებებიც დაიდო, მაგრამ სამინისტროს ხელმძღვანელობა შეიცვალა და სანამ საქმეში გაერკვეოდნენ, შეგვექმნა დეფიციტი. ამიტომ გარკვეული შეფერხებები ხელფასებთან დაკავშირებით, მართლაც წარმოიქმნა. 2. 2010 წლის სექტემბერში, როცა გამოცხადდა ე.წ. ქამრების შემოჭერის პოლიტიკა და ბიუჯეტი 180 000-ით შეგვიმცირეს. 3. 2011 წელს, აღმაშენებლის ქუჩის რეკონსტრუქციის გამო, სეზონი ვერ გავხსენით და ხელფასები, დაცვისა და ბუღალტერიის თანამშრომლების გარდა, არავის მიუღია.

— ცალმხრივად ხელმოწერილ ხელშეკრულებებზე რაღას იტყვით?

— რა უნდა ვთქვა? ცალმხრივად ხელმოწერილი ხელშეკრულება ბუნებაში არ არსებობს! როგორც ვიცი, მოსამართლეც კი შეეცადა მათ დარწმუნებას, რომ ეს აბსურდული გამოთქმაა.

— მაშინ რატომ იყვნენ ეს მსახიობები გათვალისწინებული მომდევნო თვეების რეპერტუარში?

— რეორგანიზაცია დასრულებული არ იყო, როცა მათ ხელშეკრულებებს 1 ივნისს ვადა გაუვიდა. დავწერე ბრძანება და შევეცადე გამომეთვალა, ვინ რამდენი ხნით და როდის დამჭირდებოდა თეატრში. ბრძანების საფუძველზე ვიძახებდით მსახიობებს რეპეტიციებზე და შესაბამის თანხასაც ვუხდიდით.

— მსახიობები აცხადებენ, რომ მათი გათავისუფლება უკავშირდებოდა ივანიშვილის დაფინანსებას. შესაბამისი დირექტივა კი უშუალოდ, უგულავასგან მიიღეთ.

— ეს აბსურდია! რა შუაშია ქალაქის მერი, არც კი ვიცნობ გიგი უგულავას“. დიდი უსინდისობაა ამ ფაქტისთვის პოლიტიკური დატვირთვის მიცემა. ბიძინა ივანიშვილი რომ გამოჩნდა პოლიტიკურ ასპარეზზე, დადგა საკითხი — მის სახელთან დაკავშირებული დახმარების მიღება კანონდარღვევა რომ არ გამხდარიყო, იქნებ ადამიანებს თავად ეთქვათ უარი მასზე. საკომპენსაციოდ კი, სახელმწიფომ მათ ხელფასების გაზრდა შესთავაზა იგივე რაოდენობის თანხით.

— თუ საკომპენსაციოდ თანხები გამოიყო, რატომ აიღო თანამშრომელთა ნაწილმა მომატებული ხელფასი მხოლოდ იანვარში, ხოლო მომდევნო თვეს განახევრებული?

— იანვარში ჩემთვის ჯერ კიდევ არ იყო ცნობილი, რომ ამ ადამიანებს ხელფასის აღების შემდეგ ანგარიშზე მაინც ჩაერიცხათ „ქართუს“ დახმარება. მაშინ ითქვა, რომ ეს ადამიანები გაზრდილ ხელფასს ვეღარ მიიღებდნენ, რადგან ის პირობა, რისთვისაც მათ ხელფასი მოუმატეს, არ შესრულდა. ამის მერე მათ ხელფასები კვლავ შევუმცირეთ. ხელფასზე დანამატის მისაცემად განკუთვნილი თანხა სამინისტროდან თეატრის ბიუჯეტზე ჩაირიცხა და დღემდე მომატებული ბიუჯეტი გვაქვს. სხვა გამოსავალი არ მქონდა. 250-დან 200-მა თანამშრომელმა უარი თქვა „ქართუს“ დახმარებაზე და მიიღო სახელმწიფო დანამატი. 50-მა თანამშრომელმა მიიღო გაზრდილი ხელფასიც და „ქართუს“ დაფინანსებაც. 200 კაცი, მათ შორის მეც, წამგებიან მდგომარეობაში აღმოვჩნდით. დახმარების მიღება-არმიღების საკითხის ასე დაყენება, ხელისუფლების მხრიდან არასწორი იყო, მაგრამ თუ ამბობ, დახმარების ნაცვლად დანამატს ავიღებო, მერე დანაპირებს არ ასრულებ და იღებ ორივეს, ეს პოლიტიკური კი არა, ზნეობის საკითხია. ამ ადამიანებს სახელმწიფოც უნდოდათ „მოეწველათ“ და ივანიშვილიც. არ ვიცი, რა მოხდა სხვა თეატრებში. ჩემთან დაპირისპირებისა და შეთქმულების სახით ხდებოდა ყველაფერი. გეტყვით ამის მიზეზს — რეორგანიზაცია, რომლის ფარგლებშიც, ვმსჯელობდით, ვინ წასულიყო და ვინ დარჩენილიყო. ბევრი განაწყენებულის პოზიციიდან მოქმედებდა.

— რა პრინციპით მოხდა თანამშრომლების „გადარჩევა“ და გათავისუფლების შესახებ, წინასწარ რატომ არ აცნობეთ მსახიობებს?

— შეიძლება ზოგი იყოს კარგი მსახიობი, მაგრამ ლოთობდეს. ასეთი ორი მსახიობი გვყავდა და მათი დარჩენა სპექტაკლების ჩაშლას ნიშნავდა. ასევე, გავუშვით მსახიობები, რომლებიც ნაკლებად იყვნენ დაკავებულები სპექტაკლებში. როცა ხელშეკრულებებს ვადა გაუვიდა, აღარ გავუგრძელე.

— დარჩა თუ არა თეატრში დამსახურებული არტისტი, პრემიის ლაურეატი... სახელოვნებო წრეებში „მეტრი“?

— ბავშვებისთვის მისაწოდებელი სპექტაკლის ესთეტიკა და მისი პიარი, ცოტა არ იყოს, სხვადასხვა რამაა — ბავშვი ჩვენ თეატრში მოდის სპექტაკლის და არა რომელიმე მსახიობის სანახავად. დამსახურებული მსახიობია ბერტა ხაფავა. ის მოზარდმაყურებელთა თეატრში მთავარ როლებს ასრულებდა 70-80-იან წლებში. ქართულ კინოშიც აქვს შესრულებული ეპიზოდური როლები და მეტნაკლები პოპულარობით სარგებლობს, მაგრამ 75 წელსმიტანებულია და 2010 წელს თეატრიდან გავუშვი განცხადების საფუძველზე, რომელსაც 250 თანამშრომელი აწერდა ხელს და კულტურის მაშინდელ მინისტრს მსახიობების დექსტრუქციული ნაწილის თეატრიდან გაშვებას სთხოვდა. რაც შეეხება საქართველოს სახალხო არტისტ რეზო თავართქილაძეს, მან თეატრი საკუთარი განცხადების საფუძველზე დატოვა. გაშვებას კი არა, მისი ვარსკვლავის გახსნასაც ვაპირებდით. მის გარდა, მაგათ შორის არც ერთი მსახიობი „მეტრი“ არ გახლავთ. გამოდიან ახლა და მოითხოვენ ჩემ გადადგომას. უნდათ, პროცესს პოლიტიკური რევანშის სახე მისცენ. რა უნდა პოლიტიკას საბავშვო თეატრში?

— თუ ასეა, ნათელა მაჭავარიანი რატომ გაათავისუფლეთ? ამის მიზეზად ის სალომე ზურაბიშვილის პარტიაში გაწევრიანებას ასახელებს.

— გაჩვენებთ საბუთებში — 2007 წლიდან ქალბატონმა ნათელამ ვერც ერთ რეპეტიციაზე მოსვლა ვერ მოახერხა. განაცხადა, რომ პარტიული საქმიანობის გამო, არ სცალია. საკრებულოში მისვლის შემდეგ კი, ნათელი გახდა, რომ თეატრში ვეღარ ივლიდა. პენსია უნდა გადამეხადა მისთვის? ხელშეკრულება აღარ გავუგრძელე, ეს იყო და ეს.

— სააკაშვილის ოჯახთან დაახლოებული პირი ბრძანდებით. პრეზიდენტის ბებია მართლა გმფარველობთ?

— მე რომ პრეზიდენტის ოჯახის ნაცნობი ვარ, ეს ჩემი ბრალი არ არის. ის პრეზიდენტის ბებიად არ დაბადებულა და მე ამ თეატრის მმართველად. ამათი ხელშეკრულებები რომ არ გამეგრძელებინა, ამისთვის მჭირდებოდა პრეზიდენტის ოჯახის მფარველობა? სხვა მმართველი ვერ გაბედავდა ამას?

— კულტურის ახალი მინისტრი თქვენი მეგობარია? თურმე, ამის შესახებ, ნიშნის მოგებით, თავად გითქვამთ თეატრიდან გაშვებული მსახიობებისთვის.

— საქართველოში ყველა ყველას იცნობს. საკმაოდ ცნობილი მწერალი, 15 წიგნის ავტორი ვარ, წარდგენილი ვიყავი პრემია „საბაზე“. ვარ კინორეჟისორი, გადაღებული მაქვს 10-მდე ფილმი. ყველას ვიცნობ კულტურის სფეროში. გურამ ოდიშარია 10-15 წლის წინ, რომელიღაც ღონისძიებაზე გამაცნეს, მაგრამ მერე აღარც შევხვედრილვარ. მე უბრალოდ ვთქვი, ვინც უნდა დანიშნონ მინისტრად, ჩემთვის საშიშროებას არ წარმოადგენს, რადგან კანონდარღვევა არ მაქვს-თქო.

— თეატრში ამჟამად ფინანსური შემოწმება მიმდინარეობს. ეს გეგმაზომიერი აუდიტია, თუ სხვა შემთხვევასთან გვაქვს საქმე?

— მოწმდება ყველა ბრალდება, რაც თეატრიდან გაშვებულ ადამიანებს ჩემ მიმართ გააჩნიათ. თავად მივმართე კულტურის სამინისტროს, თეატრის საქმიანობის შესწავლის თხოვნით, რათა ერთხელ და სამუდამოდ, ბოლო მოეღოს ამ მითქმა-მოთქმას.

ვერსიანიუსი

საბავშვო ევროვიზიაზე საქართველომ მეორე ადგილი დაიკავა

საბავშვო ,,ევროვიზიაზე“ ამსტერდამში საქართველოს გუნდმა **The FUNKIDS** – 103 ქულით მეორე ადგილი დაიკავა. ხოლო რიგით მეათე საბავშვო ,,ევროვიზიის“ გამარჯვებული უკრაინელი ანასტასია პეტრიკი გახდა, მან საკონკურსო სიმღერით „ნებო“ 138 ქულა დააგროვა. მესამე ადგილზე კი სომხეთის წარმომადგენელი ჯგუფი **Compass** – 98 ქულით გავიდა.

საბავშვო ევროვიზიის გამარჯვებული ჟიურიმ და ევროპელმა მაყურებელმა ხმის მიცემის შედეგად, ერთობლივად გამოავლინეს.

საბავშვო „ევროვიზიაზე“ საქართველოს წარმომადგენელი ჯგუფი **The FUNKID**, რომლის პროდიუსერი გიგა კუხიანიძე იყო, მე-10 ნომრად წარსდგა. საკონკურსო სიმღერის ტექსტი, ბავშვებთან ერთად, ნანა ცინცაძემ დაწერა.

შეგახსენებთ, რომ 2012 წლის საბავშვო „ევროვიზიის“ სიმღერის კონკურსში 12 ქვეყანა მონაწილეობდა: ალბანეთი, სომხეთი, აზერბაიჯანი, ბელორუსი, ბელგია, საქართველო, ისრაელი, მოლდოვა, ჰოლანდია, რუსეთი, შვედეთი და უკრაინა. ჰოლანდიამ საბავშვო ევროფესტივალს 2007 წელს როტერდამში უმასპინძლა, ხოლო კონკურსის გამარჯვებული 2009 წელს გახდა.

საქართველო საბავშვო ევროფესტივალის გამარჯვებული ორჯერ გახდა და წელს კონკუსში მეექვსედ მონაწილეობს. 2008 წელს კვიპროსში ჯგუფმა „ბზიკებმა“ მოიპოვა გამარჯვება, ხოლო 2011 წელს — ჯგუფმა „ქენდიმ“.

„ჯი-ეიჩ-ენი“

ლევან ყიფიანი: „იმედია, ამნისტია დემეტრაძესაც შეეხება!“

საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტმა 190-მდე პირი პოლიტპატიმრად გამოაცხადა. ამ სიაში მოხვდა საქართველოს ნაკრების ყოფილი თავდამსხმელი **გიორგი დემეტრაძეც**. იყო ვარაუდი, რომ გიორგის გიორგობის დღესასწაულთან დაკავშირებული ამნისტია შეეხებოდა და გაათავისუფლებდნენ. სამწუხაროდ, ასე არ მოხდა.

„უპირველესად, გიორგის ჯანმრთელობას ვუსურვებ. მე არ მისაუბრია იმ პირებთან, ვისაც ამ საკითხის გადაწყვეტა შეუძლია. ამდენად, ინფორმაციას არ ვფლობ, ამნისტია მას შეეხება თუ არა. მაგრამ იმედია, უახლოეს პერიოდში ასეც მოხდება, რადგან ყველამ ვიცით, რა უსაფუძვლო ბრალდებით არის დაკავებული. ვისურვებდი, უახლოეს მომავალში, დემეტრაძე ჩვენ გვერდით იყოს“, – ასეთი კომენტარი გააკეთა „ვერსიასთან“ საუბრისას სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრმა ლევან ყიფიანმა.

შეგახსენებთ, რომ გიორგი დემეტრაძე 2010 წელს ქურდულ სამყაროსთან კავშირისთვის დააპატიმრეს. ფეხბურთელი მხრებს იჩეჩდა, „ტრუსიანი“ მოთამაშის ქურდობა სად გაგონილაო, მაგრამ ვინ უსმინა?!

საქართველოს ჩემპიონატისთვის აუქციონი დაიწყო

დააკმაყოფილებს პრემიერლიგა ფედერაციის მოთხოვნებს?

საქართველოს საფეხბურთო ჩემპიონატის უმაღლესი ლიგის კლუბებმა პრემიერლიგის დაარსება ერთი თვის წინ გადაწყვიტეს, მაგრამ იმდენად გასაიდუმლოებულ გარემოში მუშაობენ, ინფორმაციის მოპოვება კუდ-საც კი გაუჭირდება.

ამბობენ, დასამალი არაფერი გვაქვსო, მაგრამ მედიას სასტიკად ერიდებიან. მედიისთვის დახურეს პრემიერლიგის საინიციატივო ჯგუფის წევრების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის, ლევან ყიფიანის 29 ნოემბრის შეხვედრაც.

გასაიდუმლოებული გარემოს გამო, საზოგადოებრივი აზრი მათ წინააღმდეგ ამუშავდა. ამას ირიბად ხელს უწყობს საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია, რომლის პრეზიდენტი ზვიად სიჭინავა საჯაროდ ამბობს, რომ პრემიერლიგას საქართველოს ჩემპიონატის ჩატარების უფლებას გადასცემს. თუმცა შესაძლებლობას ხელიდან არ უშვებს, ინიციატორთა ხარვეზებზე რომ არ მიანიშნოს. მაგალითად, კლუბების წარმომადგენლებთან შეხვედრის შემდეგ განაცხადა, რომ ჩემპიონატის პრემიერლიგისთვის გადასაცემად, ინიციატორებმა ყველა წაყენებული მოთხოვნა უნდა დააკმაყოფილონ და დღეს არსებულზე უკეთესი პირობები შექმნან. უპირველესად, სიჭინავა ჩემპიონატის შეუფერხებელი ჩატარებისა და მსაჯების ანაზღაურების გარანტიას, აგრეთვე, სატელევიზიო კონტრაქტებისა და სასპონსორო ხელშეკრულებების წარდგენას ითხოვს. მაგალითად, ახლა საპრიზო ფონდი მილიონი ლარია, ხოლო პრემიერლიგას 3-5 მილიონ ლარსა და მსაჯების ანაზღაურების გაზრდას სთხოვს. ვერაფერს იტყვი, ამ შემთხვევაში სიჭინავა აბსოლუტურად მართალია.

ფეხბურთი – მილიარდების სპორტი



140 წლის წინათ, 1872 წლის 30 ნოემბერს, შოტლანდიის ქალაქ გლაზგოში, ფეხბურთის ისტორიაში პირველი საერთაშორისო მატჩი ჩატარდა. ერთმანეთს შოტლანდიისა და ინგლისის ეროვნული გუნდები შეხვდნენ. მართალია, მატჩი 0:0 დასრულდა, მაგრამ ეს ფეხბურთის ისტორიაში მაინც ყველაზე შედეგიანი შეხვედრა იყო, რადგან კაცობრიობის ისტორიაზე უდიდესი გავლენა მოახდინა. ადამიანებმა აღმოაჩინეს გართობა, რომელიც „პური და სანახაობის“ პრინციპებში შესანიშნავად ჯდებოდა – ერების მშვიდობიანი დაპირისპირება გარკვეული წესების დაცვით მიმდინარეობდა და არა ომით, რამაც ხალხში უდიდესი ინტერესი გამოიწვია.

ოფიციალური ვერსიით, ფეხბურთი მე-19 საუკუნეში, ინგლისში დაიბადა, თუმცა ბევრად ადრეც თამაშობდნენ და მას ინგლისის მეფეები არ სწყალობდნენ. მეფე ედვარდმა (1307-1327) იმ მოტივით აკრძალა, რომ ქალაქში იწვევდა ხმაურს, რომლისგანაც შეიძლება ეშმაკები წარმოშობილიყვნენ; 1365 წელს ფეხბურთი ედვარდ III-მ აითვალწუნა, რადგან მშვილდოსნობაში ვარჯიშის ნაცვლად, ჯარისკაცები ბურთს დასდევდნენ; დედოფალმა ელისაბედ I-მა კი ფეხბურთის თამაშისათვის ერთკვირიანი პატიმრობა და საეკლესიო სასჯელებიც შემოიღო, თუმცა ფეხბურთის პოპულარობას ვერაფერი დააკლეს და 1681 წელს სამეფო ოჯახმა აკრძალვები გააუქმა.

მე-19 საუკუნის დასაწყისში არ არსებობდა მოთამამეთა რაოდენობის სტანდარტი, ხოლო

სხვების გამხარებელი ჩვენი საცკივარი გახდა

მატჩები რომელიმე ფეხბურთელის რაიმე ტიპის მოტეხილობებით სრულდებოდა. მხოლოდ 1801 წელს შეთანხმდნენ მოედნის სიგრძესა (მხოლოდ 91 მეტრი (100 იარდი) და გუნდებში მოთამაშეთა რაოდენობაზე. პირველი მეტ-ნაკლებად მოწესრიგებული წესები 1815 წელს ეტონის კოლეჯში ჩამოაყალიბეს. 1870 წლამდე გუნდებში 15-დან 21-მდე ფეხბურთელი თამაშობდა. ზედა ძელი სავალდებულო 1875 წელს გახდა, ხოლო კარში მეკარე 1880-იან წლებში დააყენეს, როცა მანამდე კარის დაცვა ყველას შეეძლო.

პირველი საფეხბურთო გუნდი 1857 წელს, ინგლისის ქალაქ შეფილდში შეიქმნა, მალე ფეხბურთის ასოციაცია დაარსდა და მასში 11 გუნდი გაწევრიანდა. წესების სირთულის გამო, 1863 წლის 26 ოქტომბერს, ლონდონის „მასონ კლაბში“ ვინმე ფრანგმა, ფეხბურთის თამაშის გაცილებით მარტივი წესები ჩამოაყალიბა. 1871 წელს პირველი ჩემპიონატი ინგლისში ჩატარდა, ხოლო ერთი წლის პირველი საერთაშორისო შეხვედრა გლაზგოში გაიმართა.

მე-20 საუკუნის დასაწყისში ფეხბურთმა მთელი მსოფლიო დაიპყრო. ეროვნული ნაკრებების მატჩებმა უამრავი მაყურებელი მიიზიდა და ყველა მიხვდა, რომ ეს სპორტის სახეობაზე გაცილებით მეტი მოვლენა იყო.

1904 წლის 21 მაისს, ფრანგების ინიციატივით, პარიზში ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაცია (ფიფა) დაარსდა, რომლის პირველი პრეზიდენტი ფრანგი რობერ გერენი გახდა. მერე მსოფლიო ჩემპიონატი ჩაატარეს და უფრო და უფრო პოპულარული გახდა სახეობა, რომელსაც დღეს მილიარდობით მაყურებელი ჰყავს, არის პოლიტიკის იარაღი და ობიექტი, მილიარდობით შემოსავლების წყარო, ხალხის სიხარული და ტკივილი.

ქალთა პირველი გუნდებიც ინგლისში ჩამოყალიბდა. 1921 წელს მათი თამაში აიკრძალა, მაგრამ საქმეში მისი უდიდებულესობა ინგლისის დედოფალი ჩაერთო და შეზღუდვა გაუქმდა. დღეისთვის ქალთა ფეხბურთი ოლიმპიური პროგრამის ნაწილია.

soccer ინგლისური სიტყვაა და ის პირველად ოქსფორდში ვრეფორდ ბრაუნმა გამოიყენა, რომელიც მოგვიანებით, ინგლისის ნაკრების წევრი და ფეხბურთის ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტიც გახდა.

საქართველოში ფეხბურთი XIX-ე საუკუნის ბოლოს, ზღვისპირა ქალაქებიდან შემოვიდა, სადაც ადგილობრივები ბრიტანელ მეზღვაურებს ეჯიბრებოდნენ. თუმცა, რაც უნდა უცნაური იყოს, პირველი საფეხბურთო კლუბი დაარსდა არა ზღვისპირა ქალაქებში ან დედაქალაქ თბილისში, არამედ 1995 წელს, ხაშურში, ხოლო მოთავეები შოტლანდიელი კადეტები იყვნენ.

საქართველოს პირველი ოფიციალური საფეხბურთო გუნდი „კომეტა“ 1907 წლის 23 თებერვალს, თბილისში, მეცენატმა ლგოტაკმა დააფუძნა. თუმცა, სხვა ცნობით, პირველი 1906 წელს გიორგი ნიკოლაძის დაფუძნებული „შევარდენი“ იყო.

თბილისის „დინამო“ 1925 წელს შემოდგომაზე სპორტსაზოგადოება „დინამოს“ ხელმძღვანელებმა ჩამოაყალიბეს, რადგან ფეხბურთი იმ წლებში სულ უფრო პოპულარული ხდებოდა.

აღსანიშნავია, რომ „დინამომ“ ისტორიაში პირველი შეხვედრა 1926 წლის 6 იანვარს ბაქოელ თანაკლუბელებთან ჩაატარა და შედარებით გამოცდილ მეტოქესთან 0:1 დამარცხდა. 1936 წლის შემოდგომიდან 1989 წლამდე, „დინამო“ საბჭოთა კავშირის ჩემპიონატებში მონაწილეობდა, 1990 წელს კი საქართველოს დამოუკიდებელი ფეხბურთის ფედერაცია დაფუძნდა და პირველი დამოუკიდებელი ჩემპიონატი ჩატარდა.

მას მერე 22 წელი გავიდა, მაგრამ მაშინდელი იმედებისა და ოცნებების განხორციელების დრო ჯერ კიდევ არ დამდგარა. ქვეყანა დაიშალა, ეკონომიკაში უდიდესი პრობლემებია, საფეხბურთო წრეებში ერთსულოვნება არასოდეს ყოფილა და უკუსვლა ლოგიკური ჩანს.

ნეტავ, როდემდე უნდა იყოს ინგლისური წამოწყება სხვებისთვის სიხარულისა და შემოსავლის მომტანი, ჩვენთვის კი — ტკივილის?

აფრიკული ყალთაბანდობა – განას გოგონათა ნაკრებში ბიჭმა ითამაშა



22 სექტემბრიდან 13 ოქტომბრამდე ჩვენმა მეზობელმა აზერბაიჯანმა 17-წლამდელ გოგონათა შორის მსოფლიო ჩემპიონატს მაღალ დონეზე უმასპინძლა და ფიფა-ს მადლობა დაიმსახურა. მაგრამ გავიდა დრო და ორგანიზატორებმა შოკისმომგვრელი ამბავი შეიტყვეს: განის ნაკრები ნახევარფინალში გავიდა, რომელიც 23 წლის ფეხბურთელმა ვიდა ოპოკუმ ითამაშა. მაგრამ ეს კიდევ არაფერი – ეს „გოგონა“ სინამდვილეში ბიჭი აღმოჩნდა!

ამ ყალთაბანდობის ამბავი ბულგარულმა მედიამ გაამჟღავნა. საქმე ისაა, რომ 28 ივლისს ერთ-ერთმა ყველაზე პოპულარულმა ბულგარულმა კლუბმა, სოფიის „ლევსკიმ“ კონტრაქტი გაუფორმა აგემანგ ოპოკუს. მაგრამ პერსპექტიული ფეხბურთელი მოულოდნელად დაიკარგა და ვერავინ გაარკვია, ცამ ჩაყლაპა თუ დედამინამ. მასთან დაკავშირებით ყველა მცდელობა წარუმატებლად დასრულდა.

ამ პერიოდში ოპოკუმ შეიცვალა სქესიც, აგემანგის ნაცვლად, სახელად ვიდა დაირქვა და საკუთარი ქვეყნის გოგონათა ნაკრების დახმარება გადაწყვიტა. რადგან ეს მაქინაცია ყველას მხედველობიდან გამორჩა, ოპოკუმ მსოფლიო ჩემპიონატზე 6 შეხვედრა ჩაატარა და გუნდი საუკეთესოებში მოხვდა.

მართალია, ჯერ ფიფა-ს კომისიას ამ საკითხზე არ უმსჯელია, მაგრამ სპეციალისტები დარწმუნებულები არიან, რომ ადგილი აქვს მორიგ აფრიკულ ყალთაბანდობას... თურმე, მსგავსი რამ აფრიკულ ქვეყნებში ადრეც მომხდარა და იხსენებენ ისტორიას, როდესაც ეკვატორული გვინეას გოგონათა ნაკრებში ორმა ბიჭმა ითამაშა.

ამჟამად, საქმეს ფიფა იძიებს და თუ განელებს ეს ამბავი დაუმტკიცდათ, შესაძლოა, ფიფა-დან მოკვეთონ. მანამდე კი „ლევსკიმ“ ფეხბურთელთან კონტრაქტი გაწყვიტა.

გვერდი მოამზადა გიორგი მაისურაძემ

ბალიში ყველგან ძილის საშუალებას მოგცემთ

ესპანელმა დიზაინერებმა სასწაული-ბალიში მოიგონეს, რომელიც ნებისმიერ ადგილას კარგი ძილის საშუალებას მოგცემთ. ეს ორიგინალური პროდუქცია სტუდია **Kawamura-Ganjavian**-მ შეიმუშავა, რომელსაც **Ostrich** (სირაქლემა) უწოდეს. ის მის მფლობელს საშუალებას აძლევს, გაექცეს რეალობას, სადაც არ უნდა იმყოფებოდეს, ოფისი იქნება ეს, ვაგზალი, პარკში მდებარე სკამი თუ სხვა ადგილი. სირაქლემა-ბალიში რბილი ტრიკოტაჟისგან არის დამზადებული და მიკრობურთულებით არის გავსებული. სხვათა შორის, ასეთი ბურთულებითაა არის გავსებული ასევე ტრადიციული ორთოპედიული ბალიშიც. აღსანიშნავია, რომ გამოგონებას საკმაოდ უჩვეულო ნახვრეტები აქვს, თუმცა მის გამოსაყენებლად ტექნიკური ინსტრუქცია სულაც არ არის საჭირო. ყველაფერი ძალიან მარტივია. წინა მხარეს გაკეთებული ნახვრეტები სუნთქვის საშუალებას იძლევა, ბალიში თვალებს ხუჭავს, რომ სიბნელე იყოს. გვერდითი ნახვრეტები ხელებისთვის ყურებს მაღლაა გაკეთებული, ადამიანი ხმაურმა რომ არ შეაწუხოს, თუმცა ამავე დროს, იმის საშუალებასაც იძლევა, რომ ხელები თავქვეშ ამოიდოთ. ბალიშს საკმაოდ მასიური ზედა ნაწილი აქვს, მყუდრო და მშვიდი ძილი ნებისმიერ ადგილას, ნებისმიერ მდგომარეობაში რომ შეძლოთ. დიზაინერები საკუთარი გამოგონების შეძენას განსაკუთრებით ოფისში მომუშავეებს ურჩევენ, რომელთაც ცოტა ხნით წათვლემა კომფორტით შეეძლებათ.

ქალები,კაცებზე მეტად,ქალებს აკვირდებიან

როგორც აღმოჩნდა, სუსტი სქესის წარმომადგენლები დიდი ინტერესით უფრო ქალებს აკვირდებიან, ვიდრე მამაკაცებს. სპეციალისტებმა გამოკვლევა ჩაატარეს, რომელშიც 3 ათასზე მეტი მანდილოსანი მონაწილეობდა. მკვლევარები ქუჩაში, სპორტდარბაზში, რესტორანსა და საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში მშვენიერი სქესის წარმომადგენლების ქცევას დააკვირდნენ და აღმოაჩინეს, რომ ქალი ქალს უფრო მეტი ინტერესით ათვალიერებს, ვიდრე კაცს. ქალს შეუძლია საათობით უცქიროს მისივე სქესის წარმომადგენელს და დაადგინოს, როგორი მაკიაჟი აქვს, აქვს თუ არა ცელულიტი, უხდება თუ არა ვარცხნილობა, როგორი გემოვნება აქვს. როგორც მანდილოსნებმა აღიარეს, ისინი განსაკუთრებული ინტერესით აკვირდებიან „სათვალთვალო ობიექტს“ და ადგენენ, მისი სილამაზე შემთხვევით, პლასტიკური ოპერაციის დამსახურება ხომ არ არის. ზოგი ქალი ამბობს, რომ განსაკუთრებით მაშინ ღიზიანდება, როცა ქუჩაში მასზე გამხდარ ქალს ხედავს, ზოგი იმასაც აღიარებს, რომ ქალბატონების შეთვალიერებისას მის ხელსაც აკვირდებიან, უკეთია თუ არა საქორწინო ბეჭედი და რამდენად ძვირფასია ის. სუსტი სქესი აღიარებს, რომ ქალების „დასაზვერად“ ყველაზე საინტერესო ადგილი ზღვის სანაპიროა. გამოკითხულთა დიდმა ნაწილმა აღიარა, რომ ყველაზე მეტად გარუჯული, შავგვრემანი ქალების შურთ, რომელთა მბზინავ კანსაც ღია ფერის საცურო კოსტიუმი უხდება.

ბრიტანელ მოსწავლეებს ტყუილის თქმას უწინებენ

ნისლიან ალბიონზე, კემბრიჯის **Perse School** სკოლაში ტყუილის თქმისთვის მოსწავლეების ნახალისება ხდება. სოციალურ ქსელში უამრავი ხუმრობა გაჩნდა იმის თაობაზე, რომ ამ სასწავლებელში პოლიტიკოსების ახალ პლეადას ამზადებენ, რომლებიც კარგად შეძლებენ მოსახლეობის მოტყუებას. აქაურ სტუდენტებს არ ეშინიათ, რომ ტყუილის თქმის გამო დასჯიან, თუკი ეს ტყუილი თავის გადასარჩენად არის ნათქვამი. მოსწავლე, რომელიც ათი წამის განმავლობაში საკუთარი საქციელის გასამართლებლად საკმაოდ დამაჯერებელ სიცრუეს მოიგონებს, დაწესებულების რექტორატისგან შექებას დაიმსახურებს. როგორც სკოლის დირექტორი აცხადებს, ლაპარაკია არა დანაშაულებრივ, სერიოზულ მოტყუებაზე, არამედ „პატარა, თეთრ სიცრუეზე“. მისი თქმით, ეს მოზარდ თაობას ურთიერთობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი უნარის შეძენის საშუალებას აძლევს. როცა სტუდენტს ათი წამის განმავლობაში შეუძლია მოიფიქროს მისთვის რთული სიტუაციიდან მახვილგონივრული გამოსავალი, ეს პარალელურად მჭერმეტყველებას ავითარებს და მას მომხიბვლელობასაც სძენს, — ამბობენ რექტორატის წარმომადგენლები.

ერის ნათელი მომავალი ეკლესია-მონასტრების მშენებლობაშია, მიიღეთ მონაწილეობა წმიდა ანდრია პირველწოდებულის მონასტრის მშენებლობაში. უფალი შეგეწევათ. ბედნიერი ადამიანი - მორწმუნე ადამიანია.

რომ გწამდეს - უნდა დაიჯერო, რომ გჯეროდეს - უნდა გინდოდეს, მადლი რომ მოიპოვო - უნდა გსურდეს. ქართველნო ერთად ღვთისაკენ.

ღმერთმა დაგლოცოთ და გაგაძლიეროთ

მსოფლიოში მარტოობის ეპიდემიაა

მარტოობისგან გატანჯული ადამიანების რაოდენობა მსოლიოში გეომეტრიული პროგრესიით იზრდება, — აცხადებენ ფსიქოლოგები. სპეციალისტების მონაცემებით, ადამიანების 30%-ზე მეტს ჩაკეტილობა და ემოციური იზოლაცია აწუხებს. მკვლევარები აღნიშნავენ, რომ ახალი ტექნოლოგიების განვითარება, კერძოდ, ინტერნეტით ურთიერთობა უფრო აღრმავებს ამ სერიოზულ პრობლემას. მსგავსი დროის გატარება ვერ შეგვიცვლის სრულფასოვანი, ცოცხალი ურთიერთობისგან მოგვრილ სიხარულს თუ სხვა განცდებს. თანაც, როგორც ექიმები აღნიშნავენ, მარტოობისგან გაწამებული ადამიანები გარშემომყოფებთან არ ლაპარაკობენ ამ პრობლემაზე, თუნდაც ძალიან სჭირდებოდეთ ახლობლების თანაგრძნობა და მხარდაჭერა. სწავლულების თქმით, ფიზიკური ტრავმა და სოციალური გარიყულობის ძლიერი გრძნობა ადამიანის ტვინში ერთნაირ რეაქციებს იწვევს. უფრო მეტიც, მარტოობის გრძნობა უფრო მნიშვნელოვნად ამცირებს სიცოცხლის ხანგრძლივობას. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით, დღეს-დღეობით პლანეტაზე 350 მილიონი ადამიანი იტანჯება მარტოობისგან გამოწვეული დეპრესიით. ეს სენი კი ყოველწლიურად ახალგაზრდავდება და ჯანდაცვის ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური პრობლემა ხდება მთელ მსოფლიოში.

შენდემა ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის „ყოველთა დედოფლის – პანტანასას“ სასოლომის დედათა მონასტერი „ყოველთა დედოფლის საკანე“

„ყოველთა დედოფალი პანტანასას“ ღვთისმშობელი ცნობილია, როგორც ონკოლოგიურ ავადმყოფთა შემწე. სამწუხაროდ, საქართველოში გაიზარდა ამ სენით დაავადებულ ავადმყოფთა რაოდენობა. მრევლისა და ონკოლოგიურ დაავადებათა რესპუბლიკური ცენტრის ექიმებისა და პაციენტების თხოვნით, ათონის წმ. მთაზე, ვატობედის მონასტერში, სადაც დაბრძანებულია ხატის ორიგინალი, შეიქმნა მისი ასლი, რომელიც 2003 წელს ჩამობრძანდა ავჭალის წმ. ქეთევან წამებულის ეკლესიაში. კვირაში 2-ჯერ: ოთხშაბათს და პარასკევს, დღის 2 საათზე, აღევლინება ჯანმრთელობის პარაკლისი და უსასყიდლოდ გაიცემა საკურნებელი ზეთი ღვთისმშობლის კანდელიდან. ხატთან დღემდე აღესრულება სასწაულები. მრავალი ადამიანი განიკურნა, მრავალთა ავადმყოფობამ პროგრესირება შეწყვიტა.

გთხოვთ, თქვენი წვლილი შეიტანოთ მონასტრის მშენებლობაში და დარეკოთ: დერეკეთ: ჯეოსელის აბონენტებმა — 700311; მაგთის აბონენტებმა — 200351; ბილაინის აბონენტებმა — 700311

ზარის ღირებულება 1 ლარი

ავჭალის წმ. ქეთევან წამებულის ეკლესია. სს „საქართველოს ბანკი“ ცენტრ. ფილ. ბანკის კოდი 220101502 ეროვნულ ვალუტაში ა/ა 000700205 . გიორგი რაზმაძე (წინამძღვარი) . სს „სტანდარტ ბანკი“ კოდი: 220101945 ეროვნულ ვალუტაში ა/ნ 1123598

უფალმა შეგიწიროთ. პანტანასას ღვთისმშობელმა დაგლოცოთ!

სუდოკუ

ადვილი

		8		6			1	
	2			9			5	3
		9			5			
9					2			
	6	3	9		7	8	4	
			5					7
			8			6		
1	3			4			2	
	9			2		3		

სტანდარტი

				9				4
		5			3		7	6
7			5		2	3		9
		8			1		4	
6				8				3
	1		2			9		
3		9	1		4			7
1	7		3			4		
8				2				

რთული

4			9			1		5
					3			7
	7			1		4		9
7			8	3				
		3		9		8		
				6	5			3
3		8		5			9	
1			3					
9		4			6			1

ექსპერტი

						2		
9	3			7	4		1	
		1		5			3	8
6		7	3	1				
4								9
				4	5	7		3
3	4			6		9		
	9		4	2			8	5
		5						

ვის ჰქონდა ყველაზე მეტი ფეხსაცმელი?

ამის გარკვევას ნიუ იორკის ფეხსაცმლის მაღაზიათა ქსელის მფლობელი შეეცდება, რომელმაც ყველაზე დიდ კოლექციაზე კონკურსი გამოაცხადა. მასში მონაწილეობა მეგაპოლისის მცხოვრებ ნებისმიერ სუსტი სქესის წარმომადგენელს შეუძლია, რომელიც მიიჩნევს, რომ მას უფრო მეტი ფეხსაცმელი აქვს, ვიდრე სხვას. ამ უჩვეულო კონკურსის გამარჯვებული, ერთი წლის განმავლობაში, ყოველთვიურად მაღაზიისგან საჩუქრად ახალ ფეხსაცმელს მიიღებს მაღალ ქუსლებზე. კონკურსის ორგანიზატორი რობერტ იეგანე აღნიშნავს, რომ გამარჯვებული აუცილებლად უნდა იყოს ის ქალბატონი, რომელსაც მართლაც დიდი ლტოლვა აქვს ფეხსაცმელებისადმი და რასაკვირველია, კარგი გემოვნებაც. აღსანიშნავია, რომ ნიუ იორკში შოუბიზნესის ბევრი ვარსკვლავი ცხოვრობს, რომელთაც ფეხსაცმლის დიდი კოლექციები აქვთ, მათ შორის არიან მადონა, ჟიზელ ბუნდშენი, სარა ჯესიკა-პარკერი. თუმცა, ამ კონკურსის მიმართ მათ ინტერესი არ გამოუჩენიათ.

სამუშაო აბერებს ადამიანს

სადაზღვევო საზოგადოება **PruHealth**-ის გამოკვლევამ აჩვენა, რომ 46 წლის საშუალოსტატისტიკური მშობელი, რომელიც ცდილობს ერთმანეთს სამუშაო და შვილების მოვლა შეუთავსოს, ენერგიის დონის მიხედვით, თავს 53 წლის ადამიანად გრძნობს. ამასთან, ვინც არ მუშაობს და სახლშია, ხშირად ჯანსაღი საკვებით იკვებება და ვარჯიშობს, 46 წლის ასაკში თავს 4 წლით უმცროსად გრძნობს. ეს ეხება როგორც მამაკაცებს, ასევე ქალებსაც, მიუხედავად იმისა, რომ სუსტი სქესის წარმომადგენლები უფრო ხშირად არ მუშაობენ, ვიდრე კაცები. გამოკვლევისას გაირკვა, რომ სამსახურით დაკავებული მშობლები მეტს ეწევიან და სვამენ, ნაკლებად ვარჯიშობენ და ცოტა სძინავთ, არც დიეტას იცავენ. არამომუშავე მშობლები კი ბალანსირებულ დიეტასაც მისდევენ და მათი უმრავლესობა ვარჯიშობს კიდეც.

ლოკოკინას ხიზილალა – ახალი დელიკატესი

პარიზისა და ლონდონის სადღესასწაულო მაგიდებს ახალი დელიკატესი — ლოკოკინის ხიზილალა შეავსებს. ამ პროდუქტის გაყიდვების იდეა ფრანგ ცოლ-ქმარს — დომინიკ და სილვია პიერებს ეკუთვნით. მათ ლოკოკინების ფერმა აქვთ ქვეყნის ჩრდილოეთით მდებარე პიკარდიაში. ცნობილია, რომ ვაზის ლოკოკინა წელიწადში 100-მდე კვერცხ-ხიზილალას დებს, რომლის საერთო წონა 4 გრამს შეადგენს, თუმცა, პიერებმა მოახერხეს და ფერმაში მათი ნაყოფიერება უფრო გაზარდეს — აქაური ლოკოკინები წელიწადში ოთხჯერ იძლევიან ხიზილალას. პროდუქტის რეალიზაციის იდეაზე სამი ნელი დახარჯეს. ამ პერიოდში ფერმერებმა ხიზილალის მიღების პროცესი ააწყვეს, მოიფიქრეს სპეციალური დიეტა ლოკოკინებისთვის და დელიკატესის შენახვის პირობებიც შეიმუშავეს, რის წყალობითაც ხიზილალას ნაზ გემოს არ კარგავს. წლეულს პიერებმა ის 300 კილოგრამამდე მოაგროვეს. ევროპის საუკეთესო რესტორნების შეფზარეულებმა უკვე დიდი ინტერესი გამოიჩინეს ახალი პროდუქტის მიმართ. ლოკოკინის ხიზილალა ძალიან წვრილი და კრემისფერია, გემოთიც ძალიან განსხვავდება თევზის ხიზილალასგან და მისი შენახვის ვადა დაახლოებით სამი თვეა. ამ დელიკატესის 50 გრამი ევროპაში 115 დოლარად — იგივე ფასად იყიდება, რაც თევზის ხიზილალა.

მოძალადე ქმრებს ფიზიკურად უსწორდებიან

ინდოეთის უტარ-პრადეშის შტატში, ადგილობრივ ქალებს ჯგუფი **Gulabi Gang** აქვთ შექმნილი, რომელიც მანდილოსნების უფლებებს იცავს და იმ კაცებს არ სწყალობს, ვინც ოჯახში ცოლს ფიზიკურ და სიტყვიერ შეურაცხყოფას აყენებს. ბამბუკის ჯოხებით შეიარაღებული ასობით ქალი მიდის ასეთ ოჯახში და მოძალადე ქმარს ფიზიკურად უსწორდება. ამ ჯგუფში 10 ათასამდე ქალია გაწევრიანებული და ყველა მათგანი ვარდისფერ სარის ატარებს. ეს გაერთიანება ჯერ კიდევ 2006 წელს 5 შვილის დედამ, სამპატმა ჩამოაყალიბა. ის ძალიან პატარა გაათხოვეს, თუმცა ყოველთვის აღიზიანებდა ინდურ ოჯახებში ქალების მდგომარეობა, სადაც ის მოსამსახურის ფუნქციას ასრულებდა და ქმარი სრულიად უმიზეზოდ სცემდა. ვარდისფერი სარით მოსეირნე მანდილოსნებს მამაკაცები უკვე უფრთხიან. ამ ჯგუფის წევრთა ძალისხმევით, ოჯახებმა პატარა გოგონების გათხოვებაც შეწყვიტეს.



ხასიათს შოკოლადითაც ავოიცნოებთ

თურმე შესაძლებელი ყოფილა, საყვარელი შოკოლადის მიხედვით ადამიანის ხასიათის შესახებ ზოგიერთი რამ გავიგოთ. მაგალითად, თეთრი შოკოლადის მოყვარული ადამიანი ძალიან რომანტიული, მეოცნებე, ოჯახური იდილიის მოყვარულია. ამ „ღმერთების საჭმლის“ მოყვარული მშვენიერი სქესის წარმომადგენელი იდეალურ საცოლედ, მამაკაცი კი იდეალურ საქმროდ ითვლება. ის, ვინც უპირატესობას შავ შოკოლადს ანიჭებს, მისი გამორჩეული თვისება თავგადასავლების სიყვარულია. ასეთი ადამიანის ქმედებების წინასწარ განჭვრეტა საკმაოდ ძნელია. მათ გარეშე კი ცხოვრება ერთფეროვანი და მოსაწყენი იქნებოდა. რძიანი პირის ჩასატკბარუნებლის მოყვარულები კი ძლიერი პიროვნებები არიან, მათი ბევრს შურს. ამ ადამიანების გაცნობისას პირველი შთაბეჭდილება — რომ ისინი მკაცრები და საშიშნი არიან, მცდარია. მერე ურთიერთობისას აღმოაჩენთ, რომ მისი მომხიბვლელობისა და შარმის ტყვე ხართ.

იპოვეთ თქვენი www.versia.ge

ვერსია

UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77
პასუხისმგებელი რედაქტორი: ნინო ლურსმანაშვილი
მედიაჯგუფი: მაია მიშელაძე, ნინო კომახიძე, ნინო ხარშილაძე, რუსუდან შელია, ნელი თორდია, დავით დევიძე, ნათია ვასაძე.
სტილისტი: თამარ არათანაშვილი
დიზაინერი – ნათია მზექალაშვილი

ISSN 1987-8699

მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
ტელ: 590 740999; 2942399
e-mail:dosie@caucasus.net;
dosieversia@caucasus.net
versiaprinti@yahoo.com

® ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით